



№ 7 // 2019

ლიცენზირებული –  
საზღვარგარეთის ქუჩის მფლობელი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომარტელი**

პასუხისმგებელი რედაქტორი  
**თამარ გელიტაშვილი**

რედაქტორ-სტილისტი  
**ქეთევან მერკვილაძე**

კომპიუტერული გრაფიკა  
და დიზაინი  
**ქეთი გომარტელი**

**სარედაქციო კოლეგია**

ანდრო ბელუპაძე  
თავმჯდომარე

როინ აბუსაულიძე  
გიორგი ალიბეგაშვილი  
ივანე ამირხანაშვილი  
ბალათერ არაბული  
ლავა ბაქრაძე  
ნაირა ბაქიევი  
ლევან ბრეგვაძე  
გენრი ღოლიძე  
გურამ ღოჩანაშვილი  
ზვიად კვარაცხელია  
ლანა მანველი  
ბაბა ნახუტრიშვილი  
გიორგი სოსიაშვილი  
მანია ტურაბულიძე

---

ქუჩის მფლობელი  
საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მხატვრული

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

თამარ გელიტაშვილი ლიტერატურული შემოდგომა რაჭაში	3	ვახტანგ გურული არჩევანი ლუარსაბ თათქარიძესა და სოლომონ მეჯღანუაშვილს შორის	44
პოეზია ნინა სამხარაძე ლექსები	10	ახალი თარგმანები ლევ ტოლსტოი ბერი ფიოდორ კუზმიჩის ჩანაწერები მოთხრობა რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა	54
პროზა გიორგი სოსიაშვილი გოდების კედელი ნაწყვეტი რომანიდან	14	ირინა მარტოვა მოსახსენებელი მოთხრობა რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა	67
ხრიტიკა. ესეისტიკა გურო დავითლიძე ორი ტექსტი, როგორც ისტორიული მეხსიერება (ბექა ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულები“ და გაგა ნახუცრიშვილის „ზამთრის ზღვა“)	41	ზორაული თვისიანი იოსებ ჭუმბურიძე საქართველოზე შეყვარებული ქალბატონი	71

გარეკანზე – ლიტერატურული კონკურსის –  
„მნიგნობარი 2019“-ის ლოგო

## ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

## თამარ გელიტაშვილი

### ლიბერატორული შემოდგომა რაჭაში – „მწიგნობარი – 2019“

2004 წელს დემოგრაფიული საფრთხის ქვეშ მყოფ რაჭაში ერთმა კარგმა ქართველმა კაცმა ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს ჩაუყარა საფუძველი და საკუთარი მხარე საბოლოო მიგრაციისგან რომ ეხსნა, მრავალწახნაგა პრობლემების წინააღმდეგ წამოწყებულ აღმშენებლობაში პირველი აგური თავადვე დადო.

ადვილი როდია, განგებ დახუჭული თვალებით უმზირო საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის დაცილილ-გამოკეტილ სოფლებს, მრავალი წლის მანძილზე აუბუჭუტავ კერიას, ჩამოვლილ-ჩამონგრეულ ქერს, გაუდაბურებელ ეზო-ყურესა და მიმ-

ქრალ ჟრიამულს, მამლის ყივილსა და ძაღლის ყეფას გადაჩვეულ კარ-მიდამოს.

დიდი სირთულე უდგას დღეს მთას.

მიზეზთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მთავარი შველაა, პრობლემებისგან თავდასაღწევი გზების ძიება, უპირვე-



ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი გურამ გორდეზიანი და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე. „მწიგნობარი 2019“-ის დაჯილდოება.

ლესად კი ახალგაზრდობის აუცილებელი შედეგებია მშობლიურ ფესვებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება – მთა საბოლოოდ ჩამოიშლება და ოდენ ნადირთა თავშესაფრად გადაიქცევა.

მისი გადარჩენისათვის ბრძოლა უკვე დაწყებულია. ის, როგორც გითხარით, ერთმა კარგმა ქართველმა ითავა.

ეს კაცი ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი, პოეტი გურამ გორდეზიანი. როგორც ჩვენში იტყვიან – ნაღდი ქარ-

ცესებში ჩართვა, მეორე მხრივ კი კომპიუტერს მიჯაჭვული თაობა წიგნისკენ მიახედა.

ამ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ინტერნეტსივრცემ და ზოგადად კომპიუტერმა ბავშვები საგრძნობლად დააშორა წიგნს, მეტიც, მთლიანად დაავიწყა მისი არსებობა. სწორედ ამან განაპირობა ის სავალალო ფაქტი, რომ საქართველო ნაკლებად წიგნიერი ქვეყნების სიაში 45-ე ადგილს იკავებს. არადა, სახელმწიფოს ძლიერება ერთმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული



თველი კაცი, რაჭველები უბრალოდ, მაგრამ დიდი სიყვარულით „გურამიკა მგოსანს“ რომ ეძახიან.

რადგანაც ქვეყნის მთავარ ბირთვს ახალგაზრდობა წარმოადგენს, გურამ გორდეზიანმაც ობიექტივი სწორედ მათკენ მიმართა და ორი კურდღელიც ერთდროულად დაიჭირა – ერთი მხრივ, რაჭველ ახალთაობას ინტერესი გაუღვივა, რომ რეგიონებშიც შესაძლებელია მათი ინტერესების დაკმაყოფილება და კულტურულ-საგანმანათლებლო პრო-

განათლებულ მომავალზე.

ასე დაიბადა იდეა ლიტერატურული კონკურსისა „მწიგნობარი“, რომელსაც თავიდან ლიტერატურული მარათონი ერქვა, სახელწოდებით – „მწამს მომავალი სახე მცინარი“. დღეს ეს პროექტი ცნობილი ფილოსოფოსის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, **ბაჩანა ბრეგვაძის** სახელს ატარებს.

„მწიგნობარს“ თხუთმეტწლიანი ისტორია აქვს თავისი ყველასაგან განსხვავებული სპეციფიკით, რისთვისაც

მიმჩნია, რომ ის არის კონკურსი კონკურსთა შორის.

პროექტის ღირსებას ისიც განსაზღვრავს, რომ მისი არსებობა ჯაჭვურ პრინციპს ემყარება. ავილოთ თუნდაც საბიბლიოთეკო სფერო, რომლის უმეტესი ნაწილი კახა ბენდუქიძის მინისტრობის დროს მისივე ბრძანებით დახურეს. ისეთი ტიპის პროექტები კი, როგორც „მნიგნობარია“, ბიბლიოთეკების ფუნქციონირების აუცილებლობას წარმოშობს. კონკურსი ბავშვებს უამრავი წიგნის ნაკითხვას ავალდებულებს, რისთვისაც მოსწავლეები შესაბამის დაწესებულებას მიმართავენ. ეს პირდაპირი მისწრებაა ბიბლიოთეკების დატვირთვა-გამოცოცხლებისთვის.

„მნიგნობარი“ ერთგვარი სტიმულატორია, რომელიც ადრეული ასაკიდან უყალიბებს ბავშვს ლიტერატურულ გემოვნებას, ასევე ხელს უწყობს კითხვის უნარის ჩამოყალიბებას, ცოდნის გაღრმავება-განვითარებას, როგორც კლასიკოს, ისე თანამედროვე მწერალთა შემოქმედების გაცნობას.

საკონკურსო ტესტებს ადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. კონკურსანტები ვალდებული არიან, ზუსტად უპასუხონ ტესტებს, რაც საჭიროებს მხატვრული ნაწარმოებების ზედმიწევნით ცოდნას. გამარჯვებულებიც იმისდა მიხედვით გამოვლინდებიან, ვინ რამდენად საფუძვლიანად წაიკითხა პროექტის ფარგლებში მიცემული სავალდებულო ლიტერატურა, ეს კი, მერწმუნეთ, ართუ ისე ცოტაა.

თავდაპირველად სულ სამი ნომინაცია იყო:

1. ქართული ისტორიული რომანი;
2. ქართველი და უცხოელი კლასიკოსები;
3. პოეზია უპირველეს ყოვლისა. და მხოლოდ 43 კონკურსანტი მონაწილეობდა.

2004 წლიდან მოყოლებული, პროექტმა დიდი ევოლუცია განიცადა –

განვითარდა და დაიხვეწა, თუმც ვერ ვიტყვით, რომ დღეს ის დასრულებული სახით არის წარმოდგენილი. ამჟამადაც იზრდება და ვითარდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წლეწანდელ კონკურსში მონაწილეთა მასშტაბიც გაიზარდა (სულ 200-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა) და ნომინაციებიც (დღესდღეობით სულ 11 ნომინაცია არსებობს. მათ შორისაა „ბაჩანა ბრეგვაძე და მისი მრავალმხრივი შემოქმედება“ და თავისუფალი თემა).

პროექტს ორგანიზებას უწევს ამბროლაურის გურამ ფანჯიკიძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა.

„მნიგნობარი“ შემოდგომაზე, ოქტომბრის მინურულს იმართება. ამ დროს ბევრი საპატიო ადამიანი სტუმრობს რაჭას, მათ შორის არის ბაჩანა ბრეგვაძის ქალიშვილი ანი ბრეგვაძე, რომელიც ყოველწლიურად უამრავი წიგნით ხელდამშვენებული მიემართება მშობლიური კუთხისაკენ.

ტრადიცია არც წელს დარღვეულა.

წელსაც უამრავი მოსწავლე შეიკრიბა ამბროლაურის ბიბლიოთეკაში. ჟიურის ძირითადი შემადგენლობაც თბილისიდან მიწვეული სპეციალისტებით დაკომპლექტდა.

აი, ისინიც:

**თამარელა ნონორია** – ფილოლოგიის დოქტორი;

**ალექსანდრე ელერდაშვილი** – აღმოსავლეთმცოდნე;

**გიორგი არაბული** – პოეტი;

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას წარმომადგენდენ – **გიორგი საგინაძე და ირაკლი ვეშაგურიძე;**

ჟიურის წევრთა რიგებს ამშვენებდა ორი ადგილობრივი ქალბატონი, ფილოლოგები – **მაკა კერესელიძე და ლამარა ბოჭორიშვილი;**

მინდა, განსაკუთრებული სიტბოთი და პატივისცემით მოვიხსენიო ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

აი, ასეთ საპატიო ხალხთა სიაში მოვხვდით მეც, თქვენი მონა-მორჩილი.

შთაბეჭდილება კი მართლაც განუზომლად დიდი იყო. ჩვენი პირველი მასპინძელი საოჯახო სასტუმრო „ემპირიას“ დიასახლისი, **ლელა კვიციანი** გახლდათ, რომელიც, აგერ უკვე რამდენი წელია, ერთგულად უდგას მხარში პროექტს და მთელ თავის რესურსსა და ძალისხმევას არ იშურებს თითოეული სტუმრის სათანადოდ დასახვედრად.

კონკურსი სამი დღის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად ჩატარდა.

სამი დაუფინყარი დღე გვაჩუქა

მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს. სწორედ ამ მიზნით გთავაზობთ პირველ-მეორე ადგილებზე გასულ ნომინანტთა სიას:

#### ისტორიული რომანი:

**1. ჭელიძე შოთა** (ბუგეურის საჯარო სკოლა);

**2. საგანელიძე ღვთისავერ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

#### ლიტერატურული შედეგები:

(ამ ნომინაციაში პირველი ადგილი გაიყო)



„მნიგნობარმა“. ამ სამმა დღემ ბევრი საოცრად ნიჭიერი და ნიგნიერი მოზარდი გამოავლინა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მათმა ცოდნამ და სწავლულობამ.

დაჯილდოება ამბროლაურის კულტურის სახლის სცენაზე გაიმართა და თერთმეტ ნომინაციაში გამარჯვებულ მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პრიზები.

ეს ის ჩვენი სასახელო და საამაყო მომავალია, რომელთა გვერ-სახელიც

**1<sup>ა</sup> მელაშვილი მარიამ** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა);

**1<sup>ბ</sup> ვახტანგაძე ანა** (ბუგეურის საჯარო სკოლა);

**2. გურგენიძე ანა** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა).

#### XIX-XX საუკუნის მწერლობა:

(ამ ნომინაციაში მეორე ადგილი გაიყო)

**1. ჯოხაძე ერეკლე** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა);

**2<sup>ა</sup>. ლაიშვილი ლუკა** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა);

**2<sup>ბ</sup>. სუთიძე ოთარ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

### **პუბლიცისტიკა და ესე:**

**1. ქემოკლიძე ქეთევანი** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა);

**2. გაგოშიძე საბა** (ჭრებალოს საჯარო სკოლა).

### **საბავშვო მწერლობა:**

**1. ქურციკიძე ვერა** (ჭრებალოს საჯარო სკოლა);

**2. გველეთიანი ელენე** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა).

### **ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები:**

**1. სუთიძე ოთარ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა);

**2. ისაკაძე სალომე** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

### **დრამატურგია:**

**1. კერესელიძე ნანა** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა);

**2. მაჩაიძე მარიამ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

### **პოეზია უპირველეს ყოვლისა:**

(ამ ნომინაციაში პირველი ადგილი გაიყო)

**1<sup>ა</sup>. ჯაფარიძე მარიამ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა);

**1<sup>ბ</sup>. დონაძე ოთარ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

**2. ჯოხაძე ერეკლე** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

### **თავისუფალი თემა:**

**1. მეტრეველი ლექსო** (ამბროლაურის

I საჯარო სკოლა);

**2. კერესელიძე ნანა** (ამბროლაურის II საჯარო სკოლა).

### **„ვეფხისტყაოსანი“:**

**1. მაჩაიძე მარიამ** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა);

**2. დვალი ნანა** (ამბროლაურის I საჯარო სკოლა).

პრიზი – **ჟიურის სიმპათია** – წილად ხვდათ: **მიხეილ ლომთაძეს, ნათია სირაძეს და ერეკლე ჯოხაძეს.**

„მნიგნობარი“ ის პროექტია, სადაც საბოლოოდ ყველა გამარჯვებული რჩება. მერე რა, თუ წელს პრიზი ყველას ვერ ერგო, მაგიერად, მონაწილენი ყველა იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიზარდნენ, კონკურსმა რომ დაავალდებულა. შეუძლებელია, მათი ანთებულის, გამარჯვების მოლოდინით სავსე თვალების, ღელვისა და ფორიაქის დავინწყება. რაც მთავარია, იმედი იმისა, რომ წელს თუ რომელიმე სათანადოდ ვერ მოემზადა, გაისად მაინც გახდება პრიზიორი. მულტიფუნქციური და პოლითემატური პროექტი „მნიგნობარი“ ამის საშუალებას იძლევა.

როგორც ითქვა, „მნიგნობარი“ მუდმივად მზარდი კონკურსია და მას შორს გამიზნული იდეები ამოძრავებს. მისი დამფუძნებელი, ბატონი გურამ გორდეზიანი პროექტის მასშტაბების გაზრდისთვის ზრუნავს და, ფიქრობს, უახლოეს მომავალში იგი არა მხოლოდ ზოგადეროვნულ, არამედ საერთაშორისო სტატუსსაც შეიძენს. ამაში მას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებენ: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული არჩილ ჯაფარიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე, მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე; ასევე მათე-

რიალურ დახმარებას უწევენ სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები, მაგრამ კონკურსის სრულყოფილებისთვის ეს ზღვაში წვეთია. სათანადო ფინანსების შემთხვევაში, პროექტის მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს. ჩატარდება ადგილობრივი კონკურსები, სადაც გამოვლინდებიან 11-11 გამარჯვებული ნომინანტები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით. ამბროლაურში შეიქმნება სპეციალიზებული საკომპიუტერო ბაზა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება საჭირო კონტაქტები პროექტის სწორად და ობიექტურად წარმართვისთვის. ფინალისტები ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან ამბროლაურში, სადაც ჩატარდება დასკვნითი ტური და სხვადასხვა რეგიონის ფინალისტები ერთმანეთს შეერკინებიან. პროექტის საბოლოო გამარჯვებულებს გადაეცემათ სოლიდური ფულადი პრემია, ერთწლი-

ანი სტიპენდია და სხვადასხვა პრიზები.

დაჯილდოების ცერემონიალი იმართება ამბროლაურის კულტურის სახლში, რომელიც სრულდება კონცერტით ადგილობრივი და მონვეული მონაწილეების მიერ.

ბუნებრივია, ყველა პროექტი შედეგზეა ორიენტირებული. კონკურსის პერიოდში უამრავი ადამიანი სტუმრობს რაჭას. ესეც, გარკვეულწილად, პროექტის ნაწილია. სტუმრიანობა გათვლილია სასტუმროების, კვების ობიექტებისა თუ მალაზიების დატვირთვაზე, რაც ერთიორად გაზრდის ადგილობრივების სამომხმარებლო კალათას.

კონკურსის ფარგლებში იზრდება წიგნის მკითხველთა რაოდენობა, რაც თავისთავად ზრდის ბიბლიოთეკების პოპულარიზაციას, საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებიან ნიჭიერი და წიგნიერი მოზარდები, რომლებსაც საშუალება ეძლევათ, შეხვდნენ მწერლებს, წიგ-



ანი პრეგვაძე ამბროლაურის კულტურის სახლის სცენაზე. „წიგნობარი 2019“-ის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი

ნის გამომცემლებს, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს... ახალგაზრდობა ინტერესდება იმ საგანძურით, რომელიც ბიბლიოთეკის ფონდებშია დაცული; სამომავლოდ შეიქმნება „მნიგნობართა“ კლუბები, რომლებიც აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით. კლუბების საქმიანობა დიდ გავლენას იქონიებს მოზარდის განვითარებაზე, მათი ცოდნის ამაღლებაზე. ყველა მოზარდს საშუალება ეძლევა, გახდეს ახალგაზრდული კლუბის, „მნიგნობრის“ წევრი, რომლის ფილიალები შეიქმნება უამრავ რეგიონსა თუ ქალაქში, სადაც ფართოდ წარმოჩინდება მათი შემოქმედებითი პოტენციალი; კლუბი დაეხმარება მათ თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში. პროექტში, რეგიონებთან ერთად, ჩაერთვებიან უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოსწავლეებიც, რაც საშუალებას მისცემს მათ, საბოლოოდ არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს.

ყველაფერ ამას კი მხოლოდ კეთილი ნება სჭირდება და მიზნობრივად გაღებული თანხები. ყველაზე დიდი ინ-

ვესტიცია ხომ ჩვენი მომავალი თაობის განათლებისთვის ზრუნვაა. ამაზე კარგ საქმეს ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ გააკეთებს. საამისო ამინდის შექმნა ამბროლაურში უკვე დაწყებულია, ახლა ყველაფერი ჩვენი ქვეყნის რეგიონული ადმინისტრაციებისა და მენარმეების მონდომებასა და სურვილზეა დამოკიდებული.

**P.S.** იმ სამი დღის განმავლობაში, რაც რაჭაში ვიმყოფებოდით, სასიამოვნოდ გვაოცებდა კონკურსანტთა ფაციფუცი – წიგნების, კონსპექტებისა თუ ქსეროასლების ფრიალი და ერთმანეთის გულშემატკივრობა. ვუყურებდი იმ ჯანსაღ გოგო-ბიჭებს, რომლებზედაც საქართველოს მომავალი კეთილდღეობა უნდა დაშენდეს და უნებურად იმ ლივერპულელი პოლიციელის სიტყვები მახსენდებოდა, ბიტლების პოპულარობამ რომ ათქმევინა: ფული რომ მქონდეს, ყველა ლივერპულელ მოზარდს გიტარას ვუყიდდი და ამ გზით ქალაქში დანაშაულს შევამცირებდიო.

ჯერი თქვენზეა, ბიზნესმენებო!



## ნინა სამხარაძე

●  
 ზეცა დამტირის მე არ შემდგარ  
 პირველ პატარძალს,  
 დღეს დედამინა დავაქვრივე –  
 მოვწყდი სამოთხეს,  
 შენ დგახარ ქარში, ჩემს სხეულთან,  
 როგორც ტაძართან,  
 შენ დგახარ ქარში და ჩემამდე  
 ღმერთი გაშორებს.

დამაგვიანდა.  
 ვამონმებდი ყველა ჯვარედინს.  
 შენ სულ აღმა ხარ, შენ სულ აღარ ხარ  
 და გარეთ რგოლებ ჯერ არ გაჩენილ  
 ტირიფებს ჭრიან.  
 ირონიას – ჩემი ყველა დიდი ჯავრიდან  
 ყველაზე უფრო შენზე რომ ვჯავრობ  
 და ამ ქართული ფართო ჭრილის  
 თვალების მიღმა,  
 შენზე დარდია უფრო დიდი და უფრო  
 ფართო.  
 აი, რა ხდება:  
 ორჯერ მოვკვდი, ბევრჯერ ვენამე,  
 მკერდით ჭრიან ვაზებს ყურძენს,  
 არ არის რთვლობა,  
 ჯერ ივნისია, შენ განმიხილავ არასწორ  
 ჭრილში,  
 ისევ და შენი ბუხრიდანაც სიცივე ფონავს.  
 კიდევ რა ხდება:

სამშობლოა დღეს ჩემი დარდი,  
 ჩემი თავიც და მესამე ხარ, სული ხარ  
 წმინდა,  
 შიშველი ბავშვის თვალებიდან  
 შიმშილი ყვავის,  
 ჩემი ქვეყანა ან და მარადის! აი, აქ მოკვდა.  
 მე? მე კარგად ვარ! ისევ ვამონმებ  
 ყველა ჯვარედინს,  
 ისევ გიჟი ვარ ან და მარადის, მარად და  
 მარად  
 და როგორც შეშლილს ეკადრება –  
 გეძებ და გკარგავ,  
 არა ხარ კარგი, შენ სისხლი ხარ,  
 ჩემ სხეულზე რომ ეკლებად ბარდნის.  
 მე რა გაჩუქე?! – უკვდავება.  
 დარჩები ფურცლებს,  
 რა შეუძლიათ გისახსოვრონ ამაზე  
 დიდი,  
 მე პოეტი ვარ! ალქაჯი და რკინის  
 კაუჭზე,  
 ვდებ ჩემ სიცოცხლეს, სიყვარულს და  
 ხანდახან სიკვდილს.  
 ახლა გვაცვია ერთი თბილი ჭადრის  
 ქალაქი,  
 ჩემი ქუჩა კი ემსგავსება ნაცრისფერ  
 ნაკრძალს,  
 შენ რომ აპურებ იმ ძაღლებმა შობეს  
 შვილები  
 და ყოველ დილით, ჩემს ფანჯრებთან  
 უცდიან მამას.  
 მე აღარა ვარ ცოცხალი და  
 მაინც ჩემი ხარ.  
 შენ პასუხს არ მცემ,  
 მე პასუხს ვაგებ და ასე ვცხოვრობთ  
 იმ ქალაქში სადაც ხალხს შია,  
 მარად და მარად...

## ბაღაჭრილი ხე

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა, იცის,  
 რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრით...  
 მანამდე, თუნდაც გაზომო ასჯერ.  
 ღამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ.  
 სხვენში მორბენალ ვირთხების ტანგოს,  
 წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე  
 და მთავარია, არავინ გნახოს,

ჩაცმული როგორ წევხარ დივანზე.  
 იესოს ლოცვებს, ფსკენილის ნაცვლად,  
 მარგალიტის მძივზე ითვლი და,  
 რა საჭიროა, ველარ ხვდები ამდენი გარჯა.  
 აქ არ დადიან მატარებლები,  
 რელსებზე ძაღლებს სძინავთ,  
 ყინვაში უნდა ინატრო,  
 რომ დაგიფაროს ყინვამ.  
 ერთხელ გადაჭრილ ხიდან მიათრევს  
 ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი  
 და თითქოს, სჯერა, რომ მიატანს გაზაფხულამდ  
 სამყარო მინდა გაუზომავ-უკაცრიელი,  
 საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს.  
 ხის თეთრ რაფაზე შემომინყო კვერცხები ჩიტმა  
 და სანამ ჩაი ორთქლად იქცა დამდნარ ქურაზე,  
 მეზობლის ბავშვის ტირილს თოფის უმიზნო რისხვამ  
 შემოაწირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და  
 ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა,  
 ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე,  
 ჩემი ცხოვრება ჩემ წინ იწვა და  
 მე ვინვოდი მის წინაშე.

## მე ვარ პოეტი

ყველაზე ცუდი, რაც უნდა მჭირდეს.  
 ღამე მოზრდილი ხელივით მახრჩობს ფიქრების მჭიდი,  
 მე დაღლილი ვარ,  
 ზოგჯერ ისე ძალიან მიჭირს,  
 სამშობლოსაც კი გულიდან ვიღებ,  
 მკვდარ ბავშვებსაც კი ვიღებ და ვაგდებ,  
 მშიერ მოხუცებს ველარ დავტირი,  
 ყველაზე ცუდი, რაც უნდა მჭირდეს –  
 ეს სიცივეა.  
 ნეტა პოეტი ერთხელ მაინც ისეთი იშვეს,  
 ისეთი იშვეს, რომ წააგავდეს თავის სტრიქონებს.  
 არ ვიცი, ასე რამ დამალა – წერამ თუ სცენამ,  
 მუხლებს რომ ვიჭამთ იმდაგვარი ღამეებია.  
 მე მომიტევეს სამშობლომაც და მეგობრებმაც,  
 რომ არ მადარდებს ამ მომენტში არცერთთაგანი.  
 არც ის არ ვიცი, რა უნდა იყოს ახლა მთავარი.  
 ფრჩხილებს რომ იცლი,  
 იმდაგვარი ღამეებია....  
 იმდენჯერ მოვკვდი, რამდენჯერაც ხელახლა ვიშვი,  
 მოჭრილ მკერდივით ყველაფერს აქვს თავისი ხიბლი,  
 ყველაფერს, რასაც ხელს გაუშვებ და ველარ კიდებ.  
 მე პოეტი ვარ, ალქაჯი და არ მაქვს საზღვარი.

მხოლოდ თვალებით ვერ ვთამაშობ,  
 რკინას და ფოლადს –  
 ისინი ბოლავს,  
 მუდამ ბოლავს,  
 ძლიერად ბოლავს,  
 რომ ეშინია ან სტკივა და სხვა დანარჩენი...  
 მე მომიტევენ ჩემ შემდეგი ყველა თაობა,  
 დღეს რომ ფუჭი ვარ და ხვალ უკვე აღარაფერი.  
 მე მომიტევენ ჩემ შემდეგი ყველა თაობა,  
 ყველა მცდელობას სიკვდილის და სითავხედობის,  
 მე მომიტევენ ჩემ შემდეგი ყველა თაობა,  
 რომ არ მადარდებს ამ მომენტში ბევრი მათგანი,  
 რომ არ გადარდებს, იმდაგვარი ღამეებია.  
 მე პოეტი ვარ.  
 ყველაზე ცუდი რა უნდა მჭირდეს.  
 ვიცი, შემინდობს ჩემ შემდეგი ყველა თაობა,  
 რომ ვერ შევდექი ქუსლებზე და შემდეგ სცენაზე,  
 ვღელავ ყველაზე...  
 ზოგჯერ მართლა ვღელავ ყველაზე.  
 ისე ძალიან, რომ ვგრძნობ, მინას როგორ მაყრიან...





## გიორგი სოსიაშვილი

### ბოდების კედელი

*გამომცემლობა „უნივერსალში“ იბეჭდება და უახლოეს ხანში გამოვა გიორგი სოსიაშვილის ვრცელი, ორტომიანი რომანი „ბოდების კედელი“. ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა ამ გამოცემის რედაქტორის, თამარ გელიტაშვილის წინათქმა – „ბოდების კედელი“ – ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა“.*

*ამჯერად გთავაზობთ ნაწყვეტს გიორგი სოსიაშვილის რომანიდან*

●  
თითქო ლოცულობდა, თვალები დაეხუჭა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ჯარაფს საფერავით აევსო ძველისძველი ხასოს პაპის – გებიმ-ჭაჯის ნაქონი სპილენძის თასი. ხასოს მამის, მახამლაზისეული ქამრიდან ღვინით სავსე თასში ხანჯლით ვერცხლი ჩათალა და შემომხედა. იტყოდი, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ თასს ჩაამტერდა... ხასო თვალებდახუჭული ბუტბუტებდა. დროდადრო გამოგვხედავდა, იფიქრებდი, რო ვილაც სხვა იმზირებოდა მისი უძირო თვალებიდან. ოთახში სხვა უხუცესებიც იყვნენ, ხასოს მეგობრები – ზაური და ელიზბარი. ორივე ხასოს ასაკისა იქნებოდა. პანკისელ ქისტებში მათ სიტყვას ოქროს ფასი ჰქონდა. მცირე ხანში ხასო ჩვენთან, ახლოს მოვიდა. ჯარაფმა ჯერ ბიძამისს მიაპყრო მზერა, მერე მე შემომხედა.

– მე ერთადერთი ძმადნაფიცი მყავდა, როცა შენს ჭერქვეშ ვიყავი, მოგიყევი ჩემი და მელხის მეგობრობის შესახებ. მისი სისხლით დამისველდა ჩეჩნეთში უბე, ხელებში ჩამაკვდა. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ... მისი სისხლი ასალები მაქვს. სანამ პირში სული მიდგას, უნდა ვიბრძოლო, მელხის სისხლს არ შევარჩენ მაგათ. ბრძოლა სიკვდილამდეა. დღეიდან შენა ხარ ჩემი ძმადნაფიცი, არ დაგიმალავ, ვგრძნობდი, რო ჩემს ცხოვრებაში აუცილებლად გამოჩნდებოდი, შენს სახლში გატარებული დღეების შემდეგ ვიგრძენი. არ ვიცი, რამდენი ხანი გაგრძელდება ჩვენი ძმობა, რამდენ წელს მიწყალობებს ალაჰი, – ჯარაფმა ჭერს მიაპყრო მზერა. – ეს მხოლოდ მან იცის. როგორც დაგვანერა შუბლზე, ისე იქნება ყველაფერი. დღეიდან შენი ძმა ჩემი ძმაა, შენი და ჩემი და იქნება, შენი ცოლი ჩემი რძალი, შენი

მტერი, ჩემი მოსისხლე, ალაჰი იყოს ჩვენი ძმობის მფარველი.

ვერცხლჩათლილი ღვინით სავსე თასი მომანოდა.

– ამინ! – ვთქვი. სიმართლეს ვიტყვი, ხელები ამიკანკალდა, დავიბენი, ხან ჯარაფს ვუმზერდი, ხან ყავარჯნებზე ჩამოყრდნობილ ხასოს და სხვა უხუცესებს.

ხელების თრთოლვით მივიტანე ბაგეებთან თასი, ნახევრამდე დავლიე, მერე ჯარაფს მივანოდე. ჯარაფმა ჩეჩნურად რალაც ჩაიბუტბუტა, ალაჰი ახსენა და თასი ბოლომდე გამოცალა, მერე მაგიდაზე მამის ნაქონ ხანჯალს მისწვდა, მარჯვენა ცერი გადაიბალთა და ხანჯალი გამომიწოდა.

ხასო ერთმანეთზე გადაჭდობილ სისხლიან ცერებს მცირე ხანს უმზერდა, მერე უფრო ახლოს მოვიდა ჩვენთან და ჯერ მე გადამეხვია, მერე – ჯარაფს. სპილენძის თასს დასწვდა.

– ეს თასი პაპაჩემის, გებიშ-ჰაჯის ნაქონია, ჩვენგან პირველმა მან მოილოცა წმინდა ქალაქი – მექა – 1885 წელს, რამდენიმე თვე მოანდომა მოგზაურობას. ამ თასით შესმული სიყვარული, უკან დასახე გზას გიჭრით, თქვენ ერთმანეთის ცხოვრებით უნდა იცხოვროთ, ერთმანეთის ჭირით და ლხინით უნდა ისაზრდოთ... ვიდრე კაცს ძმად შეეფიცები, მისი ცხოვრება, მისი თვისებები კარგად უნდა შეისწავლო. ძმად შეფიცვა, მხოლოდ ცერების გადაჭრა და ვერცხლჩათლილი ღვინის დალევა არ არის. ეგ ტვირთი ჩვეულებრივი ადამიანის სატარებელი ტვირთზე გაცილებით მძიმეა... რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი მზეა. ყველა ადამიანი მეორე ადამიანისთვის ანათებს, მისი სიცოცხლის წყაროა.

ეს ჩვეულებრივ ადამიანზე ვთქვი და ახლა ძმადშეფიცული ადამიანი წარმოიდგინე, მისი ტვირთი, მისი ვალდებულებები. ამის შეუსრულებლობა სიკვდილის ტოლფასია ვაჟკაცისთვის. ბევრი ბრძოლა გელით, ბევრი ტანჯვა, ბევრი სისხლი... – თავის მეგობარ მღუმარე უხუცესებს გა-

დახედა. – ამ მინაზე რო დაიბადები, თავ-შენირვისთვის ყოველ წუთს მზად უნდა იყო. თქვენ ერთ ტაფაში იხრაკებით. ამ ტაფის ქვეშ შენთებული ცეცხლი როდის ჩანელდება ან თუ ჩანელდება, საერთოდ ალაჰმა უწყის, თუმცა, ღირს ეს ტანჯვა. ადამიანი თავისუფლებისთვის იბადება და ამისთვის თავის განირვაც უნდა შეეძლოს. გამარჯვება იმის მხარესაა, ვისაც ღმერთი ეხმარება. ამ ბრძოლაში უსათუოდ გაიმარჯვებთ, ოღონდ მოთმინება და სიმამაცე სჭირდება ამ ბრძოლას და არა შუა გზიდან გაქცევა. ვინ აღარ დაიწყოს ეს ბრძოლა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. ბრძოლის ველიდან გაქცეული მამის შვილი, გმირი ვერასოდეს გახდება, ის მამაზე უფრო შორს გაიქცევა...

მეტი აღარაფერი უთქვამს ხასოს.

მე და ჯარაფი ერთმანეთს გადავეხვიეთ.



– „იქნებ, იქნებ ვერ შევძლო, იქნებ ეს ტვირთი ვერ ვატარო, ვაითუ...“ – მთელი ღამე თეთრი თვალთ გავათენე. ბებერი მთვარე დაკიდულიყო წვერნამხმარ ალვის ხეზე და უღიმღამოდ ანათებდა ხასოს ეზოს.

– ძმადნაფიცი, ჩემი ძმადნაფიცი, – ვბუტბუტებდი. ჯარაფს კედლისკენ ებრუნა პირი, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, არც მას ეძინა. ერთმანეთზე ვფიქრობდით. თითქო ჩემ თვალწინ სათითაოდ გადიოდა მომავალი ცხოვრების დღეები, – რო ვერ შევძლო, იმედი რო გავუცრუო... – ფიქრი მტანჯავდა და ვწრიალებდი.

– წინ ბევრი ბრძოლა გაქვთ, ბევრი ტანჯვა, სისხლი... – ჩამესმოდა ხასოს სიტყვები. – ეს ჩვეულებრივი ადამიანის ტვირთი არ არის.

ამეკვიატა თუ ნამდვილად მესმოდა ჭოტის კვილი? შეიძლება, მართლა ამეკვიატა, მისი უცნაური ბგერებით ვივსებოდი, გლოვის ხმად ჩამესმოდა.

– „ძმადნაფიცი“, შევძლებ? – გამთენიისას მამლის პირველ ყვირელზე მომეპარა

ძილი, თითქო ფეხაკრეფით მოვიდა ღამის აჩრდილი, ვეება გუდაში ჩამსვა და წამიყვანა. სად წამიყვანა? სადღაც, კლდის ძირში, წყალი მოჩუხჩუხებდა და იქ ჩამომსვა. მივიხედ-მოვიხედე, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. წყალთან ახლოს ლანდი შევამჩნიე, დავაკვირდი, ზურგით იდგა.

– რომელი ხარ-მეთქი, – გავძახე. თითქო ჩემ ჯიბრზე არ ბრუნდებოდა. მერე, როგორც იქნა, თავი მოატრიალა და: – ეე, – წავიზმუკუნე. აბიათარი იყო, – პაპა! – წამოვიძახე.

მიყურებდა და ხმას არ იღებდა. ახლოს მისვლა დავაპირე, ქვაზე ფეხი დამიცურდა და წყალში ტყაპანი მოვადინე. წამოვდექი. ვერაფრით ვერ მივუახლოვდი. გამტკნარებული სახით მიყურებდა, ვატყობდი, რო ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ თითქო საუბარი არ შეეძლო ან ვილაცის ერიდებოდა. მხოლოდ ეს სიტყვები მითხრა:

– ბევრი, ძალიან ბევრი სისხლი გექნება ასაღები... ვიცოდი, მე ეს თავიდანვე, ვიცოდი... – თითქო კვნესა აღმოხდა.

ისევ გადავდგი ნაბიჯი, ისევ დამისხლტა ქვაზე ფეხი და კოჭებამდე წყალში პირქვე წავემხე.

გამომელვძია, სველი მქონდა სახე, იტყოდი, პირი დამბანა მძინარეს ვინმემ...



ძმადნაფიცობაზე ათას რამეს მიყვებოდა ხასო. თან ისე საუბრობდა, მისი მოყოლილი ამბები თვალწინ მიცოცხლდებოდა. თითქო ამ ამბების შემსწრე ვიყავი, განსაკუთრებით ორი დამამახსოვრდა. ხევსური დათა ხორნაულისა და ომალოელი ქისტის, კარლო ფარეულიძის ძმობაზე.

– კარლო ფარეულიძეს ხევსური დათა ხორნაული ჰყავდა ძმად შეფიცული. კარლო ჩვენი მეგობრის, ქაქუცა ფარეულიძის მამა იყო. კანალხევეში ჰყავდა ძმადნაფიცი ხორნაული. უდანამაულო ადამიანებს მთაშიც იჭერდნენ ბოლშევიკები, ვილაცას ან ცხვრის ფარის დასაკუთრება

უნდოდა, ან საქონლის ხელში ჩაგდება. თანასოფლელებს პარტიის სულგაყიდული აქტივისტები აბეზლებდნენ. ეგრე დააპატიმრეს ის საცოდავი ხორნაული. ერთი კაკია იყო, ხელისუფლებასთან შეკრული ხევსური, იმან დააბეზლა ხორნაული, თითქო კანალხევეში მცხოვრებ ხევსურებს საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მოუწოდებდა და ქისტებთან ერთად ამბოხებას აპირებდა. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო, ეგრე იყო კაკიასნაირების საქმე, მაგათთვის დაიქუხა ავრორამ, ხელ-ფეხი გაეხსნათ, ამ ჩაშვება-დაბეზლებით წელი მოიმაგრეს, მაუზერები ჩამოიკიდეს, ჯამაგირი გაიჩინეს. სინდისის ძარღვი ჰქონდათ ამოგლეჯილი...

ერთი სიტყვით, იმ სულგაყიდულმა დააჭერინა ფარეულიძის ძმადნაფიცი. ცოლი და პატარა ბიჭი დარჩა საცოდავ ხევსურს. ბევრი ამტკიცა თავისი უდანაშაულობა, მაგრამ მაინც ციხეში უკრეს თავი. წავიდა ფარეულიძე კანალხევეში, ხევსურის ცოლ-შვილი წამოიყვანა, თავისთან დააბინავა და უპატრონა. ხორნაულის ვაჟი ცნობილი კაცი გახდა, ძმადნაფიცობა მათმა ვაჟებმა გააგრძელეს. მისდევენ და მოსდევენ. ამას წინათ ხორნაულის ბიჭს საკლავი დაუკლეს ფარეულიძეებმა, ომალოში მოიპატიჟეს. დამბეზლებელი კაკია კლდიდან გადაჩეხილი ნახეს თურმე ერთ დღეს. ალპურ საძოვრებზე ცხვარს მიერეკებოდა და ხრამში გადავარდნილა. ეგრე კორტინდნენ მშვიერი სვავები ხრამში ჩავარდნილ მოლაღატე ხევსურს. კარლოს ხელი ერია ამ საქმეში, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს, დამნახავი არ იყო. ერთი-ორჯერ დაკითხვაზე წაიყვანეს, თუმცა კლდის ნატეხზე უარესი იყო კარლო და რა უნდა ეთქმევინებინათ.

მეორე ამბავიც დამამახსოვრდა, ხასოს ნამბობი. ობოლი ქისტი ბიჭის ოჯახში მამამისის ძმადნაფიცების სტუმრობის შესახებ.

ვახას მამა შელაპარაკების დროს მოკლეს ომალოში. ბევრი ეძება მამის მკვლე-

ლი ბიჭმა, სისხლი უნდა აეღო, მაგრამ ვერაფრით მიაკვლია. ერთ ღამეს ვახასთან თავისი შორეული ნათესავი, მწყემსი ზაურბეგი მისულა და უცნობებია, რომამამისის მკვლელს, ხორაჯოს ტყეზე უნდა გამოეველო. აისხა იარაღი ვახამ და წასვლა დააპირა, მამის მკვლელს უნდა ჩასაფრებოდა. ახლა მისი მეგობარი იბრაჰიმი მისულა და უთქვამს, რომ ვახას შეყვარებულ ამინათს იმ საღამოს ჯოყოლოელ ქისტზე ათხოვებდნენ. სულ ბოლოს კი ვახას შეუტყვია, რომ მამამისის ძმადნაფიცები მასთან სტუმრად მოდიოდნენ ოჯახში. რა ექნა ან სისხლის ასაღებად უნდა წასულიყო, ან შეყვარებულთან, ან მამის ძმადნაფიცებს დახვედროდა.

დედამისს რჩევა მიუცია: თუ ვაჟკაცი იყო და გული უძგერდა, ადრე თუ გვიან მამის მკვლელს მაინც მონახავდა და სისხლს აიღებდა. ამინათს თუ ვახა ნამდვილად უყვარდა, ჯოყოლოელ ქისტს ცოლად არ გაჰყვებოდა. მამის ძმადნაფიცები კი თუ გზიდან გაბრუნდებოდნენ, მათთან აღარასოდეს მოვიდოდნენ. ასე რომ, ბიჭი სახლში დარჩენილა და სტუმრების შესახვედრად მომზადებულა. ასეთი სიყვარული და პატივისცემა იციან ქისტებმა ძმადშეფიცული ადამიანების მიმართ...



არაფერი უთქვამს. მდუმარედ მიდიოდა და მეც მივდევი. მალ-მალე მომხედავდა ჯარაფი, თითქო რაღაცის თქმა უნდოდა და სათქმელს ბოლოსთვის ინახავდა.

მზე ჩადიოდა, დასისხლიანებული ცას გავცქეროდი და ჩემს ძმადნაფიცს მივდევი. სოფელს გავცდით, კორტოხმოლოპრილი, კლდოვანი გორაკი ჩანდა. მზე იმ გორაკზე იყო მისვენებული და, ასე მეგონა, მომაკვდავ მნათობს უნდა შეხებოდა.

– „სიზმარში მგონია თავი, თითქო ჩემი ცხოვრება, მინიერი ცხოვრება შეწყდა და სიზმარში გავაგრძელე არსებობა, ალბათ,

შენც ეგრე ხარ, მიდიხარ, მოგდევი, ჩვენ უკვე ძმადნაფიცები ვართ, ფიც-ვერცხლი მივიღეთ, ცერები გადავიჭერით, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. შენ პანკისის ხეობაში დაიბადე, მე – სამაჩაბლოში. ბედისმწერალმა ეგრე ინება, ეგრე განსაზღვრა. რა საოცარია, ცხოვრება. ჩვენი ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი ნაბიჯი გამჩენს წინასწარ აქვს ჩანერილი ცხოვრების წიგნი. ეს ძმადნაფიცობა იმიტომ არ შედგა, რომ ერთმანეთს მხოლოდ ღამაში სადღეგრძელოები და მოსაფერებელი სიტყვები ვუთხრათ. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“, – ვფიქრობდი გზადაგზა.

აღმართს შევუყვით. ძველი ციხის ნარჩენები მოჩანდა კლდის წვერზე, სადაც მომაკვდავი მზე სულს ღაფავდა. ვინ იცის, რამდენი მეციხოვნის სისხლია დაღვრილი ამ გორაკზე და რამდენი სიცოცხლე ჩაფერფლილა იმისათვის, რომ ჩვენ აქამდე მოგვეღწია. კლდის ნაშალზე რამდენჯერმე ჩამიცურდა ფეხი, თავი ძლივს შევიმაგრე. ჯარაფი ყოჩაღად მიიწევდა. შევისვენე, სული მოვითქვი, ხეობას გადავხედე, მოდღეგებული ქალივით შემომცინა ღვინობისთვემ.

თვალეები დავხუჭე. წარმოვიდგინე, რომ საბანძინდის კლდეზე ვიდექი და ბერების გამოქვაბულებიდან გადავცქეროდი ღიახვის ხეობას. ზუსტად ისე დამემართა, როგორც ბავშვობაში, როცა აბიათარი დამტუქსავდა და გულაჩუყებულს თვალბში ცრემლის გუბები ჩამიდგებოდა ხოლმე. ტირილი მომინდა. ღმერთო, შენ დამიფარე, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სამშობლოდან კარგა ხნის გადახვეწილი ვიყავი და იმ ადგილების გახსენებაზე მეტირებოდა, სადაც ბავშვობა გავატარე.

– როდის დავბრუნდებით სამშობლოში, ჯარაფ? – ჩემთვის ნავიბუტბუტე.

ქისტმა ძმადნაფიცმა თითქო ვერ გაიგო. მიდიოდა, მუხლჩაუხრელად მიუყვებოდა აღმართს, უნდოდა, რომ მზისთვის ცოცხალს მიესწრო.

– ჯარაფ, გესმის ჩემი?

ის მაინც აგრძელებდა გზას. იტყოდი,

რო ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

– დავბრუნდებით, ჯარაფ? მითხარი, თუ ასე ვიხეტილებოთ მთელი ცხოვრება.

ბოლოს გულმა ველარ მოუთმინა, მოტრიალდა.

– დავბრუნდებით. ალაჰი იმისთვის გვახეტილებს, რო დავბრუნდებით. სხვანაირად არ შეიძლება. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. დავბრუნდებით, დავბრუნდებით. არსად წავსულვართ, მაგრამ დიდი გზა დასაბრუნებელი, გავივლით ამ გზას.

– როდის გავივლით? –

ჯარაფმა უცნაურად შემომლიმა.

– მალე გავივლით!



ღვინობისთვის მზე უკვე გარდაცვლილი დაგვხვდა. არიმათიელის სუდარასავით გაეშალა მენამული ღრუბელი უზენაესს და ნაგვემი, ნაჯიჯგნი მნათობი, გორაკს გადალმა ჩაესვენებინა.

კლდის წვერზე ვიდექით და სიკვდილის სიცოცხლეზე გამარჯვების საშინელ სურათს ვუმზერდით. ბინდი მოდიოდა, თუმც ვხვდებოდით, რო დროებითი იყო ეს გამარჯვება. დილით ისევ ამობრწყინდებოდა მკვდრეთით აღმდგარი მზე.

– შენ ჩემი ძმადნაფიცი ხარ და ამიტომ გეტყვი... – მითხრა ჯარაფმა. – აქ ხშირად მიყვარდა ამოსვლა. რამდენჯერ ვუძებნივარ ხასოს, თუმცა... – ჩაელიმა. – სულაც არ დამეძებდა? სანამ მუხლი ერჩოდა, დამეძებდა.

ბავშვობაში ამ კლდეზე ერთი ამბავი მომიყვა მეზიმ – უშვილძირო კაცი იყო. მარტოდმარტო ცხოვრობდა, სახლიდან იშვიათად გამოდიოდა, არავისთან მეგობრობდა. მე ხშირად მივდიოდი მასთან. კეთილი კაცი იყო. ბევრი რამე არ მოსწონდა მთის ადრე-წესებში. ამაზე დაუფარავად მესაუბრებოდა. არ მოსწონდა ქალის დანიშვნა, სისხლის აღება... ერთი სიტყვით, სხვანაირი კაცი იყო.

ორ ქისტს ერთი გოგო ჰყვარებია. ამ

კლდეზე ამოსულან და უთქვამთ, კენჭი ვყაროთ, ვინც პირველი გადახტება და გადარჩება, გოგოც იმისი იყოსო. ერთ მათგანს უეშმაკია და კენჭისყრის დროს მეორე მოუტყუებია. გაბრიყვებული ქისტი უნდა გადამხტარიყო. აბა, აქედან რო კაცი გადახტეს... – გადაიხედა ჯარაფმა, კლდიდან ხელისგულზე ჩანდა პანკისის ხეობა. – მინამდე არ დაჰყვება სული. ის იყო უნდა გადაშვებულყო ქისტი, რო გულმა ველარ გაუძლო მეორეს.

– ვაჟკაცი ყოფილხარ, ქალი შენ გეკუთვნისო, – უთქვამს.

– მე... – თითქო სიტყვა გაუძალიანდა. ხო არის ადამიანში ტკივილი, გინდა, რო ის ტკივილი დაიამო, იმ ტკივილისგან გათავისუფლდე. მე არასოდეს მქონია ამის სურვილი. ალბათ, არც გამიჩნდება. მინდა, რო, სხვა ტკივილებთან ერთად, ეს ტკივილიც ჩემში იყოს. ტკივილი თან გტანჯავს, თან გაბედნიერებს.

შეიძლება იფიქრო, ტკივილი როგორ უნდა გაბედნიერებდესო. ჩემს არსებობას ამ ტკივილით ვგრძნობ. თუ ეს ტკივილი აღარ იქნება ჩემში, ჩემს ყოფნასაც აზრი აღარ ექნება. ძალიან ბევრი ვეცადე, რო დამევიწყებინა. რალა დაგიმალო, ფიციც დავდე. მეჩეთში წავედი, ვილოცე და ალაჰის წინაშე დავიფიცე, რო დავივიწყებდი, იმიტომ რო ის უკვე დანიშნული ქალი იყო. ხანდახან წესები სიყვარულს გზას უღობავს. ძალით სიყვარული არ გაუჩენია ალაჰს. ის თავისით მოდის, ნიავევით გაიხლოვდება, საიდან წამოგეპარება, არ იცი. ამის გამო იბადება ადამიანი და, რის გამოც იბადება, ხშირად თვითონვე უარს ამბობს.

ადამიანები როლს მშვენივრად ირგებენ და დაწესკანონებულ რალაცეებს ღმერთის ნებას მიანერენ. ვის გამოეცხადა, ვის ამცნო თავისი ნება უზენაესმა? სიყვარული თავისუფლების გარეშე არ არსებობს და არც თავისუფლება – სიყვარულის გარეშე. გადახედე სასაფლაოს, აი, – თითი გაიშვირა ჯარაფმა. – სადღაც, იქ არის. უსიყვარულოდ წასული

ადამიანები წვანან. იცხოვრეს, ოჯახები შექმნეს, ინვალეს, შვილები დაზარდეს, ადათ-წესები ბოლომდე შეასრულეს, თავიანთი ოცნებების, სიყვარულის ხარჯზე და რატომ უნდა იყოს ამით მადლობელი ის, ვინც ოცნების და სიყვარულის ნიჭი და მადლი მოგვცა.

ფიცი, ფიცი დავდე. ვერავის გავანდობდი, ვერავის გავუმხელდი, ვიტანჯებოდი. არ დაგიმალავ, თავის მოკვლაც მიფიქრია, მაგრამ ხასო მეცოდებოდა. ერთადერთი მემკვიდრე მე ვყავდი, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ოჯახის ტრადიცია უნდა გაეგრძელებინა. მახამლანის ფუძე მოიშლებოდა. ვერ გავაკეთე, ალბათ, უფრო ხასოს გამო ვერ გავაკეთე, არადა... სულ მასთან ვიყავი, ყოველწუთს, საათს მასთან ვტრიალებდი, წარმოსახვაში ვხედავდი და ვესაუბრებოდი, მისი ხმა ჩამესმოდა, მისი სიცილ-კისკისი, გათენებიდან დაღამებამდე, სულ ის მიტრიალებდა თავში. მე არ ვიცი... მეგონა, რო ჭკუიდან ვიყავი გადასული. ვცდილობდი, როგორმე დამევიწყებინა, არაფერი გამომდიოდა. დავინწყება იოლი არ იყო. ვგრძნობდი, როგორ შევიცვალე, სხვა ადამიანად გადავიქციე, სხვანაირი ფიქრებით ვიყავი მონამლული, მონამლული თუ გაბედნიერებული. თან ტკივილები მქონდა, თან ნეტარებას ვგრძნობდი. ვიცოდი, რო ადათს ვერ დავარღვევდი, ეს შეიძლება, საბედისწერო იქნებოდა ჩემთვის... მხოლოდ შენ გაგანდე.

ის გოგო ძალიან მალე გათხოვდა. თვითონაც იტანჯება. საბედო ძალით შეაჩეჩეს, უსიყვარულოდ მიუგდეს ცხოვრებას საჯიჯგანად.

აქ, ამ ადგილას ამოვედით. ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. ზუსტად ეს დრო იყო, მზე ჩადიოდა, მიიპარებოდა მთებს იქით. თითქოს ჩვენი მზეც ჩადიოდა, ესვენებოდა. ხელიხელჩაკიდებული ამოვედით. აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, რო არავის დავენახე, მთელი ხეობის სალაპარაკო და სალიზლიზო გავხდებოდი, რაც სიკვდილის

ტოლფასი იქნებოდა. ორი გზა იყო, ორივე სიკვდილით მთავრდებოდა. ვიფიქრე, მომეკიდა ხელი და სადმე გადავკარგულიყავი, ვილაცის დაწესებულ ადათებს გავეცეოდი და სადმე, უცხო მიწაზე მეცხოვრა, მისი სუნთქვა მეგრძნო, მისი ცქერით დავმტკბარიყავი. ამით ჩემი ხალხისთვის მკვდარი ვიქნებოდი. დიდი და პატარა სათაქავში ამოიღებდა ჩემს სახელს. ხასოს ფურთხებას დაუწყებდნენ, მისი ნანინანატრი ძმისშვილი ხეობის სირცხვილად იქცეოდა. ხასო, რასაც გააკეთებდა, ესეც წარმომედგინა. ამ შერცხვენას ყულფში თავის გაყოფას ამჯობინებდა, ვკარგავდი ყველაფერს, თუმცა, ჩემთვის ყველაზე მთავარი არსება გვერდით მეყოლებოდა და თავს იმით გავიმხნეებდი, რო მე სიყვარული არ დავთმე, საკუთარი თავი არ უარყავი. თითოეული წამი და წუთი, მასთან გატარებული ბედნიერებით იქნებოდა სავსე. მეორე გზაც სიკვდილით მთავრდებოდა. მისი დათმობით იმას ვკარგავდი, რის გამოც ამქვეყნად მოვედი. რა აზრი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას, უფერული დღეები მიეტკეპნებოდა ერთმანეთს, სიცოცხლისა და სიყვარულისგან დაცლილი დღეები. საკუთარი სხეული უსაფლავოდ დარჩენილი ცხედარივით უნდა მეთრია.

ისე მაგრად ჩავეჭიდე ხელი, რო შეჰკივლა. ცივი, გაყინული ხელი ჰქონდა. ავიტაცე, გულში ჩავიკარი, დიდხანს ვკოცნე და მისი სურნელით ავივსე. მიყურებდა, ცახცახებდა და ტიროდა, მისი ცრემლის გემო ვიგრძენი, ანგელოზის კურცხალით დამისველდა სახე.

მზე ჩადიოდა, არ გვიცდიდა, მზემაც ზურგი გვაქცია. ნეტარებას ვგრძნობდი. ვიცოდი, დიდხანს არ გაგრძელდებოდა ეს წუთები.

– ხო გიყვარვარ? – თაფლისფერ, ცრემლიან თვალებში ჩავხედე.

ხმას არ იღებდა, უხმოდ ტიროდა.

– მითხარი, ხო გიყვარვარ?

მეც ცრემლები მომანვა. ცას ავხედე, ბნელდებოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა,

თითქოს ანგელოზები დაგვეტრიალებდნენ.

– რატომ გავჩნდით, რისთვის გავჩნდით. რა აზრი ჰქონდა ჩვენს ამქვეყნად მოსვლას, მითხარი...


ჩემი თავი რო ქვეყანაზე ყველაზე მამაცი მეგონა, ვგრძნობდი, როგორი უმნეო ვიყავი. ხელში მეჭირა ბედნიერება, რომელსაც ჩემი ნებით ვკარგავდი, არადა, ხომ შეიძლებოდა, სულ სხვანაირი ყოფილიყო ცხოვრება, სულ სხვა გზით წარმართულიყო. რა დავაშავე ისეთი, ვილაცის თუ რალაცის გამო უარი უნდა გვეთქვა ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე. – თვალეები დახუჭა ჯარაფმა, გაირინდა. – რატომ არ ჰქონდა ამ ანგელოზს სიყვარულის უფლება?

რატომ უნდა გაჰყოლოდა მისთვის უცხო, ბავშვობაშივე დანიშნულ მამაკაცს ეგრე, მორჩილი პირუტყვივით. წარმომედგინა, ჩემსავით რამდენი ამბობდა სიყვარულზე უარს იმის გამო, რო ადათისთვის არ ელაღატა. ვერავის გაებედა, რო სიყვარულს, ღვთისგან ბოძებულ სიყვარულს გაფრთხილებოდა და ბოლომდე დაეცვა. საკუთარი თავიც გადაერჩინა და უსიყვარულოდ დაბერებისთვის განწირული ადამიანებიც.

ერთ მშვენიერ დღეს დაიბადებოდა ვინმე, ვისაც ჩემზე და სხვებზე მეტი ვაჟკაცობა აღმოაჩნდებოდა, ყველას ზურგს შეაქცევდა

და თავის სიყვარულს გადაარჩენდა. არ შეიძლება სიყვარულის დათმობა ვილაცის ან რალაცის გამო. ეს ღვთის უარყოფაა, ამით საკუთარ თავში ყველაზე წმინდას ჰკლავ, თრგუნავ და ეგრე სულდასაჭურისებული აგრძელებ ცხოვრებას. ადათიც, წესიც, სარწმუნოებაც იმისთვის არსებობს, რო ბედნიერება და თავისუფლება მიიღონ ადამიანებმა...

– მითხარი, გიყვარვარ თუ არა? – ისევ ჩავბღაოდი ხელებში მომწყვდეულს. ცრემლიანი თვალეებით მიდასტურებდა, რო ვუყვარდი და, რა მერე, რა აზრი ჰქონდა ამ დადასტურებას. მომავალი ტკივილებისთვის მჭირდებოდა, ისე ვერ ვიცოცხლებდი.



თითქოს ადიდებული მდინარე მოდიოდა და ჩემი ხელით უნდა მიმეცა სიყვარული ყალყზე შემდგარი ტალღებისთვის.

ჩავიდა, ჩაიკარგა მზე. აი, ამ ადგილას ვიდექით და ხეობას გადავცქეროდით. ჩვენ ხეობაზე მაღლა ვიყავით, ცასთან ახლოს. აქედან ერთი ხელის განვდენაზე იყო ღმერთი, მაგრამ მაინც ვერაფერს გვიშველიდა.

თვალეებში ჩავცქეროდით. ასე გარინდებული ვიდექით და ერთმანეთს სულებს ვუთვალეიერებდით. ტკივილები, მხოლოდ ტკივილები და ცრემლი, წინასწარ დატირებული სიყვარულის ცრემლი. სიბნელე შემოგვაცოცდა. ისევ ხელისხელჩაკიდებულები ჩამოვედით. გიჟური აზრები მომდიოდა, ვერც კი ვამხელდი. ნანწავის ბოლო შევაჭერი და გულის ჯიბეში ჩავიდე. ასე დამაქვს. როცა ტკივილებს ვერაფრით ვიყუჩებ, ამოვიღებ, დავყნოსავ და დავმშვიდდები ხოლმე.

სიგიჟე მოაქვს სიყვარულს. ვგრძნობდი ამას. შუბლზე ვაკოცე, ერთხელ კიდევ ჩახედე უძირო მზერაში და დავმშვიდობე.

რამდენჯერ ვცადე დავინყება, მაგრამ არ გამომდიოდა, როგორ უნდა გამომსვლოდა, მიყვარს და მორჩა.

ამ ამბიდან ძალიან მალე გათხოვდა.

ვიტანჯებოდი. მისი ნანწავის მოკვეცილი ბოლო მედო გულზე და ჭერს მივმტერებოდი. ნაძალადევი სიყვარულს როგორ ეთამაშებოდა, ვგრძნობდი და ვიცოდი, როგორ მოუწევდა სიცოცხლის ბოლომდე ეს თამაში, რომელიც მერე ბუნებრივ სახეს შეიძენდა, მშვიდი, მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისად გადაიქცეოდა, იქნებოდა ბევრი შვილის დედა, რომელიც ვილაცისგან დაწესებული ადათის გამო წვებოდა ბავშვობაში შერჩეულ მამაკაცთან. აჩენდა ბავშვებს და იყო „ბედნიერი“ ქალი, თუმცა...

მისი ნანწავის ბოლო დამრჩა, მას კი ჩემი ნაჩუქარი, მთის ყვავილების პანია კონა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გამხმარი და ფერდაკარგული, სადმეს საგულდაგულოდ ექნებოდა შენახული, –

ჯარაფი გაჩუმდა.

– ეხლა, ეხლა სად არის ის გოგო, – მოუთმენლად ვკითხე.

ხმას არ იღებდა, ბინდში ჩაძირულ ხეობას გადასცქეროდა. ბოლოს თითი გაიშვირა და მითხრა:

– აიმ სოფელს ხომ ხედავ?

დავაკვირდი, ბინდში ციცქნა სახლები გავარჩიე და თავი დავუქნიე.

– იქ არის, – თქვა და თავი დააქნია.

– აქ ამოვდივარ ხოლმე და გადავყურებ. შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ მის სუნს ვგრძნობ, მის სუნთქვას ვიგებ და, შენ წარმოიდგინე, ვესაუბრები, – ჩაელი-მა. – არა გჯერა?

– მჯერა.

– ის არის მისი სახლი, – ჯარაფმა თითი დაბლობისკენ გაიშვირა.



– ცეე, მა ვით ცო, დაად, დიებ ჰუეგ აას, დაი ნანიე დეედ სუეგ, ცა დეითაჰ, ქუერთ ბიურგ ბ აას („მარტო ნუ დამტოვ, პაპა, შენთან მინდა, გევედრები წამიყვანე, დედა და მამა მაჩვენე. თუ არ წამიყვან, თავს მოვიკლავ“ – ჩეჩნ.).

სიცხიანი ბავშვის ლულულულს რო ვუსმენდი და თან ხასოს და ჯარაფის სახეებს ვუყურებდი, მუხლი მეკვეთებოდა. ხასო მალ-მალე ჭერს მიაპყრობდა თვალებს, ცოტაც და ცრემლი წასკდებოდა ამ უტეხ პანკისელს, რომლის თავზე დატრიალებული ცხოვრების წისქვილის რამდენჯერმე მოკოდილი დოლაბი ერთიანად დამსხვრეულიყო. ასეც ხდება, დოლაბებზე უფრო გამძლენი არიან ადამიანები. ხასო ასეთი კაცი იყო – დაუმარცხებელი, შეუპოვარი, ახალგაზრდობისუამინდელი თავზეხელაღებულობა ისევ უჩანდა თვალეებში. ხეობაში თავისი სიბრძნით და რაინდული თვისებებით ცნობილი უხუცესი, ასეთი გულადულებული მე კი არა, არც არავის ეყოლებოდა ნანახი. იტყოდი, რო ცა თავზე ჩამოემხო. შვილიშვილივით ზრდიდა ჯაბრაილს. ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში შემოხიზნულ ათიოდე

წლის ჩეჩენ ბიჭს, რომელსაც ოჯახი გაუნადგურეს და ერთადერთი მოხუცი პაპა, სამოცდაათს გადაცილებული, ფეხებდაკუტებული მოჰმადი კავკასიონის იქით დარჩა. ჯაბრაილის დაცლილ სოფელში სამი თუ ოთხი ჩეჩენილა იყო, მათ შორის მისი პაპა მოჰმადი, რომელიც მშობლიურ სოფელს არ მოსცილებია, ომში დაღუპული ბიჭისა და რძლის საფლავებს უვლიდა და ჯაბრაილს კერას არ უციებდა. ტაატაობით დადიოდა, გადაადგილება უჭირდა, მაგრამ სასაფლაომდე ახლო იყო მანძილი. მისთვის თითქო ყველაფერი დასრულებულიყო. გამოცარიელებულ სოფელში ჩარჩენილ სამიოდე მეზობელთან არგუნა სიცოცხლის დარჩენილი დღეების გატარება უფალმა. ერთადერთი ბიჭი ცოლთან ერთად მოუკლეს და მისთვის ყველაფერი გათავდა, მაგრამ ახსენებოდა, რო პანკისელმა ქისტებმა შეიფარეს მისი შვილიშვილი და სადღაც იმედის ნაპერწკალი მაინც ენთო – „ჯაბრაილი დაბრუნდება, გაიზრდება და დაბრუნდება. ჯაბრაილის ბალახგადავლილი სახლი არ უნდა დახვდეს. კერა არ უნდა გაუცივდეს!“ ალაჰმა იმიტომაც არ წაიყვანა მოჰმადი. დაცარიელებულ სოფელში ყოფნა სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ ჯაბრაილი აძლებინებს. მისი შვილიშვილი სამშვიდობოს არის, მისი ერთადერთი ნუგეში ცოცხალია. დრო მოვა და...

ამ სახლის კედლებს შეახარჯა ჯანი მოჰმადმა. თვალებს დახუჭავს და ხედავს, როგორ აჟიყვივდება ჯაბრაილის ოჯახი. პატარა მოჰმადიც გაივლის ეზოში ოდესმე.

ალაჰი მონყალეა!

– პაპა, პაპა! – სიცხიანი ჯაბრაილის ხმა ესმოდა ხასოს.

– ჯაბრაილ, ჯაბრაილ! – სიცხით გათანგულ ბიჭს ჩასძახოდა ჯარაფი.

– დაად ჰეიც ვიგურგ მავი სო დაა ვეითსუეგ („პაპა, პაპა, ხო წამიყვან შენთან, მამა მაჩვენე“ – ჩეჩენ.). რო იტყვიან, ცამონმენდილზეო, ეგრე უცხად გახდა ავად ჯარაფის შვილობილი. ორი თუ სამი დღე

მაღალი სიცხეები ჰქონდა, ცახცახებდა, გაურკვეველად ლაპარაკობდა. ხან უაზროდ გამოახელდა თვალს, ჭერს მიაშტერდებოდა, მერე ჯარაფს და ხასოს შეაცქერდებოდა და ისევ ბოდვას იწყებდა. ვილაცების სახელებს ახსენებდა. ბოლოს დუისელმა ხასოს ნათესავმა ექიმმა უწამლა. ცოტა მოკეთდა ჯაბრაილი. სიცხემაც დაუნია. სამი დღე რო პირთუნანილო იყო, ჭამაც დაინყო, თვალეებში შუქი ჩაუდგა. მადა მოუვიდა, უგერგილოდ ლეჭავდა ლუკმას და თითქო ჩვენი რცხვენოდა, თვალს გვარიდებდა, მზერა სადღაც გაურბოდა, ფიქრით სხვაგან იყო.

– ძია ჯარაფ, რაღაც... – თითქო ენა დაება, სათქმელი გაუნყდა, ბორძიკ-ბორძიკ ლაპარაკობდა. – მინდოდა... მე... სულ...

ჯარაფმა ცრემლებმონოლილ თვალეებში ჩახედა ჯაბრაილს და თავზე ხელი გადაუსვა. ჯაბრაილმა მონოლილი ცრემლი ველარ შეიმაგრა, კურცხალი თვალზე გადმოეკიდა.

– ძალიან მიყვარს აქაურობა, არც კი ვიცი, როგორ ვთქვა.

– დამშვიდდი, – თავი აანევიანა ჯარაფმა.

– როგორც ჩემს სახლში, აქაც ისე ვარ. თქვენ ბევრი გააკეთეთ ჩემთვის, მინდა, რო სულ თქვენ გვერდით ვიყო. ეს ხეობა ძალიან შემეყვარდა, სკოლაც ძალიან მიყვარს, ჩემი მეგობრებიც, მაგრამ მაინც ჩემს სახლში მინდა. პაპა ძალიან მენატრება. სიზმარში სულ იქა ვარ. ვიცი, მარტოდმარტო ცხოვრობს, სოფელი ცარიელია, რამდენიმე მოხუცილაა, ცოდოა პაპაჩემი. ჩემი თავი ძალიან სჭირდება. წამიყვანე, ძია ჯარაფ ჩემს სახლში, ძალიან გთხოვ. პაპაჩემს მივეხმარები. ის სულ ჩემზე ფიქრობს. ვიცი, ჩემი დარდი აქვს, ერთად ვიქნებით... ოღონდაც ეს სურვილი შემისრულე, – ჯარაფს მოეხვია ჯაბრაილი. – ხომ შემისრულე, ხომ წამიყვან?

ხასო შემოვიდა. ჯაბრაილის საუბარი ესმოდა. მცირე ხანს მდუმარე იყო, მერე ჯარაფს შეხედა და თქვა:

– ჯაბრაილის იქ წასვლა ჯერ არ შეიძლება, წადი და პაპამისი წამოიყვანე!

ჯარაფის პასუხს არ დაელოდა ჯაბრაილი.

– არ წამოჰყვება პაპაჩემი, ვიცი, რო არ წამოჰყვება. ის სახლს არ მიატოვებს.

ხასომ ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი.

– ჯარაფი სთხოვს და წამოჰყვება.

– მე წავყვები, გეხვეწები, წავყვები, ჩემს სოფელს ვნახავ და უკან წამოვალ, გეხვეწები, – ხან ხასოს შეხედავდა მუდარით სავსე თვალებით, ხან ჯარაფს. – ისევე გამოვყვები უკან.

ხასომ ჯარაფს შეხედა და თქვა:

– პაპას აქ ჩამოიყვანს, გაიზრდები და ჩახვალ შენს სოფელში.

ჯაბრაილს აღარაფერი უთქვამს. ვატყობდი, რო სხვაგან იყო ან რა შეტყობა უნდოდა. შეხედავდი და ეგრევე მიხვდებოდი, როგორ შეიცვალა. ისედაც სევდიანი თვალები ჰქონდა, დარდით ჩანისლული, სადღაც, ფიქრის სხვენზე დამტვერილი, მივინყებული ღიმილი იშვიათად მოაკითხავდა. ტკივილი უჩანდა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებული მზერა ჰქონდა. ფიქრით დამძიმებული, არც ცრემლი დამინახავს მის თვალებზე. ჩაყინული ჰქონდა სულში ცრემლები. არადა, ბავშვი ღიმილის და ცრემლის გარეშე სად გაგონილა, ხალასი ღიმილის და ბავშვური ცრემლის გარეშე... სულ რო არაფერი გცოდნოდა ამ ბიჭის ოჯახზე, მის მშობლიურ სოფელზე თავსდატყინილი უბედურების შესახებ, შეხედავდი და მარტივად მიხვდებოდი. ჯაბრაილის თვალებიდან ყველაფერს ამოიკითხავდი. მის მზერაში ჩარჩენილიყო ომი, მის მზერაში დაინახავდი დაქცეულ ოჯახს, გაუპატროსნებელ ცხედრებს, დაცარიელებულ სოფლებს, კვნესისა და ვაების საშინელი ხმა მოგწვდებოდა. სითბოსა და სიყვარულს ვინ მოაკლებდა ხასოს ოჯახში, მაგრამ მაინც თავისი სახლი ენატრებოდა, თავისი კარ-მიდამო... წართმეული ბავშვობა მთის იქით დაეტოვებინა. გვიყურებდა და თვალებით გვეუბნებოდა

სათქმელს. სევდით ჩანისლულ თვალებში უცნაური შუქი მოჩანდა, ეს დაბრუნებისა და ვაჟკაცი ვალის მოხდის ჟინი იყო. მეჩვენებოდა, რო, რაც სხვა პატარებს, მის თანატოლებს წლები სჭირდებოდათ, ის დღითიდღე იზრდებოდა, დღითიდღე სხვანაირი ხდებოდა. თითქო სიმაღლეშიც მოიმატა, ხმაც შეეცვალა. იტყოდი, რო უფალს დრო მხოლოდ მისთვის აჩქარებინა, მიზნამდე მისაღწევი დრო.

ჯარაფიც ამჩნევდა, როგორ თვალსა და ხელს შუა შეიცვალა ჯაბრაილი. ჩემმა ძმადნაფიცმა გადაწყვიტა, რო ჩეჩნეთში გადასულიყო და ჯაბრაილის პაპა ჩამოეყვანა. იცოდა, რო ცოცხალი იყო, მაგრამ კარგა ღრმად მოხუცებული და ის აფიქრებდა, ცხენით როგორ შეძლებდა მის გადმოყვანას. რუსების პოსტებით იყო მოფენილი ჩეჩნეთის დაცარიელებული სოფლები და ჯარაფის იქ ჩასვლა... ვუთხარი კიდევ, იქნებ სხვების გაგზავნა ჯობდა, – მაგრამ ჯარაფის ნათქვამი სიტყვა აღარ იცვლებოდა.

– ბაქარ, ჩემი თითოეული დღე, წუთი და წამი, ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს ეკუთვნის. ადამიანი მხოლოდ თავისი თავისთვის არ ჩნდება. ამ ბიჭს, ჯაბრაილს, საგზალი სჭირდება დიდ გზაზე, მიხვდი, რაზეც გეუბნები, ვილაცამ უნდა მისცეს მას ეს საგზალი, თორემ ჯაბრაილის შეილს, როცა გაჩნდება, თავისი მშობლიური სოფელი, თავისი სახლი აღარ მოენატრება. ასეთი კაცები კი ჩემს ქვეყანას არ სჭირდება. მე მის დაღუპულ მამას არ ვიცნობდი, მაგრამ, წარმომიდგენია, როგორი ვაჟკაცი იყო, როგორ ცხოვრობდა, შეილს როგორ ზრდიდა. ასეთი ადამიანების დამარცხება შეუძლებელია. შეიძლება, ოჯახის წევრი მოუკლა, სახლ-კარი დაუნვა, ცხოვრება გაუმწარო, მაგრამ ამ სულის ჩაკვლას ვერ მოახერხებენ. იმიტომაც არიან დაბოლმილები და, სიმართლე გითხრა, მეცოდებიან კიდევ, მტერი როგორ უნდა გეცოდებოდეს, მაგრამ, რო დაუკვირდე, საცოდავები არიან. ისინი ვერასოდეს ვერ იგრძნობენ იმას, რასაც ჯაბრაილი გრძნობს და განიცდის.

იმათ ეს ტკივილი არასოდეს ექნებათ, სამშობლოს ჯაბრაილივით ვერასოდეს ვერ იგრძნობენ. დამპყრობელს სამშობლოს შეგრძნების უნარი წაართვა ალაჰმა. ეგრე არიან ეგენი. ჩვენი მიზანი სამშობლოს გადარჩენაა, მამა-პაპის ძვლების დაცვაა, იმათ მიზანი კი რა არის? სხვისი მიწის მისაკუთრება, სხვისი სოფლების ანიოკება, სხვის ოჯახებში შევარდნა, ჯაბრაილის და მისი თანატოლებისთვის ბავშვობის წართმევა. დამარცხებული ამ ომში ყოველთვის დამპყრობელია. სიძულვილი, ძალმომრეობა ვერასოდეს ვერ მოერევა სიყვარულს. ჩვენ ვართ, ბაქარ, სიყვარული.

ვიდრე ჩეჩნეთის გზას დავადგებოდით, ნირნახდენილი იყო ჯარაფი. თითქო რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. არადა, ვგრძნობდი, ერთ ალაგზე ვერ ისვენებდა, ჯერ სოფელი დაიარა, მერე თავის ეზოში ბოლთას სცემდა.

წითელ კლდეს მალ-მალე მიაშტერდებოდა, თავის გათხოვილ შეყვარებულთან გატარებულ ბოლო წუთებს იხსენებდა. თუკი რამე ტკივილი და წუხილი ეგრძნობინებინა მისთვის ცხოვრებას, თითქო ერთად მოაწვა, ერთად იგრძნო. დუმდა და მშობლიურ მთებს გასცქეროდა.

– თქვი რამე, ჯარაფ, – მხარზე მოვუთათუნე ხელი.

შემომხედა და გაიღიმა.

– რა ვთქვა, საზარელი სიზმარი ვნახე, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, გამთენიისას წამთვლიმა, რაღაც საშინელებები დამესიზმრა, თუმცა... – ხელი ჩაიქნია. – სიზმარი და ცხადი ერთნაირია. რაც აქ არი, ის სიზმარშია, – მხრები აიჩეჩა. – მივდიოდი და ჩემს ცხედარს მივათრევდი, მძიმე ვიყავი, ისე... – ჩაეღიმა. – სიზმარში უფრო მძიმე ვიყავი. საკუთარი ცხედრის თრევაზე საშინელება არაფერი ყოფილა...



რაღაც ბრაგუნის ხმა მომესმა. ჯარაფის არ იყოს, ბოლო დროს ძილი აღარ მეკარებოდა. ვგრძნობდი, როგორ უმონ-

ყალოდ მძიძგნიდა ღამე, ძილგამფრთხალ თვალებს მიკორტნიდა. გამთენიისას წამთვლიმა. ლიახვის ხმაური ჩამესმოდა და ბედნიერებისგან ყვირილი მინდოდა დამენყო, მაგრამ, ხო გიგრძენია, სიზმარში არც ხმა გაქვს, არც გადაადგილება შეგიძლია, ეგრე ხელფეხშებოკილი დგეხარ და ხმას ვერ იღებ. არადა, ბედნიერი ხარ. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო დიდი ხნის განშორების შემდეგ ჩემს ხეობაში დავბრუნდი. მინდოდა, ეს სიხარული ღრიალით გამომეხატა, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

ბოლოს, როგორც იქნა, დავიმორჩილე სხეული, ხელ-ფეხში ძალა მომეცა, მისი სახლისკენ მიმავალ გზას ავუყევი. ის იყო ჩემი გაუნელებული ტკივილი და ამ დროს სიხარულის მომნიჭებელი. მივდიოდი და ნაბიჯებს ვთვლიდი, თითქო საუკუნე არ მენახა და მეშინოდა, ვაითუ, ვაითუ აღარც ვახსოვარ. ხომ შეიძლება, გადავავინყდი. დავინყების ლუკმები ვართ ადამიანები და მე რაღა ვარ, იქნებ წავიშალე მისი მესხიერებიდან?! – გული მიკანკალებდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი მის სახლს, რომელიც, სულ მეგონა, რო მისი თვალებით იყო განათებული და გამთბარი. იმ საოცარი თვალებით, უძირო მზერით, სიყვარული რო მაგრძნობინა და ბედნიერი გამხადა. ვფიქრობდი, რო არ შემეყვარებოდა, ვინ ვიქნებოდი, რა ფასი ექნებოდა ცხოვრებას მის გარეშე. ჩემთვის მთავარი ის კი არ იყო, იქნებოდა თუ არა ჩემ გვერდით, ყოველდღე მექნებოდა თუ არა მისი დანახვის, მისი მოფერების შესაძლებლობა, მთავარი ის იყო ჩემთვის, რო არსებობდა ქალი, რომელმაც სხვა შუქი, სხვა სინათლე შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. ნათლის სხივებით ამავსო. მას არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მე ვგრძნობდი, რო ვუყვარდი, ვგრძნობდი, წყალი არ გაუვიდოდა.

– ათას ოცდამეჩვიდმეტე... – ნაბიჯებს ვითვლიდი. ვუახლოვდებოდი და უფრო მშორდებოდა მისი სახლი, როგორც ზღვაში თავჩარგული მზე. წყალზე

გართხმულ მენამულ ზოლს რო მისდევ მკლავურით და გინდა, ძონისფერ მნათობს შეეხო, მაგრამ უახლოვდები და უფრო შორდები.

– ცხოვრება ჩვენთვის არასოდეს არ დამთავრდება, ჩვენ ჩვეულებრივი მოკვდავები არ ვართ.

– ვინ გითხრა, რო ჩვეულებრივი მოკვდავები არ ვართ? – ჩაიკისკისა.

– ნამდვილი სიყვარული მარადისობას უერთდება და სიკვდილის ბილიკს გვერდს უვლის.

უარესად ჩაიკისკისა.

– მართლა გჯერა ამ ყველაფრისა?

– მჯერა კი არა, ზუსტად ვიცი, რო ასეა. ვინც ნამდვილ სიყვარულს გრძნობს, ის ღმერთის ნაწილი ხდება და მას სიკვდილის ანგელოზი ველარ ეკარება.

მოჩვენებასავით იდგა წინ.

– მოიცა, არ ნახვიდე, რაღაცას გეტყვი, არ ნახვიდე, გევედრები, მუხლებზე დავდგები, თუ გინდა, შენ გამო არაფრის მრცხვენია.

– რატო შეგიყვარდი ეგრე ძალიან, – ძალით დასერიოზულდა.

– არ ვიცი, – ლულულული დავინყე. თითქო დიდი რაღაც უნდა მომხდარიყო ჩემში, აფეთქებასავით, სულ ამის მოლოდინი მქონდა. ვიღაც უნდა გაჩენილიყო ჩემს სულში. სულის დაფენმძიმებაც არსებობს. სულმა სული უნდა შვას და მერე ერთად გააგრძელონ არსებობა. შენ უნდა დაბადებულიყავი. მე ვგრძნობდი ამას. რაღაც ვულკანივით მიახლოვდებოდა, სულის წვას ვგრძნობდი...

სადაც არ უნდა ნახვიდე ან ვისთანაც არ უნდა იყო, მაინც აქ ხარ, ამას ვერაფერი შეცვლის. რატომ შეგიყვარდიო. სიყვარულში დამნაშავე არ არსებობს. სიყვარულში ყველა მართალია.

– თვალებს, თვალებს ვერ ვხედავ, კარგად დამენახვე, – ხელი ნავატანე. საერთოდ გაუჩინარდა.

– ათას სამას ოცდაშვიდი... – ისევ ვთვლიდი ნაბიჯებს. მის სახლს მივატანე. ვიდექი, ხელ-ფეხი მითრთოდა, ყინულის

წვეთები მოგორავდა ხერხემალზე. ღრი-ალი მინდოდა, მაგრამ ხმა არ მქონდა, თითქო ენა ამომდლოდა ვინმემ. ჩაბნელებულ, გამოცარიელებულ სახლს მშიერი, მილასლასებული ძაღლივით შევცქეროდი. ჩამსხვრეულ ფანჯრებში მიძვრებოდა ლიახვის ნაპირიდან ამოსისინებული თელხი და ჩამოდლედილ, ჩამოძონძილ ფარდას აფრიალებდა. ღვთიური თვალები ჩამქრალიყო ამ სახლში და ცივი ქვების გროვად ქცეულიყო მისი საცხოვრებელი, ჩემი სალოცავი. სიზმარში ტირილი გაგიგია? რო გამოგალვიძებენ და თვალები სველი გაქვს.

კარგა იყო მოთენებული და ბრაგუნმა შემაკრთო. მერე ყვირილი ჩამესმა. სიზმარზე ფიქრი ველარ მოვასწარი, ძილში ნამტირალევი თვალები ამოვინმინდე და ნამოვხტი.

– ჯაბრაილ, ჯაბრაილ! – ყვიროდა ჯარაფი და ოთახიდან ოთახში დარბოდა.

– სად არის ჯაბრაილი, სად წავიდა?! ჯაბრაილის ცარიელ ლოგინს უაზროდ დასცქეროდა ჯარაფი, ლამის თვალები გადმოსცვენოდა. სხვა ოთახებშიც მოვჩხრიკეთ, ეზო, სახლის სხვენი, ბიჭი არსად ჩანდა.

– გაიქცა ჯაბრაილი! – ამოიხრიალა ხასომ, ნაბარბაცდა, ყვარჯნები გადაუცვივდა და ეცემოდა. თვალის დახამხამებაში მასთან გაეჩნდი, ხელები მოვხვიე, ტახტზე ჩამოვსვი.

– ვიცოდი, რო ამას იზამდა, ვხვდებოდი, – ღმუოდა ხასო. – შუალამისას ხმაური მომესმა. გავძახე, რომელი ხარ-მეთქი. ვიფიქრე, რო მომეყურადა. ეგ დიდი ხანი გეგმავდა გაპარვას, თვალეში ვატყობდი, სულ წასვლაზე ფიქრობდა, – მუხლზე დაირტყა ხელი.

ძიბახევის თავზე მოგვისწრო მზემ. მუწვი აჰმედის ცხენებით მივქროდით. ჯარაფი რაღაც ჩეჩნურ სიტყვებს ყვიროდა გზადაგზა. ცხენს უწყრებოდა, თუ საკუთარ თავს, ვერ ვიგებდი. ნაქეხებაც არ უნდოდა აჰმედის ჯიშიან ნაბლა ულაყს, სუნთქვა მეკვროდა, ისე მიმაქროლებდა.

ცხენზე ჯირითის დიდი გამოცდილება მე არ მქონდა, ჯარაფისგან განსხვავებით. თავიდან თვალეები ამიჭრიალდა, თავბრუ დამეხვა, ლამის ზღართანი მოვადინე.

– ნინაგორს ვერ გასცდებოდა, – ყვიროდა ჯარაფი. – ოთხი-ხუთი საათი ექნება ნავალი. ეხ, ჯაბრაილ! – გული მოსდიოდა. – მეგონა, ჩემს დაუკითხავად ფეხს არ გადადგამდა. ლეკვი მანამ არის შენი, სანამ ლეკვია, მგლად ქცეული უკვე ტყეს ეკუთვნის, – თავისთვის ბუტბუტებდა.

ნინაგორს გავცდით, ვიდრე ტბათანას მივატანდით, ცხენები შევაჩერეთ. ჯარაფს ისეთი გუმანი ჰქონდა, იშვიათად შეცდებოდა. გული რო რალაცას ამოსახებდა, სწორედ ისე უნდა ემოქმედა.

– აქედან საქისტოსკენ, მერე კი რკინის მთისკენ მიდის გზა, მაგრამ სადღაც აქ იქნება, ასე შორს ვერ წავიდოდა, – ჩაილაპარაკა ჯარაფმა.

ვნებამოძალებულები იყვნენ მუნჯი აჰმედის ცხენები, ერთ ალაგზე ვერ ჩერდებოდნენ, ჭიხვინებდნენ.

ბევრი რო აღარ გავაგრძელო, ერთი გადაგრეხილი, ბებერი ნიფლის ქვეშ ნავადექით ჯაბრაილს. შეკრთა, თითქო გაქცევა დააპირა, მაგრამ, მიხვდა, რო აზრი არ ჰქონდა. ჯარაფის ხანჯალი წამოეღო. ჩემი ძმადნაფიცი ორლესულს დასწვდა, შეათვალაიერა, ცას აჰხვდა, თვალებით მადლობა უთხრა სადღაც, უსასრულობაში მყოფ ქვეყნიერების გამჩენს. ჯაბრაილს რალა გაეკეთებინა, აღარ იცოდა. თავი ველარ შეიკავა, ერთიანად მოანვა ცრემლი და აზლუქუნდა.

ჯარაფს არაფერი უთქვამს, მოეფერა, თავზე ხელი მოუცაცუნა, ჯაბრაილის დამშვიდება სცადა.

– ჩეჩნეთში მიდიოდი?

ჯაბრაილს სლუკუნ-სლუკუნი გაუდიოდა.

– შენ და ტირილი? – იღლიებში მიუღიჩინა თითებით. – ცრემლი რა კაცების საქმეა. პაპაშენმა რო ესეთი გნახოს.

ჯაბრაილმა ცრემლები შეინმინდა, თავი ასწია და ჯარაფს მიაპყრო მზერა.

– წავიდეთ ჩეჩნეთში! – დაბრუნების ერთ აუნერელი ჟინი, მშობლიური სოფლის უსაზღვრო სიყვარული ერთო თვალეებში.

ჯარაფს არაფერი უთქვამს. მახამლაზისეულ ხანჯალს ატრიალებდა, ბოლოს დააყოლა:

– ვინ იცის, რამდენი მტერი ჰყავს მოკლული ამ ხანჯალს. მაგარი კაცი იყო, როგორც გამიგია. მახამლაზმა ბევრი თანატოლი გადაარჩინა გადასახლებას, ამ ადგილებში გადმომალა და უპატრონა, – თავისთვის ლაპარაკობდა ჯარაფი, ალბათ, ჯაბრაილის კითხვას, თუ სურვილს აუარა გვერდი და ამიტომ გადაიტანა მახამლაზზე საუბარი. – მახამლაზის ნათესავები ჰაიბახში ჩანვეს, – თქვა და ხანჯალი ქარქაშიდან ამოაძრო, ჯერ წვერი მოუსინჯა, მერე ფხა. ბოლოს ჯაბრაილს მიუბრუნდა და უთხრა:

– ეს ხანჯალი ხასოს აჩუქა მახამლაზმა, ხასომ მე მისახსოვრა. ეს ხანჯალი ჩვენი ოჯახისთვის ყველაზე ძვირფასი რამ არის. დაუკითხავად არ უნდა აგელო, მაგრამ... შენ გრუქნი. როცა ჯარაფის მიერ ბოძებულ საჩუქარს დახედავ, ჩვენი ოჯახი გაგახსენდება, აქ გატარებული წლები, კიდევ ერთი რამე გაგახსენდება, რო ღმერთს წინ არ უნდა გაუსწრო, ალაჰი ყოველთვის თვითონ მოგცემს ნიშანს, გაჩვენებს გზას, მთავარია, რო ყურადღებით იყო და ალესილი გონებით და თვალებით აკვირდებოდე ცხოვრებას. შენი ჩეჩნეთში დაბრუნების დროც მალე დადგება. მე უკვე გითხარი ამაზე. პაპაშენს ახალ კვირაში ჩამოგიყვან და გაჩვენებ, მერე ისევ დავაბრუნებ ითომ ჰალში.

ბიჭი ცხენზე შემოისვა ჯარაფმა. მუნჯი აჰმედის ჯიშთან ულაყებს წელანდელი ვნება თითქო ჩაუცხრათ, დინჯად დავეშვით ნინაგორის დაღმართზე.



„პაპაჩემმა მოჰმადმა მასწავლა, თავისუფლების სიყვარული, ძია ჯარაფ, თუმცა, მე ჯერ არ ვიცი, რა არის თავისუფ-

ლება, ვფიქრობ, ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ ცხოვრობს თავისუფალი ადამიანი. როგორ სუნთქავს, როგორია თავისუფალი ადამიანის თვალით დანახული ცხოვრება. სულ ამაზე ვფიქრობ, ოდესმე გავიგებ თუ არა ამ ყველაფერს. ყველგან თავისუფლებაზე მესმის საუბარი. ხასო პაპაც ამაზე ლაპარაკობს, შენც, ხეობის უხუცესებიც. ნუ მინყენ, რო სახლიდან გავიპარე და ჩემს მშობლიურ სოფელში გადავწყვიტე წასვლა. თავისუფლებას სხვა ვერასოდეს გაგრძნობინებს, სხვა ვერასოდეს დაგანახვებს, ეს შენ თვითონ უნდა იგრძნო, ამ გზას შენ თვითონ უნდა მიაგნო. ეს ვცადე. ვიცი, შენუხდი, დევნილი ჩეჩენი ბიჭის ბედი შენ გაბარია. აგერ უკვე რამდენი წელია, შენ შეიფარე ჯაბრაილი და შვილივით ზრდი საკუთარ სახლში, იქ ჯერ კიდევ არ არის სიმშვიდე, იქ ჯერ კიდევ კლავენ ადამიანებს და თავისუფლებას ართმევენ. წართმეული თავისუფლება უფრო ჯობია, თუ ის, საერთოდ არ იცოდე, თავისუფლება რა არის და მხოლოდ წარმოსახვით გრძნობდე. თავისუფლებაც წართმეული ადამიანი უფრო შეუპოვარია და დაკარგულის დაბრუნებაში ის უფრო განირავს თავს, ვიდრე ის, ვისაც საერთოდ არ უნახავს თავისუფლება და შეიძლება ეს ის ეგონოს, რასაც თავისუფლებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მე არ მინდა, ასეთ ადამიანად დავრჩე. რაც მალე დავადგები ამ გზას, უფრო კარგია, ალაჰი გაჩვენებს გზასო, მითხარი. ალაჰს ლოდინი არ უყვარს. ალაჰი გაჩენისთანავე გაჩვენებს გზას. ეს გზა შენია და სხვა გზის ძებნას იმ ფიქრით, რო იქნებ უკეთესი იპოვო, უფრო ადვილად გასავლელი, მგონი, აზრი არ აქვს და ამას ღმერთს ნუ დავაბრალებთ.

მე ვხედავ, ჩემს გასავლელ გზას და, მინდა, რო თავისუფლებას ვეზიარო. ეს მე სკოლაში ნესტან მასწავლებელსაც დავუწერე თავისუფალი თემის სახით: „რა არის შენთვის თავისუფლება“. ეს მე ჯერ არ ვიცი და არც ის მინდა, ვინმემ ხელი

შემიშალოს ამის გაგებაში. პაპა მოჰმედი ბედნიერი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა მისი შვილიშვილი თავისუფლებას იგრძნობს და მისი ფასი ეცოდინება.

მე არ მინდა, სულ სხვის კარზე ყოფნა და ოცნებები. ოცნება, შეიძლება, ამისრულდეს, შეიძლება – არა. მე ამას ვერ დაველოდები. იქ გავიზრდები, ცოლს შევიერთავ, პაპაჩემსაც მოვუვლი, ჩვენების საფლავებს მივხედავ, ნამდვილ თავისუფლებას სწორედ იქ ვნახავ, სადაც მისთვის ბრძოლა მომიწევს. თავისუფლებას ტყუილა არ ენირებიან გმირები. ალაჰი ხელს მომიმართავს და დამეხმარება. აღარ გავიპარები, მაგრამ ძალიან, ძალიან მალე წავალ.

ძია ჯარაფ! ეს ხანჯალი სულ თან მექნება...“

ჯაბრაილის დანერილ წერილს მიკითხავდა ჩემი ქისტის ძმადნაფიცი და მხრები უტოკავდა ღელვისგან. ბოლოს ეს ჩაილაპარაკა:

– ეს იმ აბრაგების შთამომავალია...

– რომელი აბრაგების?

თვალეზგაბრწყინებულმა შემომხედა:

– ჩეჩენი აბრაგების, რომლებმაც თავისუფლების ფასი იცოდნენ. ხოცავდნენ, ანამებდნენ, მაგრამ ვერ ამარცხებდნენ, ნეტა იცოდე, რა ბედნიერი კაცი ვარ, ბაქარ!

– ერთი დღე გათენდება და ყველა თავის სახლს დაუბრუნდება, სიზმრებში სულ ამ ადგილებს ვხედავ, – ამოიოხრა ჯარაფმა. – იარაღები ვეება ქვაზე დააღა და წყაროს ისე დაენაფა, იტყოდი, რამდენიმე თვე უდაბნოში ეხეტიალოს.

– უკვდავების წყალია, უკვდავების ბავშვობაში ზღაპრები ხო წაგიკითხავს, ხასო ჩეჩნურ ზღაპრებსაც მიკითხავდა და ქართულსაც. ეხლა ვრწმუნდები, რო ზღაპარში ყველაფერი მართალია და მიკვირს, რატომ დაარქვა ზღაპრები ხალხმა სიმართლეს. უკვდავების წყალი სულ მაინტერესებდა, – ტორებით მოპეშვილი ყინულივით წყალი რამდენჯერმე შეისხა სახეზე, მერე ისევ დაენაფა, თით-

ქო წყურვილს ვერ იკლავდა. – რამდენი მწყურვალე და დაჭრილი მოუცოცხლებია, – ცად აზიდულ მთებს ახედა, და ისლამე ნისლთან ერთად მოცურავდა ახლადმოფიფქულ ქედებზე. – აიმ გზას ხო უყურებ, – ქედებშია გაჭრილ სავალზე მიმანიშნა, – ამ გზამ... – უცბად თვალები დახუჭა და დადუმდა, სინანულის ნიშნად, თავი რამდენჯერმე გააქნია და, ვიდრე რამეს იტყოდა, ნაიბუტბუტა: – როდის უნდა დამთავრდეს ჩვენი ტანჯვა, ზოგი განცხრომისთვის იბადება, ზოგი... რალა მაინცადამინც ჩვენ შეგვარჩია იმ დალოცვილმა... თუმცა... ჯარაფის ნაჩუქარი ნაგანი, ავტომატი და ხანჯალი იქვე დავანყვე, წყალს დავენაფე, ისედაც ციოდა, სათოვლე პირი უჩანდა. ბარში ჯერ შემოდგომის მზიანი დღეები იყო, აქ უკვე იბადებოდა ზამთარი. პირველი თოვლი უჩანდა ქედებს. ყინულივით წყალი იყო, კბილებმა წკარანკური დამინყო, მაგრამ ჯარაფის მსგავსად ძლომას ვერ ვიგებდი.

– მართლა უკვდავების წყალია, – ნავიბუტბუტე, დაბლობს გადავხედე, მთის ფერდობზე დაფენილი ნისლი ბინდის ლუკმა ხდებოდა.

ჩემი ცხენი დინჯად იყო, წყალი დალია და თვინიერად შემოგვცქეროდა, თავს აკანტურებდა. ჯარაფის ულაცი მოუსვენრად იქცეოდა, დარწყულდა, მერე წყალში შევიდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

– გაანუნკა ეს ცხენი აჰმედმა, – თქვა ჯარაფმა. – განუნკება იცის ზედმეტმა ყველაფერმა, ზედმეტი მოფერება ანუნკებს, ზედმეტი დატუქსვა აბოროტებს, როგორც ადამიანს.

წამოდგა, მთებს შორის გაჭრილ გზას მიაშტერდა და თითქო თავისთვის თქვა:

– ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო, ალაჰის განგებულებას მე როგორ ჩავწვდები. ვერ მივხვდი, მომიტრიალდა:

– ამ გზით შემოიფარა საქართველომ ჩერენი დევნილები. კავკასიელი კაცი, კავკასიაში რო დევნილი გახდება, საკუთარ ჭერქვეშ რო ცხოვრებას აუკრძალა-

ვენ. გამწარებული ოჯახები შემოჰყავდათ შატილამდე მანქანებით. ტირილი, კვნესა, გოდება... ეს ტკივილები არსად გამქრალა, ბაქარ. ზოგიერთი ტკივილი ყურდება, დრო აყურებს, დავინყება ყველაზე დიდი წამალია, გაანჩია ტკივილს. ვაი, იმ ხალხს, ვისაც ასეთ უბედურებას დრო გაუყურებს და გადაავინყებს. გულმავინცი ერები ადვილად ქრებიან. საქართველოსთვის ეს ადგილი თითქოს ტკივილის კარიბჭედ იქცა. უამრავი ბავშვი და დედაკაცი გადარჩა. პანკისელი ქისტები ბოსლებში გადავიდნენ საცხოვრებლად და თავიანთ ჭერქვეშ დევნილი ძმები და დები დააბინავეს. სატვირთო მანქანიდან ჩამოვსვი მაშინ ატირებული ჯაბრაილი... – თვალები აუნყლიანდა ჯარაფს. – რისთვის არის ეს უბედურება საქრო. ყველა ადამიანს სადგომიც წინასწარ გამოუყო უფალმა და განსასვენებელიც. არ ვიცი, გამომყვება თუ არა მოჰმადი, ჯაბრაილს სიტყვა მივეცი. ითომ ჰალი რუსებით არის სავსე, მაგრამ, იმედია, მშვიდობის გზით ვივლით.

ბნელდებოდა, ცივი წვეთები დამეცა.

– ინვიმებს და თოვლსაც მოაყოლებს, – თქვა ჯარაფმა. – ამალამ ფილოსთან გავათენებთ და დილით, ადრიან, არლუნის ხეობაში ჩავალთ, – ავტომატი გადაიკიდა, „ტეტე“ ქამარში გაიჩყო. მისი ცხენი ისევ მოუსვენრად იქცეოდა, მალმალე დაიხიხვინებდა, პირს სამხრეთისკენ იბრუნებდა.

– აჰმედი უნდა წამოგვეყვანა, პატრონის გარეშე ვერ ძლებენ, – ჩაეცინა ჯარაფს. – ცხენს სადავე გაუსწორა და მარდად მოახტა. მასარის მთა გადავიარეთ, საყორნედან ბორბალოს მოვექცით და ანდაქის ხეობაში დავეშვით. აქედან არჩილო გავიარეთ და მუცოში გავჩერდით. ძველისძველი, ალაგ-ალაგ კედლებჩამორღვეული კოშკები ჩანდა. ბილიკები კლდის ნაშლით იყო მოფენილი, ცხენებს ხანდახან ფეხი უსხლტებოდათ, ნიღვრებით ჩამორეცხილ ფერდას ავუყევით, ძველისძველი შავი ფიქლით აშენებულ

ქოხში ცხოვრობდა პანკისელი ქისტების ნაცნობი, ფშავიდან გადმოხვენილი კოჭლი ფიდო.

– ჩვენებური ღოისოლთა ბორჩაშვილი მიყვებოდა ამ კაცზე, ეჭვიანობის მიზეზით თავისი გარე ბიძაშვილი მოუკლავს. კარგა ხანი ემალებოდა მილიციას. დასდევენენ, ჯოყოლოში ჩვენებურებმა შეიფარეს, მაგრამ ბოლოს თავისი ფეხით ჩაბარდა მილიციას და ათი წელი მოიხადა. ციხიდან გამოსვლის მერე ფშავში აღარ უცხოვრია. უშვილო ცოლი გათხოვილი დაუხვდა, აიყარა და აქეთ წამოვიდა. ხასოსთან მეგობრობს, ჩვენკენ ხშირად ჩამოდის ხოლმე. ცოტა უცნაური კაცია – ჩაკეტილი, თავისთავში ჩამწყვედეული. ხო იცი, ადამიანისთვის ყველაზე დიდი დილეგი საკუთარი თავია. თავის დილეგში გამომწყვედეული კაცია კოჭლი ფიდო. ყველას თავისი წილი ტვირთი აჰკიდა გამჩენმა ღმერთმა. ფიდოს ყურებდაჭრილმა ნაგაზმა ცხენები ლამის დაგვიფრთხო. ხევსურეთში გადმოსულმა ფშაველმა ძალლი დატუქსა. ცხენები ჩამონგრეული კოშკის წინ, ფიდოს მარგილებზე გამოვებით.

მასპინძელი ნაბლა ულაყებს კარგა ხანს აკვირდებოდა.

– მოგწონს? – ჰკითხა ჯარაფმა.

ფიდოს არაფერი უთქვამს.

– აჰმედისაა.

– აბა აჰმედი? – იკითხა მასპინძელმა.

– მუნჯი აჰმედი, ჩვენებური, დუისელი, მუსას ძმა.

ვერ მიხვდა ფიდო, მაგრამ თავი მაინც დაუქნია.

– ექვს მესისხლე მუსა, – განუმარტა ჯარაფმა.

– ვიცი, ვიცი, – ჩაილაპარაკა ფიდომ, მერე ისევ ცხენებისკენ გაექცა თვალი. – თორღვას მოპარეს ეხლახან ცხენები, ანდროო ქინჭარაულს ხო იცნობ, ბოსლები რო აქვს, მუცოს დაბლა.

ჯარაფმა თავი დაუქნია.

– ანდროს ბიჭია თორღვა, ჩერქეზებმა არუქეს წინა წელს ცხენები, ცოლი იქაური ჰყამ. სად აღარ ეძება, მაგრამ ვერაფერი. მაგარი ცხენები ჰყავდა.

– ჩვენს ცხენებს არ მოიპარავენ, – ჩაელიმა ჯარაფს. – მგელიც არ ეკარება ჩვენსას.

ღამე ფეხდაფეხ მოგვეყვა.

მოშიებული ვიყავით. ფიდომ ალაღად გამოგვილაგა, რაც ჰქონდა – გუდის ყველი, ცხერის ხორცი, ჩვენი საგზალიც მივამატეთ, ხასოს გამოტანებული არაყიც ჩამოვასხით. მასპინძელი უგერგილოდ ილუკებოდა. მალ-მალე შემოგვეხედავდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ჩვენი სტუმრობა დიდად არ გახარებია, მაგრამ ჯარაფს ხატრს ვერ უტეხავდა.

– ხო არ დაბერდი, ფიდო? – არაყის ჭიქა მიუჭახუნა ჯარაფმა.

ფიდოს ხმა არ ამოუღია.

– თქვი რამე, კაცო, რა დაგემართა?

ფიდომ საცოდავი თვალებით შეხედა ჯარაფს და მხრები აიჩეჩა. ჯარაფმა არაყი გადაჰკრა და ფშაველს თვალებში შეაცქერდა.

– აბა, მითხარი რა მოხდა, ეგრე თავპირი რო ჩამოგტირის.

ფიდომ არაფერი თქვა, ჯერ ჯარაფს შეხედა, მერე მე შემომაცქერდა.

– ეს კაცი ჩემი ოჯახის წევრია, ჩემი ძმადნაფიცია, – უცნაური მდუმარების პასუხად უთხრა ჯარაფმა.

გარეთ რალაც ხმაური მოისმა, ძალღმა დაიყეფა, ერთ-ერთმა ცხენმა დაიფრუტუნა. ჯარაფს კარისკენ გაექცა თვალი, ფიდო წამოდგა, ეზოში გავიდა, ორიოდ წუთში ისევ შემობრუნდა.

– ქინჭარაულების ბოსლებიდან ამოდის ხმაური, თორღვა დათვრებოდა, – თქვა და ისევ მაგიდას მიუჯდა. ჯარაფმა არყით შეავსო ჭიქები.

– მაინც არ მეუბნები, რა გჭირს, სხვანაირი ფიდო მახსოვხარ.

ჯარაფის მზერას ველარ გაუძლო ფშაველმა, ლამპას აუნია, მერე ქისტი სტუმრისკენ გააპარა თვალი. ჯარაფი ისევ

ბასრი თვალებით მიშტერებოდა. კარგა ხანს ყოყმანობდა ფილო. ვატყობდი, რალაცის თქმას აპირებდა და თითქო ვერ ბედავდა, ბოლოს ველარ მოითმინა. ნერწყვი უშრებოდა:

– აქედან უნდა ნახვიდე, ჯარაფ, – თქვა ფილომ და, იტყოდი, ტირილს დაინწყებო, კიდევ უფრო გაუსაცოდავდა თვალები. – აქ იმიტო ამოვედი, იმიტო ვგდივარ ეგრე, რო მინდოდა, მშვიდად მეცხოვრა. არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მომწყინდა ადამიანების ცქერა. მარტო ყოფნა მინდოდა, ეგრე სიმშვიდეში უნდა გამეტარებინა დარჩენილი დღეები. რა იცის ადამიანმა საბოლოოდ, სად იცხოვრებს, როგორ იცხოვრებს და, როგორ ნავა. ხმაური მიყვარდა ახალგაზრდობაში, სიცოცხლე ხმაურის გარეშე რა სიცოცხლეა. ხმაურშია მისი ეშხი და სილამაზე. შეიცვალა ჩემი ცხოვრება. იცი, შენ, ჩემი ამბავი, კაცის მკვლელი გავხდი, როგორი მართალიც არ უნდა ვიყო, მაინც თავისი გაჩენილი არსება წავართვი გამჩენს. მკვლელი ვარ, სისხლის ჩამობანვა ეგრე ადვილი არ არის. შეიცვალა ჩემი ცხოვრება, როგორ ვთქვა... სიმშვიდე მინდოდა, ჩემი გადაღლებული ცხოვრების მართლობაში გატარება.

– მერე, რამ შეგიშალა ხელი? – შეანყვეტინა ჯარაფმა.

– ცუდი ამბებია ირგვლივ, ჯარაფ, იქით რა ამბებიც დატრიალდა... – ენა დაება ფილოს.

– სად იქით?

ჩემკენ გამოექცა ისევ თვალი.

– რა გითხარი, ეს კაცი ჩემი ძმადნაფიცია-მეთქი, – მიხვდა ჯარაფი, რო ფილოს რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ჩემ გამო იკავებდა თავს.

ჯარაფს წყრომის ბგერები გაერია ხმაში. ფილომ რალაცები კი ილუღლულა, მაგრამ სათქმელი ბოლომდე არ გვითხრა. პირი უშრებოდა, ლამპას ხან აუნევდა უაზროდ, ხან დაუნევდა.

– ვილაცებებს დაქებენ, აქეთაც იყენენ... გადაცმულები გადმოვიდნენ, ტუ-

რისტები მეგონა, ხეობის ბილიკები გამომკითხეს. პანკისა და ლაფანყურში გადასასლელ გზებს აზუსტებდნენ. თავიდან მართლა ტურისტები მეგონა. საძილე ტომრები და ფოტოაპარატები ეკიდათ. სახლშიც შევიპატიჟე, ტურისტების მეტი ვინ ამოდის აქეთ. გზები ბევრისთვის მისწავლებია, ხანდახან მეგზურობაც გამინევია. ცოტა ფულს ვაკეთებ ხოლმე ზაფხულობით. როგორც გითხარი, ეჭვიც არ შემპარვია. ერთი გოგოც ჰყავდათ. ლამის კლდიდან გადაიჩხა.

სურათებს იღებდნენ, ერთი მათგანი დაბლობს დურბინდით აკვირდებოდა, მეორეს ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს კარნახობდა და ანერინებდა. რუსული მაინცადამაინც კარგა არ ვიცი, ზოგიერთი რალაც მეყურებოდა. სახელებს კი ეძახდნენ ერთმანეთს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ის სახელები არ ერქვათ. იმ ქალს რამდენჯერმე გავუსწორე თვალი და სიცილ-კისკისა ტურისტის თვალებში სხვა ვინმე იმალებოდა. ეჭვი იმან უფრო გამიმძაფრა, ორ მათგანს იარაღი რო დაფუნახე. ოთხი, თუ ხუთი დღის შემდეგ მეორე ჯგუფიც მოვიდა. სამნი იყვნენ. ერთი ჩემი ხნისა იქნებოდა, ორნი ახალგაზრდები იყვნენ, ესენიც ტურისტულად ჩაცმულები, მაგრამ ამათ მეგზურობა არ უთხოვიათ. ქოხში შემოვიყვანე. ის უფროსი კითხვებს მისვამდა და ვპასუხობდი.

ჯარაფმა მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი.

– რა კითხვებს სვამდა?

– პანკისელ ქისტებთან თუ მქონდა რამე კავშირი, ეს მკითხა. აქაურ ხალხთან ხევსურებსა და თუშებთან ქისტების ურთიერთობა აინტერესებდა. ჩეჩენი დევნილების გადმოსვლის ამბებიც გამომკითხა. მივხვდი, რა დავალებითაც იყვნენ ჩამოსულეები და რუსულის არცოდნა მოვიმიზეზე, მაგრამ ხვდებოდა, რო ვუმაღავდი ან რას ვუმაღავდი, – თქვა ფილომ. – თვითონ ჩემზე კარგად იციან, როგორც შემოვიდნენ ჩეჩნები. რალაც ამბებს აზუსტებდნენ. ვიდრე გამასამართლებდნენ, გამომძიებელთან ურთიერთობა ხო

მიხდებოდა, დაკითხვებზე, – ამოიხსრა ფილომ. – ზუსტად იმ გამომძიებელივით მეკითხებოდნენ. მე თუ ჩავდიოდი პანკისელ ქისტებთან ან ისინი თუ ამოდიოდნენ, ჩეჩენი მებრძოლების გადაადგილების შესახებ მკითხა.

ჯარაფმა არყით სავსე ჭიქა გვერდით მისწია და ფილოს შეხედა.

– რომელ მებრძოლებზე?

– სურათები მაჩვენა. ჰაჩაროელი ჩეჩენები გადმოსულან აქეთ, ბასაევის ხალხი, მებრძოლები, რვანი თუ ათნი. იმათი სურათები ჰქონდათ, – ჩაფიქრდა მასპინძელი, თან პირი უშრებოდა.

ჯარაფმა ისეთი მზერით შეხედა, მეგონა, ლამპის გამურულ-გაჭვარტლული შუშა გასკდებოდა და ფილოს ცხელი ნამსხვრევები თვალებში შეეყრებოდა.

– არაფერი დამიმალო!

ფილოს, ცოტა არ იყოს, ეწყინა, თვალებზე შეეცყო.

– რო არ მდომოდა, სულ არ გეტყოდი. ჯარაფი ისევ ეჭვით შესცქეროდა.

– ფული დაგიტოვეს?

ფილომ თავი დაუქნია. მერე ადგა, ტახტიდან ცხვირსახოცში გამოკრული რუსული ფული ამოიღო. გახსნა, ჯარაფის დასანახად დახია და ქოხის შუაგულში ჩინჩხვარზე მოდებულ ცეცხლში ჩაყარა.

– მე ზეგ მივდივარ აქედან... ფრთხილად იყავი ჯარაფ, – ნანვიმარი თვალეზით შეხედა ფილომ. – ყველგან ხაფანგებს აგებენ. ყველა არ მოუყვება ჯარაფს ასეთ ამბებს, არც ფულს დახევეს სტუმრის თვალწინ. ეს ფული იმიტომ გამოვართვი, რო მათ ჩემი იმედი უნდა ჰქონოდათ.

– რო არ ჩამოვსულიყავი და შენს ქოხში ღამე არ გამეთია, რას იზამდი? – ჰკითხა ჯარაფმა.

ფილომ გაცხელებულ ლამპის შუშას უგრძობივით მიადო მარცხენა ხელის თითი. არ აუღია, ვიდრე არ დაენვა, ვიდრე კანის დამწვრის სუნი არ დადგა.

– კაცი რო მოვკალი, კარგა ხანს გაქცეული ვიყავი... ჯოყოლოელ ძმაკაც-

თან ვიმალებოდი. მთელი მთა-თუშეთი და ხევსურეთი გადაატრიალეს, მაგრამ ნასუო ფარეულიძემ შემეფარა, ოჯახის წევრად მიმიღო. იცოდა, რო ჩემ გამო შეიძლებოდა, დიდ ხათაბალაში გახვეულიყო, მაგრამ მეგობრობა ყველაფერზე მაღლა დააყენა. მერე ჩემი ფეხით გამოვცხადდი მილიციაში და ჩავბარდი. დაკითხვაზე ატარეს, გაანამეს ნასუო, ჩემ გამო, სასჯელს ძლივს ასცდა. არც ციხეში მოუკვლია ჩემთვის ყურადღება. უპატრონო კაცი ვიყავი, აქ რო არავის ახსენდები, იქ ვინ მოგაკითხავს. ციხეში რო ვინმე ლუკმას შემოგანოდეფს, ამ სიხარულს ვერანაირი სიტყვებით გადმოსცემ. ათი წელი ვეგდე იმ ჯოჯოხეთში და სულ იმაზე ვფიქრობდი, ფარეულიძის ამაგი როგორ გადამეხადა. გამოვედი და ცოცხალი აღარ დამხვდა. ამავის გადახდაშიც იღბალი გინდა. უხსენებელმა სენმა მოუღო თურმე ბოლო, ყელში გასჩენია მოურჩენელი სატკივარი, ქისტებს ვერასოდეს ვულალატე! – ჩაფიქრდა ფილო. – ფშავში გადავწყვიტე დაბრუნება. აქ ველარ გავჩერდები. ფრთხილად იყავი! ეგენი ყველგან არიან მოდებულები. ისე ვატყობ, თვითონ გზავნიან მოსყიდულ ადამიანებს, თქვენს მებრძოლებად რო ასაღებენ და მერე უკან მოსდევენ... რა აქვთ ჩაფიქრებული, ღმერთმა უწყის. შენი იქ ჩასვლაც მაფიქრებს. მაგათ ხელში თუ ჩავარდი...

– ეგ იმის ნებაა, – ჭერს მიაპყრო მზერა ჯარაფმა. – ვინ ვის ხელში მოხვდება...

– რა გითხრა, – მხრები აიჩეჩა ფილომ. – მე ჩემი ვთქვი. დანარჩენი შენ იცი... ჭკუა არ გაკლია, ჯანი და სიმამაცე.

ჯარაფი არყით სავსე ჭიქას დასწვდა, ერთხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა მაგიდას, მერე ღმერთი ახსენა, მომიჭახუნა, გადაჰკრა და ფილოს შეაცქერდა.

– როგორ შეგაშინეს ყველა, როგორ... მაგათი მთავარი მიზანი სწორედ ეგ არი – ჩვენი დამინება. ჩემი და შენი კი არა მხოლოდ, ყველასი, ვინც ამ მთებს ეკუთვნის. მშიშარა კაცი ყვე-

ლაფრის მკადრებელია. შეშინებულ, გაღარებულ კაცს, ღირსება თუ აქვს, არც კი იცის. რა ვიცი, აბა, ჯარაფმა რა ქნას ან ბაქარმა რა ქნას, ან... ფიდომაც რაღა ქნას... – თანაგრძნობის თვალებით შეხედა. სხვა რამე გვაქვს მოსაფიქრებელი. აი, ის სხვა რამე რაა, ამაზე პასუხი მეც არა მაქვს. ჩქარა მოფიქრება უნდა ამას. ამ მოფიქრებაში თუ გავწყდებით, მერე გინდა გაგიკეთებია რამე და გინდა არ. მე ხასომ მასწავლა. რაღაცეები წაკითხული მაქვს. საღვთო წიგნები... სკოლაში გამორჩეული მოსწავლე არ ვიყავი, მაგრამ ცოტა რამ ხომ მისწავლია. ხანდახან ასე მგონია ხოლმე, კაცობრიობას სისხლის გამოშვება სჭირდება და ჩვენისთანა მცირე ხალხებს იყენებენ ამისთვის. კავკასიელები სხვების გამოსაშვებ სისხლად არ იქცევიან, ეს უნდა ახსოვდეს ყველას და თუ კიდევ შემოგეხმინებია ისინი, ჩემო ფილო, ეგ ბინძური ფულის დასტა რო დაგიტოვებს, შენი საყველპურო რუსულით განუმარტე, რო სისხლის გამოშვება ხანდახან დიდი სისხლის დაკარგვით მთავრდება.

– ისინი აქ მე ველარ მნახავენ, – წაიბუტბუტა ფილომ. – აკი ვთქვი, ვბრუნდები-მეთქი, იქ მივდივარ, იმ... სიკვდილი მირჩევნია, იქ დაბრუნებას, მაგრამ აქ ველარ გავჩერდები.

ინათლა თუ არა, ცხენებს მოვახტით, ფიდოს დაემშვიდობა ჯარაფი. მასპინძელი კარის ზღურბლზე იდგა და საცოდავი თვალებით იყურებოდა.

– შევხვდებით, ფილო! – გასძახა ჯარაფმა და ხელი აუწია. – გული არ გაიტეხო!

ისეთი შეგრძნება მქონდა, ცისკენ აღმართულ კიბეს მივუყვებოდით. იქვე იყო ხატობაზე დაკლული კრავების ტყავებივით გაფენილი ღრუბლები, იტყოდი, რო ხელით მისწვდებოდი.

თანდათან გაღიავდა ცა. სასუფევლის ნათელივით იღვრებოდა დილა. სიცოცხლეს ვგრძნობდი, ცივი ჰაერით

ნესტოები მენვოდა. ხეობაში ლამენათევი ნისლის ნაფლეთები მოიზლაქნებოდა, ნისლიც ამთავრებდა თავის წილ წუთისოფელს, ნისლიც კვდებოდა, მერე ახალი ნისლი დაიბადებოდა. ყველაფერს ეხებოდა დაბადება და სიკვდილი, თითქო ყველგან და ყველაფერში ერთად იყვნენ.

არლუნის პირას ჩამოგვათენდა. ჯარაფმა ცხენი შეაყენა, ჩამოქვეითდა, მიწას დაემხო, რაღაცას ბუტბუტებდა, მერე ცას ახედა, უცნაური შუქი უდგა თვალეში, თითქო ჩეჩნური დილა ჩამდგარიყო მის უძირო მზერაში. შემომხედა და მითხრა:

– ჯერ არ გათენებულა, ბაქარ. ის ნათელიც მალე მოვა, უსათუოდ მოვა. თან ძაან მალე... კაცი რო რაღაცას ელოდება, ხანდახან ჰგონია, რო ეს ლოდინი დიდხანს გასტანს, მაგრამ ლოდინი ზოგჯერ იმაზე ადრე სრულდება, ვიდრე მას წარმოუდგენია. ამ მიწას ბევრი უბედურება ახსოვს, ბევრი სისხლი, ბევრი ცრემლი, მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, უბედურებასაც.

მღვრიე ტალღებს მიაგელვებდა არლუნი. ჯარაფმა წყალში შეტოპა, ერთი ხანობა ქვებზე წაიფორხილა, მდინარე წელამდე მისწვდა, თვალები კიდევ უფრო გაუცისკროვნდა, მომხედა და ხელი დამიქნია, მერე სახეზე ისხა მღვრიე წყალი.

– ოჰ, ოჰ, ოჰ! მოდი აქ, შემო!

ცხენიდან ჩამოვხტი, დაბლობში ჩავირბინე, ჩეჩნეთში მიაგელვებდა ღორღით არეულ ტალღებს მთის წყალი. ფეხი ჩავყა, მერე პეშვით შევისხი სახეზე. ასე მეგონა, ლიახვში ვიდექი, ტანში გამაჟრიალა, ჯარაფმა გრძნეულივით მომამძახა:

– შენ, ეხლა ლიახვში დგებარ... ხო ეგრეა, – თან გაეცინა. ისეთი აღტაცებით დაიყვირა, იტყოდი, მთელი ქვეყანა მას გადაულოცა გამჩენმა.

– შენ, ლიახვში ხარ, მე – არლუნში,

ერთი და იგივე წყალია. – ყვიროდა და სახეზე წყალს ისხამდა.


მიხვდით, რას გულისხმობდა, ერთი სატკივარი რო გვქონდა, ეგ მითხრა ჯარაფმა, რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, მოგვჩერებოდნენ აჰმედის ცხენები და ფრუტუნებდნენ.

– ჩამო, ჩამო! – ხელს მიქნევდა.

ჯერ წვივები დამისველდა, ყინულივით ცივი იყო. ისევ შევისხი სახეზე მღვრიე წყალი.

– სამშობლო და თავისუფლება ერთი და იგივეა, ხო იცი, ბაქარ.

წყალში შევედი. იტყოდი, რო მიღრენდა არღუნი, ისეთ ხმას გამოსცემდა. ღრენა-ღრენით მიერეკებოდა ტალღებს. ლიახვის გამგელება გამახსენდა, გაზაფხულზე რო ტყე-ღრეს წამოიღებდა ხოლმე, ვეება ლოდებს კენჭებივით მოაგორებდა, მოგლეჯილ ხეებს ფიჩხის კონებივით მოატივტივებდა. ჩვენებურები ლიახვის ქალებს ჩეხავდნენ და ქალის მინებს ხნავდნენ, მაგრამ, როცა არ მოელოდებოდნენ, მაშინ დააცხრებოდათ გაავეებული წყალი და ბალ-ბოსტანს მოსტაცებდა, ერთიანად



გადაუსანსლავდა. ლიახვის ქუხილი იმ სიშორეზე ისმოდა... ღრიალებდა ხოლმე და თითქო ამ ღრიალში ყველას ტკივილი და უბედურება იყო მოქცეული.

მუხლამდე შევედი. ჯარაფთან ათიოდე ნაბიჯილა მაცილებდა, ქვაზე ამისრიალდა ფეხი და ტყაპანი მოვადინე, გულდანდობილი ჩავარდი. მდინარე გამეთამაშა, არლუნის წყალი მაყლაპა, ქვემოთ წამილო, მკლავური მოვუსვი, ჯარაფი ახარხარდა, თვითონაც უკან გამომყვა.

ნაპირზე ამოვედით, წყალი წურწურით ჩამოგვდიოდა. რაც კი სიხარული უნდა განეცადა ოდესმე ამ კაცს, თითქო ერთიანად ჩემთვის გამოფინა სახეზე. გამაბაბანა, მაგრამ არ შევიტყე.

– აბა, სხვა ვინ იგრძნობს ამას, – სველ ტანსაცმელს დასცქეროდა. – ამის დათმობა, როგორ გინდა, ფეხი არ ჩაუვათ, არლუნს აღმა ვერ წაიყვანენ!

ცხენებს მივაშურეთ, მერე არლუნის ჭალაში ერთი ძველი, სახურავჩამოქცეული ქოხის პირზე ცეცხლი ავანთეთ, ტანსაცმელი გავაშრეთ. მზეც ამოცურდა ჰალაგოს მთაგრეხილზე. დილის უცოდველ, სხივქალწულ მნათობს გასცქეროდა ჯარაფი, თვალები ეხუჭა და თითქო მზით იგსებოდა.



ირგვლივ სასაფლაოს მდუმარება იყო. იტყოდი, რო მკვდართა საუფლოში მოვხვდით. ვაკვირდებოდი გამოცარიელებულ ითომ ჰალს, ერთმანეთს შესტიროდნენ გამოკეტილი, მიტოვებული სახლები.

ტანკებით ნათხარ გზას გაფუყევით. ხან მდუმარებისგან შეჭმულ სოფელს ვაკვირდებოდი, ხან ჯარაფს, რომელიც ჯაბრაილის მშობლიურ სოფელს გაქვავებული სახით აკვირდებოდა. მორღვეული ლობეები, ალაგ-ალაგ ჩაბუგული, რუსული ჭურვებით დანგრეული საცხოვრებლები და სიჩუმე, რომელიც სისხლს გაგიციებდა, სხვა რო არაფერი გენახა, სხვა საშინელება რო არაფერი გეგრძნო,

მხოლოდ ამ სოფლის ხილვაზე მიხვდებოდი, რა იყო ომი და სიკვდილი. ვატყობდი, რო ცხენიდან ჩამომხტარი ჯარაფი ცრემლებს ძლივს იკავებდა. თითქო ვერც მამჩნევდა, ისეთი ნაბიჯებით მიუყვებოდა აღმართს. იტყოდი, რო ამ საქმის ჩამდენი სადღაც მკვდრადქცეული სოფლის თავში ეგულეობდა და იქ უნდა გაესწორებინა ანგარიში. მზემ უღიმღამოდ დახედა დაცარიელებულ ჩეჩნურ სოფელს. დამწვარ, გამურულ სატიერთო მანქანების ჩონჩხებს ავუარეთ გვერდი. სოფლის სახურავჩაქცეული კულტურის სახლის გვერდით ნამეხარივით იდგა შუაზე ჩახლეჩილი, ჭურვის ცეცხლით ტანდამწვარი ბებერი ალვის ხე, რომელსაც ისე გაეტარებინა წუთისოფელი, რო მეხი არ ენახა, მეხს დაენდო, მაგრამ ჩრდილოეთიდან გამოსროლილი ჭურვის ლუკმა გამხდარიყო.

აღმართზე ნიავი მოგვევდა ფეხდაფეხ. ჩამონგრეულ ჯამეზე გადმოკიდებული ჟანგიანი სახურავის ნარჩენი ხრჭილებდა და საშინელ ბგერებს გამოსცემდა. ღმერთის სადიდებელი ხმის ნაცვლად მკვდარი სოფლის დასატირებლად თითქო ეს ხმა ისმოდა.

დამწვარ, გამურულ ტანკს ნავადექით. ერთხანს შედგა ჯარაფი, თითქო გაქვავდა, უგრძნობელივით მიშტერებოდა უსახური რკინის გროვას.

– არ დამთავრებულა! – წაიბუტბუტა, მაგრამ მისი სიტყვები მაინც კანთიელად გავარჩიე.

საბავშვო ბალის მორღვეული რკინის ლობე გადავიარეთ, კედლებდაცხრილული, სახურავმოცლილი, უფანჯრო, ნახანძრალი შენობიდან ბალახს და მაყვალ-ბარდს გამოეყო თავი. ცეცხლს მოეთარეშებინა ირგვლივ და ჩეჩენი ბავშვების სათამაშო ნაგებობებიდან მხოლოდ რკინის ჩონჩხები დარჩენილიყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ცეცხლში ჩაინთქა ერთ დროს ამ საბავშვო ბალში მყოფი ბავშვების ჟრიაშული. ცეცხლმა შეინირა მათი ბავშვობა, მათი უდარდელი,

ვარდისფერი ცხოვრების დღეები. თითქო ძალა წამერთვა მუხლებში, გული გადმოვარდნას მქონდა. იტყოდი, რო ჰაერი გამოლუღიყო ჩემთვის, სუნთქვა გამიჭირდა. ბავშვების სასრილოს ჟანგიან რკინის ძელზე ჩამოვჯექი, ველარ ვსუნთქავდი. ჯარაფიც გვერდით მომიჯდა, შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ეგრე ენაგადაყლაპულები გაცქქეროდით იმ ადგილს, სადაც ჩეჩენი პატარების ბავშვობა დასრულდა. ნელ-ნელა ღრმად ვსუნთქავდი და ვიგრძენი, რო ოდნავ მომემატა ძალა, მაგრამ თვალეზე მომდგარი ცრემლი ველარ შევიკავე, თითქო მარტო ამ პატარების კი არა, ყველას ბავშვობა იქ ჩაფერფლილიყო.

რატომ, რისთვის, ვის დასჭირდა ეს ყველაფერი? ვის დასაჭირდა, მათთვის ბავშვობის წართმევა? წამოვიდგინე, სადღაც, შორეულ ქვეყნებში, ამწვანებულსა და ალამაზებულ საბავშვო ბაღებში, როგორ უდარდელად დარბოდნენ და დახტოდნენ პატარები. ჩეჩენი ბავშვები კი... ამ დამწვარი, იავარქმნილი საბავშვო ბაღის ფასად არ ღირდა არაფერი, თუ, როგორ ვთქვა, როგორ გამოვხატო ჩემს სულში ჩაგროვილი ბაღლამი. ვტიროდი და მერე შევამჩნიე, რო ჯარაფსაც წამოუვიდა ცრემლები. მიყურებდა და ვგრძნობდი, როგორც ეს საბავშვო ბაღი ჩაიფერვლა, ისე ეღველფებოდა სული ჩემს ქისტ ძმადნაფიცს.

– აქ დარბოდა ჯაბრაილი, – ჩაილაპარაკა გაბზარული ხმით და საბავშვო ბაღის გაჯადავებულ ეზოს გახედა. – ეს ადგილი ხშირად ესიზმრება ჯაბრაილს, აქ დარჩა ჯაბრაილი სინამდვილეში, იქ კია, მაგრამ გონებით აქ არი.

თვალეები დავხუჭე, გავირინდე. საიდანღაც ყორნების ყრანტალი მომესმა. სიკვდილის საუფლოში სხვა რა ხმა უნდა გამეგო. ჩემი ბავშვობა გამახსენდა, საბავშვო ბაღში გატარებული დღეები. ერთად ვიზრდებოდით მე და გეგა, ერთად დავრბოდით. ერთი ხის მანქანა იყო ხოლმე საბავშვო ბაღის ეზოს კუთხეში. თავის დროზე ეს შენობა,

სადაც საბავშვო იყო გახსნილი, ბოლშევიკებმა იქაურ კაცს, იასონას ჩამოართვეს. გაკულაკებას ეძახდნენ მაშინ. იასონას წვალეებით აეშენებინა დიდი სახლი. გარშემო ბალ-ვენახი უყვავოდა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ჰყავდა. მოვიდნენ ბოლშევიკები და წაართვეს ყველაფერი. ის სახლიც წაართვეს, ბალ-ვენახებიც წაგლიჯეს. მისი ნისქელიც სახელმწიფოს გადასცეს. ბევრი ირბინა იასონამ, რო სამართალი ეპოვა, მაგრამ, სად იყო სამართალი ან როდის ყოფილა სამართალი?! სანამ კაცთა მოდგმა იქნება, სამართალი არც არასდროს იარსებებს.

ერთი სიტყვით, ჯაბრაილის საბავშვო ბაღის დანახვაზე ჩემი ბავშვობა გამახსენდა. იმ ხის მანქანაზე გადაღებული ფოტოსურათი ამოტივტივდა. ვდგავართ ასე ხელიხელგადახვეულები მე და ჩემი ბავშვობის ძმაცა და ვიბღვირებით ფოტოზე. რას ვუბღვიროდით? მაშინ ვერ წარმოგვედგინა, მაგრამ, ახლა რო ვფიქრობ, ალბათ, მომავალ ცხოვრებას ვუბღვირდით. სანამ ცხოვრება დაგვიწყებდა კბენა-ღრენას, საბავშვო ბაღიდან ვუბღვირდით მე და გეგა, ის ცხოვრებული. მერე დიდობაშიც გადავიღეთ სურათი. საბავშვო ბაღში ჩავედით. ისევ იდგა ის ხის მანქანა. ოთარა იყო ერთი, საბავშვო ბაღში მუშაობდა, ყველაფერი ეხერხებოდა, ღურგლობაც იცოდა, რაც კი საბავშვო ბაღის ეზოში სათამაშო იყო აწყობილი, სულ იმის ნახელავი იყო.

ბევრი რამე წარეცხა დრომ, ბევრი რამე წაშალა, მაგრამ ოთარას სათამაშოები დარჩა. როგორც კი ბავშვობის დღეებს ვიხსენებ, ოთარას ხელით გაკეთებული მანქანა, სასრილო, ჩამოსახტომი, თუ რა ერქვა, ყველაფერი გამიცოცხლდება ხოლმე.

ჩავედით მე და გეგა დიდობაში და იმ მანქანასთან გადავიღეთ სურათი, მერე ერთმანეთს შევადარეთ. ამ ახალ ფოტოზე ვილიმბოდით და თითქო მწარე დღეების მოლოდინი წინასწარ სიმწრის ღიმილად გვაჩნდა.

– ჩემია-მეთქი, მომეცი ეგ ბურთი, მომეცი, თორემ ვეცყვი ღია მასწავლებელს.

– შენი საიდან არი, მე მათხოვა ზურია.

– ზურია ვის ათხოვე?

ზურია ჩემკენ გამოიშვირა თითი. ზვიო მივიდა და პანჩური ამოუჭირა ზურიას, მერე ბურთს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ნიხლი ამოარტყა.

– შეიტენე შენი ბურთი, მაგაზე მაგარ ბურთს მოვიტან ხვალე.



– რა მოგივიდა ბიჭო, – მოვარდა ღია მასწავლებელი. – სისხლი საიდან მოგდის, მაჩვენე ტუჩი.

ნიკო ზღუქუნებდა, გახეთქილი ტუჩიდან ნიკაპზე ჩამოსდიოდა სისხლი.

– ტატომ წამაქცია... – უარესად მორთო ღრიალი.

მასწავლებელმა ნიკო ექთანთან წაიყვანა, სისხლი მოხანეს.

– როგორ წაგაქცია.

– კიბესთან მკრა ხელი, – ისევ სლუქუნებდა.

– სად არის ეგ მაიმუნი.

ტატო ეძებეს, ეძებეს და საბავშვო ბაღის უკან, შეშის შესანახ ფარდულში იყო დამალული. იპოვეს, კუთხეში დააყენეს...

როგორი დღეები, როგორი წუთები, როგორი წამები... ყველაზე ალალი, ყველაზე მართალი, ყველაზე საყვარელი... მანვნიტ სავესე ქილას რო ნაღებს მოაცლი, ეგ არის სიცოცხლეში ბავშვობა. დაახლოებით აქაც ხო ეგეთი რაღაცეები იქნებოდა. ჯაბრაილი თავის თანატოლებთან ერთად დარბოდა, მზეს უცინოდა, ბავშვობის უდარდელი დღეებით ტკბებოდა. სად არიან ის ბავშვები? მისი თანატოლები? ჯაბრაილის მსგავსად, სადღაც შეხიზნულან, ალბათ, ვინმე შორეული ნათესავის კარზე იზრდებიან და სიზმრად ხედავენ თავიანთ საბავშვო ბაღს, რომელიც ცეცხლის ლუკმად უქციეს.

მივდივართ, ვცილდებით ბავშვობას, ჩვენი ბავშვობის ხმები სადღაც არის,

უსასრულობაში, ის ხმები სულ თან დაგდევის, სამარის კარამდე მიგვაცილებს, თუმცა მხოლოდ სამარის კარამდე არა, მერე იქაც გრძელდება ჩვენი ურთიერთობა, უფრო სწორად კი არ გრძელდება, ჩვენს ხმებთან, ჩვენს ბავშვობასთან ვბრუნდებით, საიდანაც მოვედით, იქ ვბრუნდებით. ეს ბავშვები, ამ საბავშვო ბაღში ამ გადამწვარ, გადაბუგულ ეზოში რო დარბოდნენ, ყველაფრის გარეშე დარჩნენ. მათი ბავშვობის ხმებიც აქ ჩაფერვლილა.

– ჯაბრაილი, ჯაბრაილი... როგორ წაგართვეს ბავშვობა... – ჩაილაპარაკა ჯარაფმა და წამოდგა, მერე დაიხარა, ბალახები მოგლიჯა, დაყნოსა, გამურულ შენობას კიდევ ერთხელ გახედა და მოგლეჯილი ბალახი გულის ჯიბეში შეინახა.



სიბერის ხავსს ერთიანად შეეჭამა მოხუცი ელთი. ბერიკაცების მეტი ვინ მინახავს, ოდნავ სიბერისგან დაკბენილებიც და ღრმა სიბერით დაგლეჯილ-გამოხრულეები, მაგრამ ელთი რო ვნახე, მეგონა, რო ეს კაცი თვითონ იყო სიბერე. ეს დასდევდა ადამიანებს და, როგორც კი ელთის შეეხებოდი, ამ ას წელს მიტანებულ, წელში მოხრილ შარვალ-ხალათ შემოკონკილ მოხუცს, მაშინვე მისი სიბერე გადაგედებოდა.

ზღაპრის გმირით იყო ელთი. გიყურებდა და თან არ გიყურებდა. არც გიღიმოდა, არც გიბრღვევდა. მის მომწვანო მზერაში ვერაფრით ამოიკითხავდი, რას ფიქრობდა, წელში მოკაკული, ჯოხის გარეშე დადიოდა და მინას ჩასცქეროდა.

ელთის გარდა, ორი თუ სამი კაცი დარჩენილიყო ჯაბრაილის სოფელში. ჩვენ ისინი არ გვინახავს, მხოლოდ ამ ბერიკაცს გადავეყარეთ. დამწვარი საბავშვო ბაღიდან რო გამოვედით, ჩამონგრეულ ჯამესთან მოჩანჩალდა. იდგა, იდგა, მუხლზე დაჩოქების თავიც აღარ ჰქონდა, მაგრამ წელში ისე იყო მოხრილი, რაღა დაჩოქვა უნდოდა, გამჩენს მინამდე უხრიდა თავს.

ჯარაფი ჩეჩნურად დაელაპარაკა. ელ-  
თის თითქო არ ესმოდა, ხმას არ გვცემდა.  
ჯარაფმა კიდევ რამდენჯერმე მიმართა.  
ნახიემ თავი ასწია, წამიერად შეგვათვა-  
ლიერა, მერე კედელჩამონგრეულ ჯამეს  
მიუახლოვდა, ჩვენც უკან მივყეთ. ისევ  
ამოგვხედა, ჯარაფს შეაცქერდა, მერე მე  
მომამტერდა, მართლა ვერაფერს ამოი-  
კითხავდი მის მზერაში.

ჯარაფმა მოხუცს ხელი შეახო.

– ნუ გეშინია, მე თქვენი ვარ, ეს ჩემი  
ქართველი ძმადნაფიცია.

მოხუცი ერთი ხანობა ისევ ღუმდა, მე-  
რე ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

– რისი უნდა მეშინოდეს, აქ შიში აღარ  
არის, – ისევ ამოგვხედა, ისევ იმავე მზე-  
რით, მერე ჯამესთან ქვაზე ჩამოჯდა.

ჯარაფმა ხელი წააშველა. მოხუცმა  
თავისთვის გააგრძელა ბუტბუტი. ჯა-  
რაფმა მითარგმნა:

– ერთი ბრძენი კაცი იყო ჩვენთან. უგ-  
ზო-უკვლოდ დაიკარგა მერე. აქ დაიმარ-  
ხა, მაგრამ მაინც უგზო-უკვლოდ დაიკარ-  
გა, იმიტომ რო ბრძენი კაცი იყო, მაგრამ  
აღარავის ახსოვს. ელმარძი ერქვა, ჩვენი  
თეიფისა იყო. სალოცავად ხშირად დაე-  
ყვებოდი, ყურანს მასწავლიდა. ყურანი  
იყო მისი წყალიც, ჰაერიც და საჭმელიც.

ის ამბობდა ხოლმე: შიში იქ არი, სა-  
დაც სიცოცხლეა, სადაც სიცოცხლე  
არ არის, იქ შიშს რა უნდა. აქ სიცოც-  
ხლე აღარ არი, აქ მხოლოდ ჩვენ ვართ –  
ცოცხალი მიცვალებულები.

ჯარაფს სახე შეეცვალა, თვალები წა-  
მოემღვრა. თითქო მოხუცის ნათქვამმა  
გააბრაზა, მაგრამ არ შეიტყო.

– სიცოცხლე აქ ყოველთვის იქნება.  
ალაჰი არ დაუშვებს ამას.

– მეც ამის იმედი მიფეთქავს. – ელ-  
თის ჯამესკენ გაექცა თვალი. – ღრმა  
სიბერეში სიკვდილის წინ თუ ასეთ სო-  
ფელში მომიწევდა ცხოვრება, როგორ ვი-  
ფიქრებდი. მგონია, რალაც დავაშავეთ და  
დავისაჯეთ. ისე არაფერი არ ხდება, ელ-  
მარძი რო ცოცხალი იყოს, ის მიხვდებო-  
და, რაც დავაშავეთ. მე რა გამეგება. რაც

ხდება, როგორც ხდება, ყველაფერი ისე  
უნდა მოხდეს, მაგრამ, რა უბედურებაც  
დატრიალდა, ამასაც ხომ თავისი მიზეზე-  
ბი აქვს. სასჯელი დანაშაულიდან იწყება.  
ღმერთი როცა გსჯის, ვილაცის ხელით  
გსჯის. იმ ვილაცას ვის შეგირჩევს, ესეც  
დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული.  
შეიძლებოდა არლუნს ნაველეთ, ადიდე-  
ბულ მდინარეს წაერეცხა ჩვენი სოფლე-  
ბი ან მთები დაეძრა და ჩამოხვავებული  
კლდეების ქვეშ ჩავემარხეთ. ავადმყო-  
ფობასაც შეიძლება, რო გავენწყვიტეთ...  
სასჯელსაც დაფიქრება უნდა. ალაჰის  
სამართლის ჩვენ რა გაგვეგება, მაგრამ  
ფიქრი ხომ შეგვიძლია, საკუთარი თავის  
შესწავლის დიდი დრო მოგვცა და იხარ-  
ჯება ეს დრო. ჩამომხმარი, ჩამოკონკილ  
პერანგში შემალული ძვლები აიჩეჩა ელ-  
თიმ.

– აქ ერთი კაცი ცხოვრობს, მისი შვი-  
ლიშვილი ჩემთან გაიზარდა. ჩვენს ხეობა-  
შია, – უთხრა ჯარაფმა. – მე პანკისელი  
ქისტი ვარ.

ელთის არ შეუხედავს, ისე დაუქნია  
თავი. მერე ჩაილაპარაკა:

– ჩვენები არიან, ახალგაზრდობაში  
მეც ვიყავი. ნათესავი გვყავდა იქაური  
ბრძენი კაცი – ეზიქაასი.

– ვიცი, – უცბად წამოიძახა ჯარაფმა.  
ელთის ბოლომდე არ აცალა სათქმელი. –  
ეზიქაასზე ბევრი რამ გამიგია, დუისელი  
უხუცესი იყო...

ელთიმ ერთი ამოხედა და ისევ მიწას  
ჩააშტერდა.

– ბიძაჩემიც უხუცესია და მისგან გა-  
მიგია ეზიქაასზე. ბრძენი კაცი ყოფილა.

ელთის მეტი არაფერი უთქვამს.

ჯარაფმა გააგრძელა:

– ჩვენთან არიან აქედან წამოსულები.  
წელან რო თქვი, სიცოცხლე აღარ არისო,  
შენახულია სიცოცხლე. მოვა დრო და,  
ყველანი დაბრუნდებიან. ეს ამბავი დიდ-  
ხანს არ გაგრძელდება.

ელთიმ ისევ ამოხედა.

– მერე და სად არის შენახული სი-  
ცოცხლე? სიცოცხლე სიცოცხლისთვის

უნდა დაიხარჯოს. იმედი მაქვს, რომ ამოვლენ... – ჩაილაპარაკა ბოლოს.

– იქ ერთი პატარა ბიჭია, როგორც გითხარი, ჩემს სახლში იზრდება. პაპამისი მოჰმადი აქ დარჩა. ჯაბრაილს მშობლები დაუხოცეს... ელთიმ ისევ ამოხედა, ისევ წამიერად. შევამჩნიე, თითქო ყველაფრის და არაფრის მთქმელ მზერაში სიცოცხლის მიმწეხრს შერჩენილი ბოლო ცრემლი აუკიაფდა. თითქო გულმა მითხრა, რო ამ კაცმა, საუკუნეს მიტანებულმა ელთიმ, ჯაბრაილის ოჯახზე ყველაფერი იცოდა. მის მზერაში წამიერად შემჩნეულმა ცრემლმა მაგრძნობინა.

– მოჰმადი... – თქვა და კარგა ხანს დუმდა. მინას ჩაჰკირკიტებდა და, როდის-როდის ამოიღო ხმა: – სადღა გვყავს მოჰმადი...



„ჯაბრაილ! ვიცი, რომ ველარ მნახავ, სიკვდილი თავს მადგას, აი, სადაცაა დასრულდება ჩემი ამქვეყნად ყოფნის ჟამი. ალაჰი მიხმობს, მამაშენიც მიხმობს. იმედი მქონდა, რომ შენს მოსვლამდე კერას არ გავაცვივებდი, მაგრამ არ გამოვიდა. როგორც არ უნდა მოინდომო, ვერ შეცვლი... სული მანვება, ერთი შენი ჩახუტება ყველაფრად მიღირდა. მეხვეწებოდი: წამოდიო და არ დაგიჯერე. რა ვიცი, შვილო, იქნებ უნდა დამეჯერებინა, იქნებ, როგორც მოვიქეცი, ის უფრო სწორია. შეიძლება, შენ გვერდით უფრო დიდხანს გამეძლო, ვიდრე აქ. რამდენიმე მოხუცილა დაღანღალებს გამოცარიელებულ, უსიცოცხლო სოფელში და სულ რომ დღეგრძელი იყო კაცი, აქ დიდხანს ვერ იცოცხლებ. ვიცი, რომ გაიზრდები და ჩამოხვალ. კი არ გეხვეწები, ამას გავალე, რომ უნდა ჩამოხვიდე. შენ მარტო საკუთარ თავს არ ეკუთვნი, შენ მარტო თეიფს არ ეკუთვნი.

ვიცი, საიმედო ადგილას ხარ. ეგ ხალხი ჩვენი სისხლის და ხორცის ნაწილია. მთავარია, რომ კარგად ხარ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენს ხალხს

ეკადრება. ეხლა თვალს ვხუჭავ, გეხუტები და ჩეჩენი აბრაგების თავგადასავლებს გაიმბობ. ვიცი, გიყვარდა ხოლმე. შენი სუნთქვაც კი მესმის. გაიზრდები... გქონდეს ალაჰისა და ხალხის სიყვარული. ეშმაკს ორი ხელი აქვს: ერთს ამპარტავნება ჰქვია, მეორეს – სიძულვილი. სიყვარულია ამ ხელების მომკვეთი ერთადერთი ბასრი ხანჯალი. ჯაბრაილ! ვიცი, მოხედავ აქაურობას. აქ რალაცეები მოვაროვე. მათ შორის მამაშენის ნაქონი საათი, ჯიბის დანა, კიდევ სხვა ნივთები. ჩემს მეზობლებს დაფუტოვე. ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი, გული აუჩუყდება და დარდი მიემატება-მერთქი. დარდი არც ისე არ მოგაკლდება. დარდს ისედაც ჰაერივით გასუნთქებს ცხოვრება. ვერ შეეძელი. ალაჰია მოწმე, გული მიდუღდა, სიკვდილის მოახლოვება რომ ვიგრძენი, ფურცელი და ფანქარი ავიღე. ამ მთების შვილი რომ ხარ, ვერავინ და ვერაფერი დაგავინყებს“.

ნახევრად ჩამონგრეულ მოჰმადის საცხოვრებელში კვერნებმა ისკუპეს ჩვენს ხმაზე... ელთის მიერ მიცემული გაკრული ხელით ნაწერი ბარათი დაასრულა ჯარაფმა. თვალებიდან მდუღარება გამოსდიოდა. ხან ბარათს დასცქეროდა, ხან ელთისკენ გააპარებდა მზერას. ენაგადაყლაპულივით იდგა. მოწოლილი ბოღმა ახრჩობდა.

– როდის გარდაიცვალა მოჰმადი? – თითქო ჯარაფის ნაცვლად სხვამ ჰკითხა ელთის, ისეთი შეცვლილი ხმა ჰქონდა.

მოხუცი ჩეჩენი ჩაფიქრდა და როდის-როდის თქვა:

– იქნება სამი, თუ ოთხი კვირა. რალაცეები მოგვცა ნაჭერში გამოკრული, შვილიშვილისააო. სახლის უკან შევიწახებთ.

სიმარტოვის ლუკმად ქცეული, კედელჩამონგრეული სახლის კუთხიდან დღის შუქი იღვრებოდა. მზეს მაინც დარჩენოდა ამ სახლში თავისი ადგილი...



– ბედია ეს ჩვენი მოდგმისა, თუ რა

არი... ბედისწერის თავიდან არ მჯეროდა, მაგრამ ახლა ნამდვილად მჯერა, სიზმრებისა მჯერა. შენ თუ გჯერა, ივან?

– რა ვიცი, ხან მჯერა, ხან არა, – ჩაიცივნა ივანმა. – უფრო სწორედ, როცა მინდა, მჯერა, როცა მინდა, არა! – ახლა უფრო გულიანად გადაიხარხარა.

– ეგ რანაირად? – ჰკითხა ვადიმმა.

– რანაირად და ეგრე. აი, ბოლომდე მხოლოდ ამისი მჯერა, – ბოთლში ჩარჩენილი არაყი ყელში ჩაიწურა და „ხლებნი დარის“ შუშის ბოთლი მეჩეთის ნანგრევზე მიამსხვრია. – არც მორწმუნეებს სჯერათ ბოლომდე ღმერთის არსებობა და არც ურწმუნოებს – ღმერთის არარსებობა. რა საჭიროა ღმერთსა და ბედისწერაზე ფიქრი, თავს გატკივებს და ზედმეტ სადარდებელს გიჩენს. უნდა დატკბე ცხოვრებით... – ნაილილინა და მეგობარს შეხედა.

– ის არაყი კარვების უკან ჩავმარხე. ვიცი, მე მაგათი ამბავი. ლონიაზე ღორი ვინმე არსად მეგულემა, ნამდვილი კრასნოდარული ლანდრაა, ჰგავს კიდეც.

– გრუშინის ბოზია, – თქვა ვადიმმა. – სიზმრებსაც კი უყვება.

– გრუშინი... – ნაიბუტბუტა ივანმა. – საიდან დაგვინიშნეს, ეგოროვი კაცი იყო... მაგ პიდარასტმა გაუჩალიჩა... პაპიროსს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

– ომი იცოდა ეგოროვმა, გადანყვეტილებებს იღებდა. ამ ნაბიჭვრებს კუდით ქვა ასროლინა.

– ჩაუშვეს ეგოროვი, ვითომ იარაღს აძლევდა ამ ჩათლახებს.

– ვიცი, – ვადიმს თავი დაუქნია ივანმა. – იმიტომ ჩაუშვეს, რო თვითონ მოეთბოთ ხელი, ზეპირად ვიცი ყველაფერი... თუ დამჭირდა, ისეთ კომპრებს დავუდებ ამათ, დედას ვუტირებ.

ვადიმმა დაბლობს გადახედა და შეიგინა:

– აქ ხომ არ უნდა დავბერდე, ხომ გითხარი, ბედია-მეთქი, ბებიაჩემს შენახული ჰქონდა ჩემი დიდი პაპის სიგელები,

იმპერატორის ხელმოწერით.

– კაი, ერთი! – გაიკვირვა ივანმა.

– მართლა, მართლა... გავყიდე ის სიგელები... ბებიაჩემს ბევრი ძველი რალაცეები ჰქონდა: მედლები, მეფისდროინდელი ფულები. მიჭირდა და გავყიდე. მახსოვს, ერთ-ერთ სიგელში იმპერატორი მადლობას უცხადებდა ვადიმ პატრუშევს.

– შენი მოსახელე ყოფილა.

– აბა!

– კავკასიის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისთვის წმინდა გიორგის ორდენით იყო დაჯილდოებული. ერმოლოვი გაგიგია?

– არა, არ გამიგია.

– ჰოო, – სიამაყით დააქნია თავი ვადიმმა. – ჩემი წინაპრის მეგობარი ყოფილა, კავკასიის ფრონტის სარდალი. რაც ეხლა გავაკეთეთ აქ, ჩვენს ბრძოლას ვგულისხმობ, ეგ მოგონილია იმასთან. ეს კავკასიელი მაიმუნები ერმოლოვმა ყვერებით დაჰკიდა. თავის სორო მილიონი უღირდათ. თუ ბრძოლობ, ეგრე უნდა. მებრძოლის ფასი უნდა იცოდეს მთავრობამ. თუ გინდა, ქვეყანა ძლიერი იყოს, ჯარისკაცზე უნდა ილოცო. ხომ ხედავ, ეს ნაბიჭვრები არ გვისვენებენ. მსოფლიოში სახელს გვიტეხენ, თითქოს დაუნდობელი ჯარი ვართ. სინამდვილეში კი პირიქითაა. ესენი არიან სისხლისმსმელები. ბავშვებსაც ეგრე ზრდიან. აკვანშივე ზიზლსა და სიძულვილს ასწავლიან. თავის ნებაზე თუ მიუშვი... ძლიერები და სუსტები რატომ ჩნდებიან? იმიტომ, რომ ძლიერი უნდა იყოს ძლიერი და სუსტი უნდა იყოს სუსტი. ორივემ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ერთი სიტყვით, აქ ჩაყარა ძვლები ჩემმა წინაპარმა ვადიმმა და ბევრი სიგელი დარჩა... მე სიგელები და მადლობები მკიდია და აქ სიკდილსაც არ არ ვაპირებ.

– მამ სიგელები და მედლები გაუყიდე... – ჩაიქიჩილა ივანმა.

– სადღაც მუზეუმშია, თუ მინდა, მივალ და ვნახავ.

სტვენის ხმაზე ორივე შემოტრიალდა.

– ამათ უყურე... – ნაიბუტბუტა ივან-

მა. ოთხი ჯარისკაცი შემოუერთდა.

– თქვენ აქ რა გინდათ? – მოსულელებს ჰკითხა ვადიმმა.

– რა გვინდა და... გვინდა... – ეშმაკურად აცეცებდა თვალებს ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე აწონილი რუსი.

– ანატოლი... – დამცინავად თქვა ივანი. – რაო, ანატოლი?

– თემირხანას ხალხი დაიჭირეს... ტოლიკა სიბირსკი, მეორე ოცეულში, ძალიან რო ბლატაობდა, ჩეჩნებმა ჩააძაღლეს, შენი არყები კი ბიჭებმა იპოვეს და გრუშინს მიაართვეს...

ივანი დაიფლანა და ხმამაღლა შეიგინა. უცებ, სადღაც, ნასოფლარის შუაგულიდან, ავტომატის სროლის ხმა მოსმა, მერე ბეტეერის გრუხუნის.

ივანი ისევ იგინებოდა და გადამალულ არაყს მისტიროდა:

– ვინ დამინახა?! ვილაც მითვალთვალებდა... ნაბიჭვრები...

– მოიცა, – წამოიძახა ანატოლიმ. – პატრულირებაზე არიან დაბლა და, მგონი, რაღაც მოხდა...



ზუსტად მახსოვს, პარასკევი იყო. ჯარაფი ნახევრად დანგრეულ ჯამეში ლოცულობდა. მე ერთი გამხმარი ნერგის ქვეშ მივწეხე და ძილმა წამიღო. ცხონებულ პაპაჩემს უყვარდა ხოლმე გამოთქმა: „რა ძილ-ქუში დაგანვაო“. მართლა ძილ-ქუში დამანვა. რუსული ლაპარაკი ჩამეს-

მა და თავში რაღაც მომხვდა. თვალები დავაჭყიტე, ფეხზე წამოხტომა დავაპირე. ჯარაფის ავტომატიც იქვე, ხის ძირში ეგდო და ჩემიც... სამხედროფორმიანი რუსები მადგნენ თავზე. გატეხილი თავიდან სისხლი მდიოდა. მონმენდა ვცადე, არ მაცალა ერთმა, ჯერ წიხლი ამომიჭირა ცხირ-პირში, მერე ავტომატის კონდახი ჩამარტყა. გონება დამიბნელდა. მეგონა, რო კისერი მომტყდა, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ იყო. ახლა უკნიდან მომხვდა წიხლი. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... იტყოდი, რო ფილტვები და თირკმელები ჩაცვივდაო. სუნთქვა შემეკრა. საიდან მხედებოდა წიხლები და ავტომატის კონდახები, ველარ ვიგებდი. გონზე მოსვლა და მოფხიზლება არ მაცალეს. სისხლი პირიდანაც მომდიოდა, ცხვირიდანაც, თავი გაჩეხილი მქონდა. ვიგრძენი, როგორ დამისივდა სახე, თვალები დამებურცა. არ ჩერდებოდნენ, მირტყამდნენ და მაგინებდნენ.

– მოკალი, მოკალი, მოკალი... – ჩამესმოდა.

პირქვე დავემხე, სუნთქვის უნარი აღარ მქონდა. ზედ შემდგნენ. ალბათ, ორნი, შეიძლება მეტნიც...

– მოკალი! – ბოლოს კვლავ ეს სიტყვა გავიგე და გონება დავკარგე.

სროლის ხმაც იყო, მაგრამ ტყვია მე მომხვდა თუ არა, არ მიგრძენია. დაბნელდა. უმთვაროდ და უვარსკვლავოდ დაბნელდა...

## გურო დავითიძე



### ორი ტექსტი, როგორც ისტორიული მესხიერება (ბექა ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულები“ და ბაბა ნახუცრიშვილის „გამთრის ზღვა“)

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი, განსაკუთრებით ბოლო ათწლეული, რაოდენ მნიშვნელოვანიც არის საქართველოს ისტორიისათვის, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. რა დიდი განსაცდელი დაატყდა ქართველ ხალხს და რა შედეგებით დასრულდა ყველა ის ომი, რომელებიც დროის მოკლე მონაკვეთში გადაიტანა ქვეყანამ, ვგონებ, არავისთვის არ არის დაფარული, თუმცა, რთული მომენტების მიუხედავად, ლიტერატურად ქცეული რეალობა, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის.

9 აპრილი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომი, თბილისის ომი და ამ ყოველივეთი გამოწვეული შედეგების რეპრეზენტირება ლიტერატურაში, არაერთმა ქართველმა მწერალმა სცადა და საკმაოდ წარმატებითაც. სწორედ ეს თემები გასდევს ლაიტმოტივად თანამედროვეობაში შექმნილ ტექსტებს, რაც, ბოლოდროინდელი მოვლენები-

დან გამომდინარე, ნამდვილად არაა გასაკვირი. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი სწორედ 90-იანი წლებია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩვენი, პოსტმოდერნისტული ლიტერატურის თემატიზაციის პროცესში არათუ მნიშვნელოვანი, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. ფაქტობრივად, იმ დროს მომხდარმა ამბებმა შექმნა ლიტერატურა და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თითქმის არავის ეცალა არა მხოლოდ ლიტერატურაზე სასაუბროდ, არამედ საწერადაც კი.

ბექა ქურხულის რომანი „სამოთხიდან გაქცეულები“ სწორედ იმ თემატიკას ეხმიანება, რომელიც ვახსენე. რომანში ძალიან ბევრი ისეთი ამბავია მოთხრობილი, როგორც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ძალიან ბევრ ადამიანს. რომანი გვიყვება თბილისსა და თბილისელებზე, ბიჭებზე, გოგოებზე და ყველაზე, ვინც პირისპირ აღმოჩნდა

დაუნდობელი, უსამართლო და უიმედო დღეების წინაშე.

ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ფიქციური და დოკუმენტური თხრობა. მწერლის მიერ შეთხზულ სამყაროს, ჯაჭვივით ებმის იმდორინდელი რეალობა – სოციალური თუ პოლიტიკური ფონი და საქართველოში დატრიალებული ტრაგედიები. შეიძლება ითქვას, რომ, რასაც ჩვენ ისტორიულ მეხსიერებას ვუნოდებთ, თავის თავს თხრობის ორივე სიტუაციაში ავლენს: ფიქციურში პერსონაჟების სახით, ხოლო დოკუმენტურში – რა თქმა უნდა, იმ ისტორიული წყაროებითა და ფაქტებით, რომლებიც საქართველოს შავ ფურცელში წითლად არის ამოკანწრული.

რომანში მოქმედება 1980-იანი წლებიდან იწყება და 2000-იანი წლების დასაწყისამდე გასტანს. დროის ამ მონაკვეთში რამდენი რამის გადატანა მოუხდა საქართველოს. ვისაც თვალთ არ უნახავს, სმენია მაინც. სწორედ ამ პერიოდს აღწერს ავტორი თავის რომანში „სამოთხიდან გაქცეულები“, რომლის თემაზეც გადაჭრით საუბარი ძალიან ძნელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იქ ხდება ყველაფერი, რაც შეიძლება მოხდეს ერთი, დაუძლეურებული, ნაომარი ქვეყნის მცხოვრებთათვის. ტექსტი ძალიან ბევრი შრით მიედინება. რაღაც მომენტში მკითხველმა, შეიძლება იფიქროს, რომ ეს რომანი სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე ანდაც უბრალოდ დოკუმენტური პროზაა, სადაც ასახულია ფაქტები პროტაგონისტთა კარგი, დამაჯერებელი „შესრულებით“, მაგრამ საბოლოო ჯამში ხვდები, რომ ეს რომანი იმ ქვეყანაზეა, რომელსაც უჭირს და, რომელიც რამდენჯერმე მოკვდა ომში.

აქვე თავად ავტორის სიტყვებს მოვიშველიებ, ერთ-ერთი ეპიზოდიდან: „ის საქართველო კი, სადაც მე დავი-

ბადე და გავიზარდე, ლალი, ნიჭიერი, რომანტიული, გულუბრყვილო, ლამაზი, სულელი და თავგანწირული, კეთილი და თავზე ხელალებული საქართველო თავის უკანასკნელ ომში მოკვდა!“ ეს სიტყვები ააშკარავენ ნაწარმოების შინაარსობრივ მხარეს. ეს არის რომანი ლალ, ნიჭიერ და გულბრყვილო ახალგაზრდებზე, რომლებიც საკუთარ თავზე წინ, სხვა ადამიანებს, მეგობრებს და რაც მთავარია, სამშობლოს აყენებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბოლოდროინდელი სისხლიანი მოვლენების ლიტერატურად ქცევა, არაერთმა ქართველმა მწერალმა სცადა, ბექა ქურხულმა კი ეს ყოველივე განსხვავებულად დაგვანახვა და მისმა მონათხრობმა ამბებმა ერთდროულად გაგვალღმა, კიდევ დაგვასევდიანა და ხანდახან ცრემლიც მოგვგვარა.

ის ფაქტი, რომ „სამოთხიდან გაქცეულები“, 2016 წელს ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურიატი გახდა, ალბათ, არავის გაჰკვირვებია. ბექა ქურხულის რომანმა, შეიძლება ითქვას, თემა, რომელიც ლეგენდად ქცეული „90-იანების“ სახელითაა ცნობილი, სააშკარაოზე გამოიტანა და მეხსიერების სახით დაუტოვა მკითხველსა და ქართულ საზოგადოებას.

2017 წელს კი, ძალიან კარგი და, ამასთან, საინტერესო ამბავი შეიტყო მკითხველმა იმის შესახებ, რომ აქამდე ყველასათვის კარგად ცნობილი პოეტის, გაგა ნახუცრიშვილის პირველ რომანს იხილავდა მკითხველი. ბექა ქურხულის რომანისა არ იყოს, გაგა ნახუცრიშვილის რომანის გამოცემაც გამომცემლობა „ინტელექტმა“ ითავა.

„ზამთრის ზღვა“ – ასე უწოდა პირველ რომანს ავტორმა, სადაც სიუჟეტი ბექა ქურხულის რომანისაგან ძალიან განსხვავებულია, თუმცა, რამდენადაც განსხვავებულად გვეჩვენება, იმდენად არის მასთან ახლოს, ამ სიახულოვეს

კი, რა თქმა უნდა, ისტორიული გამოცდილება უდევს საფუძვლად და ის, რისი გადატანაც უნევს ბექა ქურხულის მიერ შექმნილ პერსონაჟებს, ფაქტობრივად, „ზამთრის ზღვაში“ მოქმედმა მთავარმა გმირმა, უკვე გადაიტანა და იმ პრობლემებით, ტრავმითა და ტკივილებით უნევს ცხოვრება, რომლებიც აფხაზეთის ომმა და საკუთარი კერისაგან მოწყვეტამ გამოიწვია.


ბექა ქურხული წერს ომზე, ომის მსვლელობაზე, იქ ყოფნაზე, გასაჭირზე და სააშკარაოზე გამოაქვს ის წრვილმანი დეტალებიც კი, რომლებიც მკითხველამდე ნელ-ნელა აღწევს. გაგა ნახუცრიშვილმა კი დაწერა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს და, ამასთან, როგორ უჭირს ადამიანს, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა ის მოვლენები, რომლებიც ბექა ქურხულმა გადმოსცა თავის რომანში. იქნება ეს ფიქციური ამბავი, თუ ნამდვილი – დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობილი. გაგა ნახუცრიშვილის რომანის მთავარი პერსონაჟი ველარ ცხოვრობს ისე, როგორც სხვები და თხრობის პროცესში სწორედ ამის რეპრეზენტირება ხდება.

მარნიგალიზაცია, სულიერი კრიზისი, ტრავმული სტრესი და უიმედობითა და სიმარტოვით შეპყრობილი ბიჭი, რომელიც განსხვავებულ სამყაროში აღმოჩნდა და დღითი დღე უჭირს ცხოვრება. „ზამთრის ზღვაში“ არ ჩანს ომი, არ ჩანს ბრძოლის ველი, თუმცა კითხვის პროცესში, მკითხველი ამ ყველაფერს სწორედ გმირის სულიერი მდგომარეობიდან თუ ფიქრებიდან გამომდინარე გრძნობს. ის იქ არ არის,

სადაც უნდა რომ იყოს. სწორედ ეს არის მისი პრობლემა.

ამდენად, „სამოთხიდან გაქცეულები“ და „ზამთრის ზღვა“ იმ მიზეზით შეგვიძლია მივიჩნიოთ ისტორიულ მეხსიერებად (განსაკუთრებით ბექა ქურხულის რომანი), რომ წვრილმანი დეტალებიც კი, იქნება ეს პირდაპირ ნათქვამი თუ ქვეტექსტის სახით, ისტორიისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს, რასაც მეხსიერებას ვუნოდებთ. სწორედ ეს ფაქტი და, შეიძლება ითქვას, მიზეზიც კმარა იმისათვის, რომ ამ ორი ტექსტის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ თანამედროვე სალიტერატურო სამყაროში და არა მხოლოდ თანამედროვე, ვინაიდან, როგორც არა ერთხელ აღვნიშნე, ორივე ტექსტში არის ის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც ნებისმიერი თაობისათვის არა მხოლოდ საინტერესო, არამედ საჭიროც იქნება.

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ტექსტი იწერება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა თემატიკით, თუმცა ტრავმა, რომელიც ერთმა თაობამ განიცადა, თაობამ, რომელიც შეეწირა არა ერთ ომსა და საკუთარი თვალით იხილა სისხლიანი დღეები, დღესაც კი მოუშუშებელად რჩება. სწორედ მოუშუშებელი ტკივილის გაცოცხლება/გალიტერატურება ხდება ნახსენებ ორ ტექსტში, სადაც ავტორთა პირად გამოცდილებას, კარგად ერწყმის მწერლური ოსტატობა, რამაც ქართულ ლიტერატურას ორი, ძალიან დახვეწილი და საინტერესო ტექსტი შესძინა.



## ვახტანგ გურული

### არჩევანი ლუარსაბ თათქარიძესა და სოლომონ მეჯღანუაშვილს შორის

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურული და 60-იანი წლების დამდეგი საქართველოს ისტორიაში საბედისწერო ჟამი იყო: უქმდებოდა ბატონყმობა. საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ეკონომიკური და სოციალური სისტემა კვდებოდა, ქრებოდა ის ზნეობა და მორალი, რომელიც ადამიანთა ყველა სოციალური ფენის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენდა. ბატონყმობის გაუქმების შესახებ პირველი ოფიციალური დოკუმენტი – იმპერატორი ალექსანდრ II-ის 1857 წლის 20 ნოემბრის რესკრიპტი ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორ ვლადიმირ ნაზიმოვისადმი – საქართველოში რამდენიმე კაცმა, მეფისნაცვალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ და მისი ადმინისტრაციის სამიოდე ნევრმა, იცოდნენ. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში, როგორც სპეცოპერაცია, ისე მზადდებოდა. იმპერატორის მიერ გამოჩენილი ეს სიფრთხილე სავსებით გამართლებული იყო. თუ ბატონყმობის გაუქმების შესახებ ხმები გავრცელდებოდა და ტყუილ-მართალი ერთმანეთში აირეო-

და, ეს ყველა სოციალური ფენის მყუდროებას დაარღვევდა. პირველი საჯარო დოკუმენტი 1961 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა. ეს იყო ალექსანდრ II-ის მანიფესტი და მისი თანმხლები „დებულება ყმური დამოკიდებულებისაგან გამოსული გლეხების შესახებ“. ამ დოკუმენტებს მოჰყვა კიდევ რამდენიმე საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე აქტი. საჯარო იყო 1864-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმების შესახებ გამოცემული დებულებები და ინსტრუქციები. მიუხედავად ამისა, საქართველოში არათუ გლეხობაში, არამედ თავადებსა და აზნაურებშიც კი დანამდვილებით და ზუსტად არავინ იცოდა, რა მოვლენასთან ჰქონდათ საქმე. საქმეში ღრმად და სერიოზულად იყო ჩახედული სულ რამდენიმე ადამიანი: დიმიტრი ყიფიანი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი, კონსტანტინე ნიჟარაძე, ილია ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი... დიმიტრი ყიფიანის გარეშე მეფისნაცვალ მიხაილ რომანოვი, ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხების

გადანყვეტისას, ნაბიჯს არ დგამდა.

გავრცელდა უამრავი ჭორი. სჯა-ბა-ასი უმეტესწილად ისეთი შინაარსისა იყო, როგორც ლუარსაბ თათქარიძის ეზოში, თუთის ხის ჩრდილში ლუარსაბს, დარეჯანსა და ელისაბედს შორის გამართულა. თავადებისა და აზნაურების აბსოლუტური უმრავლესობის საერთო განწყობილება ასეთი იყო: ბატონყმობის გაუქმება არ შეიძლება! ოღონდ ამის საჯაროდ განცხადებისაგან თავს იკავებდნენ, რადგან ბატონყმობა რუსეთში უკვე გაუქმებული იყო და, ცხადია, ჩვენშიც გაუქმდებოდა. იმ რთულ დროში მოღვაწე გონიერმა ადამიანებმა განსხვავებული პოზიცია დაიკავეს. ამ ადამიანებში ამკარად იგრძნობოდა ბატონყმობის გაუქმებით გამოწვეული ნოსტალგია. ეს შესანიშნავად გამოხატა ალექსანდრე ორბელიანმა 1859 წელს „ცისკრის“ მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილ წერილში „უნინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში“: „მებატონე თავის ყმას შვილივით უყურებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის. ყმა თავის მებატონესთან თამამად მიდიოდა, ყოველ საქმეს დაუფარავად მოახსენებდა და როგორც ამხანაგი, ისე გაუგრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიდის პატივისცემით. ყმა თავის მებატონესთან დაჯდებოდა სადილად ან ვახშმად, მებატონესთან იდგომებოდა, მებატონე და ყმა ერთად საუბრობდნენ, ერთად შეექცეოდნენ და ერთად სიამოვნობდნენ. ყმას მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს სცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო: „არა ვანყენინო რაო“. ნოსტალგია განათლებულ, მოაზროვნე ადამიანებსაც ახასიათებთ. ისევ ალექსანდრე ორბელიანს მივმართოთ. იგი კარგად გრძნობდა, რომ ბატონყმობა უნდა გაუქმებულიყო და ქართველებს ახალ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში მოუწევდათ ცხოვრება. თუ ქართვე-

ლები ახალ ეკონომიკურ და სოციალურ წყობასთან შეზრდა-მეგუებას ვერ მოახერხებდნენ, ამას უცხოტომელები შეძლებდნენ და საქართველოც მათ დარჩებოდათ. „ცისკრის“ 1859 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“ ალექსანდრე ორბელიანი წერდა: „ჩვენ უძლიერეს რუსეთს უპყრივართ სამოცი წელიწადი; იქიდან აქომამდე, რავდენს კარგს მაგალითებს ვხედავთ ანინდელს დროისას: ვაჭრობისას ანუ წარმატებისას? მაგრამ ვერ ვისწავლეთ და შორს დავრჩით ყველაზე (...). ამგვარი ცხოვრებით ბოლოს ისე გავღარიბდით, რომ ღარიბ გლეხკაცებზე უფრო მომეტებით; თუ ვაჭრობისათვის არას ვფიქრობთ და სხვას შესამატა კარგსა, მივიხედ-მოვიხედოთ, თვალი გადავაგლოთ, რას ვნახავთ პირველად? საკურველს საქართველოს სომხებს – დავიჯეროთ ყველამ, უთუოდ ჩვენც ესე უნდა მოვიქცეთ, თორემ ულუკმო დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდევ გავწყდეთ (...). ზოგიერთ შემთხვევაში, ცოტა კიდევ გვიყვარს მამა-პაპური ქცევა, იმათებურად ხელგაშლით ცხოვრება და გულუხვობა, მაგრამ ეს კი არ ვიცით, მაშინდელი დრო სხვა იყო და ეხლანდელი დრო სხვა არის. მამასადამე, დროის მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოდ“. ალექსანდრე ორბელიანი წერს, რომ აუცილებელია „სწავლა-განათლება, მინის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა გვექონდეს ეხლა და აზრი საზოგადოთ“. ალექსანდრე ორბელიანის მიერ გაცნობიერებული საფრთხე რომ რეალური აღმოჩნდა, ამას ნათლად ადასტურებს გრიგოლ ორბელიანი. 1878 წელს ერთ-ერთ კერძო წერილში იგი წერდა: „ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ ჩამოეთესლენ პოლოსოვები! აბოვიანცები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო,

უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარებად“. ეს მარტო ორბელიანების საგვარეულოს ტრაგედია არ იყო. იგივე შეიძლება ითქვას სხვა თავადურ საგვარეულოებზეც. 1882 წელს გრიგოლი ვანო ორბელიანს წერდა: „დავმარხეთ საბრალო დიმიტრი, ვახტანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკლესიაში და ამოწყდა ამისი სახლიცა. ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი (...)! სარდლიანთ ოჯახიდან არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში დგას პოლოხოვი; სამარადლონის სახლში – საგინოვი; ალექსანდრეს ადგილს – ახოვიანცი, ძალლი და მამაძალლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვიჩა მხოლოდ ერთი გიორგი! არის ქაჩალი კოტე, ვალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპულივე პაიკი საშა! ჩვენ, ყაფლანიანი, ვიღუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ, მოგვდევენ დიდად გაჩქარებულნი სოლოლაანნი, ბარათიანნი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი და სხვანიცა და დიდათ ცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება“.

ძველის შენარჩუნება, ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის შეჩერება რომ შეუძლებელი იყო, ამ აზრს „ცისკარში“ გამოქვეყნებული რამდენიმე წერილი ადასტურებდა. „ცისკრის“ 1862 წლის მეთორმეტე ნომერში „თავხედის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა სატირული ოხუნჯობა „წავიდა ის დრო“. წერილის ერთ-ერთი პერსონაჟი, „უაზრო მწერალი“, აცხადებს: „მე ეხლა დავსწერე ერთი აზრი დასაბეჭდავად: უცხადებ ყველა ქართველებს, რომ ეგება საზოგადოთა ვსთხოვოთ მთავარმმართველსა, რომ ეგ ტელიფრალაები (ტელეგრაფი – ვ. გ.) და მაგისტანა მოჯადოებული საქმეები გადააგდოს ჩვენი

საქართველოდამა... ახლა კიდევ ამბობენ, რომ რკინის გზის გაკეთებას აპირებენო, რომელიც შეუბმელად, უსაქონლოდ ივლისო. აბა, სადაც ემაგითანა რალაც რამ შემოვა, კეთილი რად დაგეყრება (...), ერთი ეგლა აკლდა ჩვენს გაურჯულოებასა და ყმანვილი ხალხის გადაბირვასა (...). ღმერთო, შენ დაგვიფარე ამისთანა განსაცდელისაგან...“

„თავხედი“ კარგად ხუმრობდა, თუმცა, აშკარა იყო, რომ ქართველებს საქმე სახუმაროდ არ ჰქონდათ. საბედისწერო ჟამი იდგა...

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრება უდავოდ პროგრესული მოვლენა, მაგრამ, ამავე დროს, მტკივნეული პროცესი იყო: იცვლებოდა ეკონომიკური და სოციალური სისტემა, ირღვეოდა ძველი სოციალური იერარქია, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდნენ ახალი სოციალური კლასები და ჯგუფები, მიმდინარეობდა ქონების გადანაწილება. ეს უკანასკნელი ძალზე მტკივნეულად, დაუნდობლად იწყებოდა. ყოველი სოციალური მოძრაობის, მათ შორის, რევოლუციის, უმთავრესი მიზანი არა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, არამედ სწორედ ქონების გადანაწილებაა. პოლიტიკური ძალაუფლება აუცილებელი იარაღია, მექანიზმია ქონების გადანაწილებისა და შემდეგ მისი დაკანონებისათვის. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ II-მ ქონების გადანაწილებისათვის დაწყებული, ჩანასახში მყოფი მოძრაობის დიდ სოციალურ აფეთქებაში, რევოლუციაში გადაზრდა არ დაუშვა და ეს მტკივნეული და დაუნდობელი პროცესი სამართლებრივ საფუძველზე დაამკვიდრა. „რუსული ბუნტი, ყველაზე დაუნდობელი და ყველაზე უაზრო“ (ალექსანდრ პუშკინი) თავიდან იქნა აცილებული. მიუხედავად ამისა, თვით ქონების გადანაწილების პროცესის თავიდან აცილება ალექსანდრ II-ს, ცხადია, არ შეეძლო, რადგან ბატონყმობის გაუქმება თავის

თავში სწორედ ამას გულისხმობდა. ამ გარდაუვალ მოვლენას თან სდევდა სხვა საგანგაშო ასპექტიც: ფეოდალური საზოგადოების ზნეობა და მორალი ნელ-ნელა ადგილს უთმობდა ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობასა და მორალს. ძველი ზნეობის ახლით შეცვლა, მისი შეთვისება და აღიარება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რთული, მტკივნეული პროცესი იყო.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგადოება გზაგასაყარზე იდგა, მას უნდა ეპოვა პასუხი კითხვაზე: „ძველის“ შენარჩუნება თუ „ახლის“ აღიარება? ყველა ხვდებოდა, რომ „ძველის“ შენარჩუნება უიმედო იყო, „ახლის“ მიღება მორალურ კომპრომისთან ერთად სხვა საშიშროებასაც შეიცავდა და პასუხს მოითხოვდა კითხვაზე: რა არის ეს „ახალი“, რას უქადის იგი საუკუნეების განმავლობაში შესისხლხორცებულ ზნეობას, კიდევ უფრო ადრეული საუკუნეებიდან შემორჩენილ ტრადიციებსა და ადათ-წესებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი იყო, დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების ცხოვრებიდან მაგალითების მოყვანა ვერაფერში წაადგებოდა რუსეთის კოლონიას – საქართველოს.

ქართველი არისტოკრატისათვის, თავადებისა და აზნაურებისათვის, ტრაგედია იყო: გლეხის ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება და მუშა ძალის გარეშე დარჩენა; ყმობისაგან გათავისუფლებული გლეხებისათვის მიწის გადაცემა და მამულის ნაწილის დაკარგვა; ახალ სოციალურ გარემოში ადგილის პოვნა და დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ ქონების გადანაწილების პროცესი დიდი სოციალური აფეთქების გარეშე, სამართლებრივ საფუძველზე მიმდინარეობდა, ეს საზოგადოებას თავიდან ვერ ააცილებდა ახალი სოციალური და ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების

შედეგად წარმოქმნილ საშიშროებას: ქართველი არისტოკრატია ეკონომიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მზად არ იყო, თავისი ადგილი ეპოვა ახალ სოციალურ იერარქიაში, ახალ სოციალურ სინამდვილეში. პასუხი იყო გასაცემი ძალზე მტკივნეულ კითხვაზე: რა უნდა ეღონა თავადს, რომელიც ქონების გადანაწილებამდე (ბატონყმობის გაუქმებამდე) მის საკუთრებაში არსებული მიწითა და ყმების შრომით ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს ვერ იკმაყოფილებდა, მას შემდეგ, რაც ყმებს (ე. ი. უფასო მუშა ძალას) მთლიანად, ხოლო მიწას ნაწილობრივ დაკარგავდა? ფულის შოვნის სხვა გზა, რომელსაც ახალი სოციალური და ეკონომიკური სისტემა შესთავაზებდა ქართველ არისტოკრატებს, მისთვის მორალურად მიუღებელი იყო. ქართველი არისტოკრატია მზად არ იყო, რეალურად აღექვა ბურჟუაზიული, ვაჭრობა-მრეწველობის ეპოქის დადგომა.

1861 წელს ჟურნალ „ცისკრის“ პირველ და მეორე ნომრებში დაიბეჭდა ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ხოლო 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნომრებში – ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

ქართველი საზოგადოების წინაშე წარმოდგა ორი ტიპი: თავადი ლუარსაბ თათქარიძე – ფეოდალური საზოგადოების ღვიძლი შვილი, ფეოდალური ზნეობის, ტრადიციებისა და ადათ-წესების მატარებელი, „ძველი დროის კაცი“, რომელსაც ღრმად სწამს: თავადმა. ფულის შოვნის მიზნით. ურმები ქირაზე არ უნდა გაუშვას, პურის მკისას გლეხებს თავზე არ უნდა დაადგეს; სოლომონ მეჯღანუაშვილი – მდაბიო, ერთ დროს სრულიად ლატაკი, ჯერ კიდევ ქონების გადანაწილებამდე აღზევებული მევახშე, დიდი ფულის პატრონი, „ახალი დროის კაცი“ ახალი მორალითა და ზნეობით, უფრო ზუსტად,

უზნეობით. ეს უზნეობა გამოიხატება სიტყვებით: ფულის შოვნის პროცესში ერთნაირად უნდა მოეპყრა როგორც სრულიად უცნობს, ისე იმ ადამიანს, რომელსაც შენზე ამაგი აქვს.

ლუარსაბ თათქარიძემ არ იცის, რა ხდება ქვეყანაზე, მეტიც, რა მოელის პირადად მას. ის არაფრისათვის არ არის მზად, რადგან ჰგონია, რომ ყველაფერი მუდამ ისე იქნება, როგორც არის და არაფერი შეიცვლება. ეს კარგად ჩანს ლუარსაბის, დარეჯანისა და ელისაბედის საუბრიდან:

„ელისაბედმა დაბალი ხმით დაიწყო:

– ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?

– დიალ, – მიუგეს ერთხმით ცოლქმარმა.

– იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომია მზესა, – ისიც ხომ გაიგეთ?

– დიალ, დიალ, გავიგეთ! – წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა.

– იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ, რომ – აქ უფრო ხმა დაიდაბლა, – თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო!

– ვაი, შენს ლუარსაბსა! – წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, – ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენი ცოდვებისაგან მოგვევლინა!

(...)

– რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! – მიატანა ლუარსაბსა ცოლმა, – სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ! (...)

– მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა! – სთქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, – ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდაც ეგ არ იყოს, რილას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყო-

ლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძენის წიგნშიც რომ იყოს, არ დავიჯერებ, ან რა დასაჯერებელია?

– რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა, ეგ ცუდია, თქვენმა მზემ, – სთქვა ელისაბედმა.

– ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძეობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო; ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო – ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

– რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონყმობა ღმერთს დაუნესებია და თვითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის მადლსა! – სთქვა დარეჯანმაცა“.

როგორც ვხედავთ, ლუარსაბ თათქარიძეს და მის მეუღლეს ღრმად სწამთ, რომ სამყაროში, სადაც ყველაფერი იცვლება, უცვლელი მხოლოდ ბატონყმობაა. უფრო მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ბატონყმობა საიქიოშიც არსებობს! რადგან ლუარსაბს არ სჯერა, რომ ბატონყმობა, როგორც სოციალური და ეკონომიკური სისტემა, აუცილებლად შეიცვლება, არც შეცვლილ გარემოში ადაპტაციისათვის არის მზად. ქართველი თავადებისა და აზნაურების ტრადიცია ის კი არ იყო, რომ ბატონყმობა უქმდებოდა, არამედ ის, რომ მის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორი სოციალური და ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდებოდა და როგორ უნდა ეარსება თვითონ ამ სისტემაში. ტრადიცია იყო ისიც, რომ ქართველ არისტოკრატებს ამის შემეცნების სურვილიც არ ჰქონდა. ამიტომაც,

რომ ლუარსაბმა არ იცის: ტყუილი, პირის გატეხა, ღალატი, ვერაგობა ახალ დროში ფულის შოვნის საშუალებად იქცევა (ამ ეპოქას, კაპიტალის დაგროვების პირვანდელ ხანას, სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებო ტერმინით აღნიშნავენ: „უკანონო კანონიერება“). ამიტომაც, რომ მას ატყუებს ყველა, ძმა, რძალი, მკითხავი, მოურავი, მამა, ძანკალი, სასიამაო. აშკარაა, რომ ლუარსაბ თათქარიძე თავისი ძველი ზნეობითა და მორალით ერთ გროშსაც ვერ იშოვის, ხოლო, როცა ბატონყმობა გაუქმდება და ყმებსა და მამულის ნაწილს დაკარგავს, შეიძლება საერთოდ გადატაკდეს. მოთხრობიდან არ ჩანს, იკადრებს თუ არა თავადი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში თუ ჩავარდა, ურმების ქირაზე გაშვებას... ამას იკადრებენ დავით თათქარიძე და მოსე გრძელაძე, თუმცა, რას მიაღწევნენ ისინი იმ საზოგადოებაში, რომელშიც მათზე ვერაგი, დაუნდობელი და უზნეო კონკურენტები ეყოლებათ, ძნელი წარმოსადგენია.

ქონების გადანაწილების პროცესში ახალი ზნეობა და მორალი, უფრო ზუსტად, უზნეობა და უმორალობა, მკვიდრდება. შემდგომ ამგვარი აზროვნება საყოველთაო გახდება და ახალ სოციალურ ურთიერთობებში გაბატონდება. ამ ახალ ზნეობასა და მორალთან შეგუებას, ცხადია, ლუარსაბ თათქარიძე ვერ შეძლებდა. გადის დრო, ცხოვრება ახალ კალაპოტში მიედინება და ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ეჩვევა ახალ სოციალურ გარემოსა და მისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებს... ეგუება ან თუ ვერ ეგუება, საარსებო წყაროს მოპოვების მიზნით კომპრომისზე მიდის და თავი ისე უჭირავს, თითქოს სინამდვილე მიიღო. თუ ლუარსაბ თათქარიძის თაობას შევადარებთ ქართველი არისტოკრატის იმ თაობას, რომელიც 20-30 წლის შემდეგ ცხოვრობდა, ასეთი საინტერესო დასკვნის გაკეთებას შევძლებთ: დავით

კლდიაშვილის მიერ შექმნილი ტიპებიდან ნაწილი, მაგალითად, კირილე მიმინაშვილი, ვერ შეეგუა სინამდვილეს და „ახალ დროშიც“ ისევ „ძველი დროის“ მორალით ცხოვრობს. არისტოკრატის მეორე ნაწილი ადაპტირებულია სინამდვილესთან, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად: პლატონ სამანიშვილი, ოტია ქამუშაძე, ფიზიკურ შრომასაც კი კადრულობენ, სხვები მაგ. სოლომან მორბელაძე, ფულის შოვნის არისტოკრატისათვის შეუფერებელ საშუალებაზეც (მაშველობაზე) არ ამბობენ უარს. ბუნებრივად ისმის კითხვა: ქონების გადანაწილების (ბატონყმობის გაუქმების) შემდეგ წარმოშობილ ახალ სოციალურ იერარქიაში ვის აქვს მყარად დამკვიდრებული ადგილი: კირილე მიმინაშვილს, პლატონ სამანიშვილს, ოტია ქამუშაძეს, სოლომან მორბელაძეს თუ არისტო ქვაშავიძეს? – არც ერთს. როგორც ვხედავთ, მორალური კომპრომისი, რომელიც წარმოუდგენელი იყო ლუარსაბ თათქარიძისათვის, მაგრამ მისაღები დავით თათქარიძისათვის, სულაც არ ყოფილა საკმარისი ახალ სოციალურ იერარქიაში ადგილის დასამკვიდრებლად. ამისათვის სხვა რამ იყო აუცილებელი, ის, რაც კარგად იცოდა სოლომონ მეჯღანუაშვილმა.

სოლომონ მეჯღანუაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ განათლება არ მიუღია, ყველაფერი იცის, რაც ქვეყანაში ხდება, იცის ფულის შოვნის გზა. თავად სოლომონი ჰყვება:

„დავინყე ხელმეორედ ჩემი ხელობა – კინტუობა და ჩარჩობა. მხნეობას მოუვმატე, ძილი და მოსვენება არ მქონდა. ჩემი გონება იყო გართული ფულეობით, ჩემი გული გრძნობდა მხოლოდ ფულეობის სიყვარულსა. ეს სიყვარული იქამდინ გამიცხოველდა, რომ ხშირად მშრალ პურსაც არ ვყიდულობდი, რომ გროში გროშა არ მოჰკლებოდა, ხშირად განდევნილ ბერსავით ოცდაოთხს საათში არასა ვსჭამდი, და, ხანდახან ორ დღესაცა. მხოლოდ მე გავერჩე-

ვოდი ბერისაგან მით, რომ ბერი არას სჭამს, გინდ მრავალი ენყოს თვალწინ, მე კი ვეძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგების უფასოდ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დაღლილობას, შიმშილსა, სიცივესა და სიცხესა ხომ სრულებით არა ვგრძნობდი“. სოლომონ მეჯღანუაშვილმა სწორად ამოიცნო, რომ ფულის შოვნა და ზნეობა შეუთავსებელია. დამწყები ბურჟუას მორალს სოლომონი ასე გვაცნობს: „უსიამოვნობას ვგრძნობდი მხოლოდ მაშინ, როდესაც ტყუილი უნდა მეთქვა, ტყუილად უნდა დამეფიცნა, მაგრამ ამასაც შევეჩვიე. ასე რომ, ხელის ხელსახოცად გავიხადე ტყუილი ფიცი, რადგან შეუძლებელი იყო უამისოდ მომეგო გროში“. სოლომონ მეჯღანუაშვილი „უკანონო კანონიერებით“ ფულის მშოვნელთა ტიპური წარმომადგენელია, რაც ადამიანურ ღირსებაზე ხელის აღებას მოითხოვს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას ეს ადამიანური ღირსებები ჰქონდა, მის გარშემო იყვნენ ადამიანები (თავადი ლუარსაბ რაინდიძე, დედამისი დარეჯანი, ლუარსაბის შვილი ალექსანდრე, სოსია გამნკეპლავიძე), რომელთაც მისაბაძი მორალი და ზნეობა გააჩნდათ. სოლომონ მეჯღანუაშვილი, როდესაც ცხოვრება კარგად გაიცნო, დარწმუნდა, რომ ფულის შოვნას ისეთი უზნეო ადამიანები ცდილობდნენ, რომ მათთან ურთიერთობაში ადამიანური ღირსებების დაკარგვა გარდაუვალი იყო, დაკარგა კიდეც... თვით სოლომონი გვაუწყებს, როგორ გააკოტრა დიდი ფულის პატრონი ვაჭარი გასპარ სარქისბეგაშვილი: „როდესაც მე გავავრცელე ჩემი აღებ-მიცემობა ქართლში, სარქისბეგაშვილს ძლიერ შემოაკლდა მოგება პურში. ამას არ დავაჯერე, სამსწელიწადს ვაზარაღე რვაასი თუმანი თეთრი. სარქისბეგაშვილი ყიდულობდა ნაღდ ფულად პურსა და უთუოდ მომატებით უნდა გაეყიდნა. მე მხოლოდ სარგებელს ვყიდდი და იმაზე ბევრად

იაფად. ასე რომ, ის უნდა ჩამოსულიყო თავნიდან. რომ გაუჭირდა და ზარალი ველარ აღიდგინა, სარქისბეგაშვილმა ხელი აიღო ამ ვაჭრობიდან და იწყო ვაჭრობა აბრეშუმისა“. სოლომონი სიამაყით აღნიშნავს, რომ აბრეშუმით მოვაჭრე სარქისბეგაშვილი ამ სფეროშიაც გააკოტრა. სხვისი გაღატაკება და ამ გზით სოციალური მდგომარეობის მოპოვება სოლომონ მეჯღანუაშვილისათვის სრულიად მისაღებ წესად იქცა, თუმცა იყო გამონაკლისიც: სოლომონ მეჯღანუაშვილში მიძინებულმა სინდისმა გაიღვიძა, როცა დაინახა, რომ გასპარ სარქისბეგაშვილის ოჯახი უნუგეშოდ დატოვა და, მდგომარეობის გამოსასწორებლად, მისი ქალიშვილები გაამზიოთა. ცხადია, ასეთ გამონაკლისს ხშირად ვერ დაუშვებდა, რადგან მის გარშემო მყოფი უამრავი ადამიანი ამ მორალით არ ცხოვრობდა.

სოლომონ მეჯღანუაშვილის სოციალური მემკვიდრე პორფირ ბიაშვილია. პირველი ფულს ჩარჩობით შოულობს, მეორე – გაქნილი, თაღლითი და ყველაფრის მკადრებელი ვექილია. ორივე ხელმძღვანელობს ერთი და იმავე პრინციპით: „ფულს სუნი არ ასდის“.

პორფირ ბიაშვილის მამა, მაქსიმე ბიაშვილი, იმავე სოციალური სამყაროდან გამოვიდა, საიდანაც ლუარსაბ თათქარიძე. მას თავისი საზოგადოების მორალი არ დაურღვევია, უბრალოდ, „მოხერხებული კაცი“ იყო, სოფლიდან ქალაქში გადაბარგდა და პორფირს განათლება მისცა. პორფირ ბიაშვილმა კი იმ საზოგადოების ზნეობა და მორალი უარყო, რომლის ღვიძლი შვილიც იყო, პორფირი სიამაყით აცხადებს: „ღვთის მადლით, რა საქმისთვისაც ხელი მომიკიდნია, ისე წამიყვანია და დამითავებია, როგორც მდომებია... ჯერ, ღვთის მადლით, არაფერში არ წამიგია და ჩემი ჭკუის იმედი მაქვს, არც წავაგებ რამეს... ჭკუა უნდა ყველაფერს, ჭკუა! აი, ამ ჩემ ვექილობაზე გეტყვით: რამდენი განათლებული ვექი-

ლია, კურსოვნიკი, უნივერსიტეტ დამთავრებული, ქვეყნები აქვთ მოვლილი, მარა ტყვილია, ჩემოდენი იმათ არაფერი არც შეუძლიათ, არც ეხერხებათ, მშვირები გდიან – კაცი არ ეკარებათ; მე კი, ამ ჩემი ორი კლასით იმდენი მესევა, რომ ბევრს უარს ვეუბნები; პურიც ბევრი შემომდის, ღვინოც და ფულიც... ვცხოვრობ ბატონურად!.. (...) ვერც მტრობით მაჯობა ვინმემ... მოხერხება უნდა ყველაფერში კაცს, მოხერხება (...), თუ დამჭირდა, ისეთნაირ ხრიკებს მოვდე, ვინც იქნება, ისეთ ხრიკებს მოვდე, რომ ადამიანი კი არა, თვითონ ეშმაკიც დეიბლანდება და დეიბურდება შიგ!..“ როგორ მოსწონთ თავი სოლომონ მეფლანუაშვილსა და პორფირ ბიაშვილს ტყუილით, ორპირობით, ფლიდობით, ლალატი...

ქართველ საზოგადოებას არჩევანი ლუარსაბ თათქარიძესა და სოლომონ მეფლანუაშვილს, ოტია ქამუშაძესა და პორფირ ბიაშვილს შორის უნდა გაეკეთებინა. არჩევანი ვერ გაკეთდა...

ლავრენტი არდაზიანმა და ილია ჭავჭავაძემ, ივანე კერესელიძის „ცისკარმა“ ქართველი საზოგადოება იმისათვის შეამზადეს, რომ არჩევანი გაეკეთებინა იდეალურს, სასურველსა და რეალურს, ნამდვილს შორის. წარმავალის მიმართ ნოსტალგია, განწირულისადმი თანაგრძნობა სხვა რაიმეა, სხვა რაიმეა იმის მტკიცება, რომ „ძველი ყველაფერი კარგია“. ქართულ მწერლობას ეს კარგად ჰქონდა გააზრებული, მაგრამ მწერლობას დრო არ ეყო დაბნეულ საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის, იმ ფსიქოლოგიური გარემოს შეცვლისათვის, რომელიც ხელს უშლიდა სწორი არჩევნის გაკეთებას. ბატონყმობის გაუქმება სპეცოპერაციასავით მომზადდა. თავადს, აზნაურს, გლეხს საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა, რათა ყველაფერი ობიექტურად აღექვა და ახალ რეალობასთან შეზრდა-შეგუების გზა ეპოვა. შედეგმაც არ დააყოვნა: რეალობად იქცა საფრთხე, რომელიც

დიდი ხნის წინ გააცნობიერა ალექსანდრე ორბელიანმა. თავად კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის მემკვიდრეებს 1916 წლისათვის დარჩათ 4.000.000 მანეთად შეფასებული მამული, 13.000 დესეტინა მიწა თბილისისა და გორის მაზრებში. კანონიერ მემკვიდრეებთან ერთად, მამულს სხვა ჯურის „მემკვიდრეებიც“ გამოუჩნდნენ. ესენი იყვნენ სომეხი კრედიტორები, რომელთაც მუხრანბატონის მამული 300.000 მანეთად გირაოდ ჰქონდათ აღებული. სომეხი კრედიტორები კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის მემკვიდრეებს დაემუქრნენ – ან დაუყოვნებლივ გაგვინაღდე თამასუქები, ან მთელ მამულს საჯარო ვაჭრობით გაგიყიდითო! დაახლოებით იგივე ბედი ეწია სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, ნიკო დადიანს (მინგრელსკის) – რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდან 1876 წელს კანონმდებლობის სრული დაცვით აღებული ვალი (300.000 მანეთი) ველარ დაფარა, რის გამოც მისი მამული ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში, ასევე სოხუმის ოკრუგში, სადაც 2.922 კომლი დროებით ვალდებული გლეხი ცხოვრობდა, გლეხთა საადგილმამულო ბანკმა შეისყიდა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს კახეთში შემოჭრილმა იმამ შამილის ერთ-ერთმა რაზმმა წინანდლის მამულში ტყვედ აიყვანა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის, პოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის ოჯახი (მეუღლე და შვილები) და ნათესავები. დავით ჭავჭავაძემ ოჯახის გამოსასყიდი თანხა ვერ იშოვა და ბოლოს წინანდლის მამული ბანკში დააგირავა. ბანკის ვალი მან ვერ გადაიხადა, რის გამოც წინანდლის მამული რუსეთის იმპერიის ხაზინის, საბოლოოდ კი რომანოვების დინასტიის საკუთრება გახდა.

ეს ტრაგედია, რა თქმა უნდა, რამდენიმე თავადურ საგვარეულოს არ დასტეხია თავს. 1864 წლის 1 ივნისის მონაცემებით, თბილისისა და ქუთაისის

გუბერნიების თავადაზნაურობას გამსესხებელ ბანკში დაგირავებული ჰყავდა 4.848 კომლი გლეხი (17.392 მამრობითი სქესისა და 13.322 მდედრობითი სქესისა, სულ 30.714 სული). 4.848 კომლი (სახნავ-სათესითა და ბალ-ვენახით) შეფასებული იყო 2.042.100 მანეთად. უშუალოდ თავადაზნაურობას მის საკუთრებაში არსებული მიწის (ყმა გლეხების დროებით სარგებლობაში არსებული მიწის გამოკლებით) 25% ჰქონდა დაგირავებული, რაც 5.047.126 მანეთად იყო შეფასებული. 1864 წლის 1 ივნისისათვის თავადაზნაურობის ბანკისადმი დავალიანება 1.810.840 მანეთს შეადგენდა. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები) თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ყმების გათავისუფლების შემდეგ თავადაზნაურობა უფასო მუშახელის გარეშე დარჩა. გარდა ამისა, მას მეურნეობის გაძღოლის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის, ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკის განყოფილების დაარსებას, თუმცა ბანკებიდან მიღებულმა სესხმა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე მცირედ გააუმჯობესა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მეურნეობას ძველი, მამაპაპური მეთოდებით უძღვებოდა. ამიერკავკასიაში საქალაქო ცხოვრების სუსტად განვითარებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების ფაქტობრივად არარსებობის გამო, მინათმფლობელი მონეული პროდუქციის რეალიზებას ვერ ახერხებდა. ამით იყო გაპირობებული ის, რომ თავადაზნაურობა არათუ ბანკიდან აღებულ სესხს (თავსს), არამედ ბანკის პროცენტსაც ვერ ფარავდა. შედეგი სავალალო იყო:

ბევრი მამული ბანკის საკუთრება ხდებოდა. 1876 წელს თავადაზნაურობას თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის 113.000 მანეთი ემართა, 1908 წელს – 5.191.000 მანეთი. 1878 წელს ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში მინათმფლობელთა დავალიანებამ 144.000 მანეთი შეადგინა, 1908 წელს – 1.513.000 მანეთი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, გარდა ახალ სოციალურ გარემოსთან და ეკონომიკურ პირობებთან შეგუებისა, მეურნეობის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნისა და მიწის კაპიტალად ქცევისათვის აუცილებელი იყო ეკონომიკური სახსარი, ფული. ფული მცირემიწიან თავადებსა და აზნაურებს არ გააჩნდათ. გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ მსხვილი მინათმფლობელები. მათ შეეძლოთ მიწის ნაწილი ბანკში დაეგირავებინათ და მიღებული თანხით მეურნეობა გაემართათ: დაექირავებინათ აგრონომი და მუშახელი, შეესყიდათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოენყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მარტივი ტიპის საწარმოები, ეზრუნათ გასაღების ბაზარზე. ნაცვლად ამისა, მსხვილი მინათმფლობელები (თავადები) ბანკებიდან აღებულ ვალს საყოფაცხოვრებო პირობების (სახლი, ავეჯი, ტანსაცმელი, კვება და სხვ.) გაუმჯობესებისათვის იყენებდნენ, რამდენიმე ათას კვადრატულ ვერს მიწას კი მამაპაპური მეთოდებით ამუშავებდნენ. მამულის მოვლა-პატრონობა აგრონომიული ცოდნის მქონე ადამიანებს კი არ ებარათ, არამედ მოურავებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ელემენტარული ცოდნა არ გააჩნდა და სამეურნეო პროცესის გაძღოლის ნაცვლად მხოლოდ ზედამხედველის როლს ასრულებდა. მსხვილი მინათმფლობელების დიდი ნაწილი ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, გორი) ცხოვრობდა და მამულის მართვაში უშუალოდ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა,


მონეული მოსავლის გასაღებზეც კი არ ზრუნავდა. ყოველივე ამის გამო მინა იმის ნახევარ შემოსავალსაც კი არ იძლეოდა, რაც ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში უნდა მოეცა. შინაურ პირუტყვში (ძროხა, ცხვარი) იშვიათად იყო ჯიშისანი საქონელი. პირუტყვის დიდი ნაწილი დაავადებული იყო არცთუ ისე ძნელად გასაკურნი სნეულებით, მაგრამ ამისათვის ვეტერინარი იყო საჭირო, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. თავადების საკუთრებაში არსებული ტყე ჩანაგდებოდა, რადგან იგი უცხოტომელ არენდატორებს ჰქონდათ აღებული, რომლებიც საუკეთესო ჯიშის ასწლოვან ხეებს პირნმინდად ჭრიდნენ. არ ხდებოდა ტყის განახლება.

მეურნეობის ახალ ყაიდაზე წარმოება ძნელი იყო, მაგრამ როგორ ახერხებდნენ ამას გერმანელი კოლონისტები და რატომ ვერ ახერხებდა ქართველი თავადი? ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ მეურნეობის გარდაქმნისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსრის (ფულის) არსებობის პირობებშიც კი ტრადიციული ფსიქოლოგიური კლიმატი აფერხებდა ქართველი თავადის – წარსულში ქართული სახელმწიფოს დასაყრდენის, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, ერის ელიტის მიწის ახალი ტექნოლოგიით დამუშავებაზე მზრუნველ, გასაღების ბაზრის მაძიებელ და კონკურენტებთან მებრძოლ მენარმემდე (ბურჟუამდე) „ჩამოქვეითებას“. ვაჭრობასა და მრეწველობას ქართული არისტოკრატიული ელიტა ყოველთვის უცხოტომელთა, დაბალი სოციალური მდგომარეობის ადამიანთა ასპარეზად თვლიდა და ვერ ხვდებოდა იმას, რომ სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებმა ჩაიგდეს ხელში ქართული ქალაქი და შემდეგ ნელ-ნელა სოფლის დაპატრონებასაც ცდილობდნენ. მეურნეობა ახალ ყაიდაზე ვერც მცირემიწიანმა გლეხებმა გარდაქმნეს და ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქს მიაშურეს. მათ ვერც ქალაქში მოიკიდეს ფეხი და თავი-

ანთი ფსიქოლოგიით საბოლოოდ აღარც გლეხები იყვნენ და აღარც მუშები. ასე წარმოიშვა დეკლასირებული ადამიანების ფენა. ჯერჯერობით სოფელში მხოლოდ მდიდარი და საშუალო შეძლების გლეხები რჩებოდნენ.

თავადაზნაურობის გალატაკება მხოლოდ სოციალური ტრაგედია არ იყო, იგი დიდ ეროვნულ ტრაგედიად იქცა. ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის პირობებში ერის ინტელექტუალურ ძალას, ერის წინამძღოლს თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ეკონომიკურად გალატაკებული და სოციალურად დეგრადირებული თავადაზნაურთა კლასი ცხადია, იმ ფუნქციას ვეღარ შეასრულებდა, რომელსაც ასრულებდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

ბატონყმობის გაუქმება, როგორც აუცილებელი და პროგრესული სოციალური მოვლენა, ქართველ ერს დიდ ეროვნულ ტრაგედიად ექცა. ქართველმა თავადაზნაურობამ თავისი ტრადიციული ფუნქცია დაკარგა. XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველ ძალად იქცა სოციალურად ჭრელი ფენა, რომელიც დეკლასირებული ელემენტებისაგან (თავადი, აზნაური, გლეხი) შედგებოდა, სერიოზულად იყო ავად კოსმოპოლიტიზმით და ნიჰილისტურად უყურებდა ეროვნული მოძრაობის დიდ მონაპოვარს. ამ დეკლასირებულმა ელემენტებმა 1905 წლის რევოლუციის დროს საზოგადოება ორ მტრულ ბანაკად გათიშეს და თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევას ამ ძალების დაპირისპირებით გეგმავდნენ. არჩილ ჯორჯაძე რევოლუციის შემდგომ ქართველ საზოგადოებას „ავადმყოფ საზოგადოებას“ უწოდებდა. ამ ტრაგედიის ბოლო მოქმედების უკანასკნელი სცენა 1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა იყო.



## ლევ ტოლსტოი

### ბერი ფიოდორ კუზმიჩის ჩანაწერები, გარდაცვლილი 1864 წელს ტიბილისში, ტომსკის სიასლოვს, ვაჭარ ხრომრვის სოფელში.

ჯერ კიდევ ბერი ფიოდორ კუზმიჩის სიცოცხლეში, რომელიც ტიბილისში 1836 წელს გამოჩნდა და სხვადასხვა ადგილას ოცდაშვიდი წელი იცხოვრა, ხმა იყო გავრცელებული, რომ ის თავის ვინაობას მალავდა და რომ იმპერატორი ალექსანდრე I იყო. მისი სიკვდილის შემდგომ ეს ხმები უფრო გავრცელდა და გაძლიერდა. ის, რომ მართლაც ალექსანდრე I იყო, მარტო ხალხს კი არა, საზოგადოების მალალ წრეებშიც სჯეროდათ და თვით სამეფო ოჯახსაც ალექსანდრე III-ის დროსაც კი. სჯეროდა ალექსანდრე I-ის მეფობის დროინდელ ისტორიკოსს, სწავლულ შილდერსაც.

ამ ჭორის საბაბი უპირველესად ის იყო, რომ ალექსანდრე სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა და სიკვდილამდე მძიმედ არ უავადმყოფია; მეორე ის, რომ ყველასგან შორს, საკმაოდ ყრუ ადგილას, ტაგანროგში გარდაიც-

ვალა; მესამე ის, რომ, როცა კუბოში ჩაასვენეს, ვინც ის ნახა, ამბობდნენ, ისე ძალიან შეცვლილიყო, ძნელად თუ შეიცნობდით და ამის გამო კუბოს თავსახური დაახურეს და არავის აჩვენებდნენ; მეოთხე ის, რომ ალექსანდრეს არაერთხელ უთქვამს და წერდა კიდევ (განსაკუთრებით ბოლოს), რომ მხოლოდ ერთი რამ სურდა – მოვალეობისაგან თავი დაეხსნა და ამ ქვეყნიდან წასულიყო; მეხუთე ის, რომ გარემოებები ნაკლებად ცნობილია და ალექსანდრეს სხეულის აღწერის პროტოკოლში ეწერა, რომ წელი და დუნდულები მუქი წითელი და ჩალურჯებული ჰქონდა, რაც შეუძლებელია, იმპერატორის სათუთ სხეულზე ყოფილიყო.

ის, რომ კუზმიჩი გაუჩინარებულ ალექსანდრედ მიაჩნდათ, ამის საბაბი ის იყო, რომ ბერი სიმაღლით, ტანით და გარეგნულად იმდენად ჰგავდა იმპე-

რატორს, ხალხი (ლაქიები, ვინც კუზმიჩში ალექსანდრე შეიცნეს), ვისაც ალექსანდრე და მისი პორტრეტები ენახა, მათ ძალიან ამსგავსებდნენ. ერთი ასაკის, ორივე წელში მოხრილი; მეორე ის, რომ კუზმიჩმა, რომელიც თავს უთვისტომო მანანწალად ასალებდა, უცხო ენები იცოდა და მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სინატიფითა და დიდებულებით გამოირჩეოდა; მესამე ის, რომ ბერს თავისი ვინაობა არავისთვის გაუმხელია და თავისი გამონათქვამებით მასში საზოგადოებაში ოდესღაც ყველაზე მაღლა მდგომ ადამიანს შეიცნობდით; მეოთხე ის, რომ მან სიკვდილის წინ რალაც ქაღალდები გაანადგურა, რომელთაგან მხოლოდ ერთი, უცნაური ნიშნებით დაშიფრული ფურცელი გადარჩა, ინიციალებით **ა.** და **ჰ.**; მეხუთე ის, რომ, მიუხედავად მისი ღვთისმოსაობისა, ზიარების წინ აღსარებას არ ამბობდა. როცა მასთან მისულმა მღვდელმთავარმა უთხრა, რომ ქრისტიანის წესი შეესრულებინა, ბერმა მიუგო: „თუ აღსარებისას სიმართლე არ ვთქვი, ზეცა გაცდება, თუ ვიტყვი, ვინ ვარ – დედამინა“.

ყველა ეს ეჭვი გაქარწყლდა კუზმიჩის ჩანაწერების პოვნის მერე. ჩანაწერები ასე იწყება:

I

„ღმერთო, უშველე შეუფასებელ მეგობარს, ივან გრიგორიჩს<sup>1</sup> ასეთი მოსაწონი თავშესაფრისთვის. ღირსი არ ვარ მისი ღვთიური სიკეთისა და წყალობისა. აქ დავმშვიდდი. ცოტა ხალხი დიდის და მარტოდმარტო ვარ ჩემი დანაშაულებრივი წარსულის მოგონებებთან და ღმერთთან. ვეცდები, ვისარგებლო

განმარტოებით, რათა თანმიმდევრულად აღვწერო ჩემი ცხოვრება. იქნებ, ხალხს დარიგებად გამოადგეს.

დავიბადე და ჩემი ცხოვრების ორმოცდაშვიდი წელი ყველაზე საშინელ საცთურთა შორის განვვლე და არათუ არ შევწინააღმდეგებოვარ, არამედ სხვებსაც ვაძულებდი, მაგრამ ღმერთმა გადმომხედა. ჩემი ცხოვრების სისაძაგლე, რომელსაც საკუთარი თავის წინაშე გამართლებას და სხვებზე გადაბრალებას ვცდილობდი, ბოლოს და ბოლოს, მთელი საშინელებით დამიდგა თვალწინ და ღმერთი დამეხმარა, რათა მისგან გავთავისუფლებულიყავი და შევბრძოლებოდი, მაგრამ მისგან ჯერ კიდევ სრულად არ გავთავისუფლებულვარ. როგორი სულიერი ტანჯვა გადავიტანე, რა განიცადა ჩემმა სულმა, როცა საკუთარი ცოდვები და მათი გამოსყიდვის აუცილებლობა (ცოდვების თვითგვემით გამოსყიდვა) გავაცნობიერე, თავის დროზე მოვეყვები. ახლა აღვწერ, თუ როგორ წავედი ჩემი მდგომარეობიდან, საკუთარი გვამის ნაცვლად, როგორ დავტოვე ჩემგან სასიკვდილოდ ნაწამები ჯარისკაცის გვამი. დავიწყებ ჩემი ცხოვრების აღწერას დაბადებიდან.

ჩემი გაქცევა ასე მოხდა: ტაგანროგში ისევე უზნეოდ ვცხოვრობდი, როგორც ამ უკანასკნელი ოცდაოთხი წლის განმავლობაში. მე, უდიდესი დამნაშავე, მამის მკვლელი, ომებში ასობით ათასი ადამიანის მკვლელი, რომელთა მიზეზიც მე ვიყავი, საზიზღარი ნაძირალა, არამზადა, მჯეროდა, რასაც მეუბნებოდნენ. თავი ევროპის მხსნელად მიმაჩნდა, კაცობრიობის კეთილისმყოფლად, რჩეულ სრულყოფილ-

1 ივან გრიგორიჩ ლატიშევი – სოფელ კრასნორეჩინსკელი გლეხი, რომელმაც ფიოდორ კუზმიჩს მრავალგზის საცხოვრებლის გამოცვლის შემდეგ, გზიდან მოშორებით, მთაზე, ქარაფის თავზე, ტყეში, სენაკი აუშენა. ამ სენაკში დაიწყო კუზმიჩმა წერა (ტოლსტოის შენიშვნა).

ბად, ბედნიერ შემთხვევითობად, როგორც ეს ქალბატონ სტალს ვუთხარი. თავი ასეთად მიმაჩნდა, მაგრამ ღმერთმა სრულიად არ მიმატოვა, სინდისი მქენჯნიდა. ჩემთვის ყველანი ცუდები, დამნაშავენი იყვნენ. მხოლოდ მე ვიყავი კარგი და ეს არავის ესმოდა. მე ღმერთი მწამდა, ხან მართლმადიდებლურად ვლოცულობდი, ხან კათოლიკურად, ხან პროტესტანტულად, ხან ილიუმი-ნატორულად. ღმერთს მივმართავდი მხოლოდ ხალხის თვალწინ, რათა ისინი ჩემი ცქერით დამტკბარიყვნენ. ყველა ადამიანს ქედმაღლურად ვუყურებდი და ეს ხალხი, მათი შეხედულებები ჩემთვის უმთავრესი იყო, მხოლოდ ამისთვის ვცოცხლობდი და ვმოქმედებდი. მარტოობა საშინელი იყო, განსაკუთრებით ცოლთან – შეზღუდული, ცბიერი, ჭირვეული, ავი, ფერმიხდილი და ყველაფერი მოჩვენებითი. სიცოცხლე ყველაზე მეტად მან მომიწამლა. ვიმედოვნებდით, რომ თაფლობის თვე გაგვეტარებინა, მაგრამ ეს იყო ჯოჯოხეთი, მოჩვენებითი და საშინელი.

ერთხელ განსაკუთრებული ზიზღი ვიგრძენი. წინა დღით არაკჩევეისგან წერილი მივიღე მისი საყვარლის მკვლელობის თაობაზე. ის მწერდა თავის სასონარკვეთილებაზე, მწუხარებაზე. საოცარია მისი გაუთავებელი, დახვეწილი პირფერობა, არა მხოლოდ პირფერობა, არამედ ნამდვილი ძალღერი ერთგულება, რაც ჯერ კიდევ მამაჩემის დროიდან დაიწყო, როცა ჩვენ ერთად, ბებიასგან მალულად შევფიცეთ მას. ამ ძალღერი ერთგულების გამო იყო, რომ ბოლო დროს მამაკაცებიდან თუ ვინმე მიყვარდა, ის მიყვარდა, თუმცა მიუღებელია სიტყვა „მიყვარდა“-ს ხმარება. მასთან კიდევ ის მაკავშირებდა, რომ სხვებივით არ მონაწილეობდა მამაჩემის მკვლელობაში, რომლებიც ჩემი დანაშაულის თანამონაწილეობის გამო მძულდნენ. ის არა მარტო არ მონაწილეობდა, არამედ, ერთგული იყო ჩემი

და მამაჩემისა. სხვათა შორის, ამაზე შემდგომ.

ცუდად მეძინა. უცნაურია, რომ ნასტასიას (ის საოცრად მომნუსხავად ლამაზი იყო) მკვლელობამ ვნება აღმიძრა. მთელი ღამე არ მეძინა. ის, რომ ოთახს იქეთ გაცრეცილი, მობეზრებული ცოლი იწვა, რომელიც სულ არ მჭირდებოდა, მამბრაზებდა და უფრო მეტად მტანჯავდა. მტანჯავდა მოგონებები მარიზე (ნარიშკინაზე), არარაობა დიპლომატზე რომ გამცვალა. ჩანს, მე და მამაჩემს გაგარინებზე ეჭვიანობა დაგვებდა. კვლავ მოგონებებმა გამიტაცა. მთელი ღამე არ მეძინა. თენდებოდა. ფანჯარაზე ფარად გადავნიე, თეთრი ხალათი ჩავიცვი და კამერდინერს მოვუხმე. ჯერ ისევ ეძინათ. სერთუკი და სამოქალაქო შინელი ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, ყარაულებს ჩავუარე და ქუჩაში გამოვედი.

მზე, ის იყო, ზღვას ამოსცდენოდა. გრილი შემოდგომის დღე გათენდა. ჰაერზე თავი უკეთესად ვიგრძენი. შავბნელი ფიქრები გამიქრა და მზეზე მოლივლივე ზღვისკენ გავნიე. ჯერ მწვანე სახლის კუთხესთან არ ვიყავი მისული, რომ მოედნიდან დოლისა და ფლეიტის ხმა მომესმა. მივაყურადე და მივხვდი, რომ მოედანზე ეკზეკუცია ხდებოდა, მწკრივებს შორის ატარებდნენ. რამდენჯერ გამიცია ასეთი სასჯელის აღსრულების ბრძანება, მაგრამ არასდროს მენახა. უცნაური რამ დამემართა – მოკლული მზეთუნახავის, ნასტასიასა და შპიცრუტენებით განგმირული ჯარისკაცების სხეულებზე ფიქრმა ამაღლევა. გამახსენდა მწკრივთა შორის გატარებული სემიონოველები და სამხედრო გადასახლებულები, რომელთაგან ასეულობით სიკვდილამდე იყო გადასახლებული და უცებ თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა – მენახა ეს სანახაობა. ეს მე შემეძლო, რადგან სამოქალაქო ტანსაცმელი მეცვა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი, უფრო

ამკარად მესმოდა დოლის ბრახუნისა და ფლეიტის ხმა. ჩემი ახლომხედველობის გამო ლორნეტის გარეშე კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ ჯარისკაცთა მწკრივები და მათ შორის მოძრავი მალალი, თეთრზურგა ფიგურა უკვე შევნიშნე. როცა მწკრივთა უკან სეირის მაცურებელ ბრბოს შევერე, ლორნეტი ამოვიღე. ყველაფრის დანახვა შემძლო, რაც ხდებოდა. მალალი კაცი იყო, შიშველი ხელები შეკრული ჰქონდა, ზურგი – დასისხლიანებული და ნელში მოხრილი მოდიოდა კეტებით შეიარაღებულ ჯარისკაცთა მწკრივებს შორის. ეს კაცი ჩემი ორეული იყო – ჩემი სიმაღლის, უულვაშო, ჩემივე ლანვები, პირი და ცისფერი თვალები, მაგრამ არა მომლიმარე, არამედ დარტყმებისაგან შეჭმუნხილი, თვალები არა მონყალე და ალერსიანი, არამედ, საშინლად დაჭყეტილი – ხან ახელდა, ხან ხუჭავდა.

როცა ამ კაცს სახეში შევხედე, ვიცანი. ეს იყო სტრუშენსკი – ჯარისკაცი, სემიონოვის პოლკის მე-3 როტის მარცხენა ფლანგის უნტერ-ოფიცერი, თავის დროზე გვარდიელებისათვის იყო ცნობილი, ჩემთან მსგავსების გამო. მას ხუმრობით ალექსანდრე II-ს ეძახდნენ.

ვიცოდი, რომ, სხვა ამბოხებულ სემიონოველებთან ერთად, გარნიზონში იყო გადაყვანილი და მივხვდი, რალაც ჩაიდინა. სავარაუდოდ, გაიქცა, დაიჭირეს და უნდა დაესაჯათ. როგორც მერე გავიგე, ასეც იყო.

მონუსხულივით ვიდექი. ვუყურებდი, როგორ მიაბიჯებდა ეს უბედური, როგორ ურტყამდნენ და ვგრძნობდი, რომ ჩემში რალაც ხდებოდა. უცებ შევნიშნე, რომ სეირის მაცურებელი ხალხი მე მიცქერდა. ზოგი დამშორდა, ზოგი მომიახლოვდა. ამკარა იყო, მიცნეს. ეს რომ შევნიშნე, შემოვბრუნდი და შინისკენ წამოვედი. კვლავ ისმოდა დოლის ბრახუნისა და ფლეიტის ხმა. დასჯა გრძელდებოდა. ვიგრძენი, ჩემი ორეულისათვის უნდა თანამეგრძნო.

თუ არ თანავუგრძნობდი, მაშინ უნდა მეღიარებინა, რაც ხდებოდა, აუცილებელი იყო და ვიგრძენი, რომ ეს ვერ შეეძელი. ამასთან ერთად, ვგრძნობდი, თუ არ ვაღიარებდი იმას, რომ ეს ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო და ეს მართებულიცაა, მაშინ ამით ვაღიარებდი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე და საქმიანობა უზნეობა იყო და ისე უნდა მემოქმედა, როგორც დიდი ხანია მინდოდა – ყველაფერი მიმეტოვებინა, გადავხვენილიყავი და გავუჩინარებულიყავი.

ამ გრძნობამ შემიპყრო. ვაღიარებდი, რომ ასეც უნდა მომხდარიყო, რომ ეს მწარე აუცილებლობაა და ამ უბედურის ადგილას უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ უცნაური იყო, რომ ის არ მეცოდებოდა, იმის ნაცვლად, დასჯა შემეჩერებინა, შემემინდა, ვინმეს არ ვეცნე და შინ დავბრუნდი.

მალე დოლების ხმა მიწყდა და შინდაბრუნებული თითქოს განცდებისაგან გავთავისუფლდი. ჩაი მივირთვი და ვოლკონსკისგან მოხსენება მივიღე. შემდეგ ჩვეულებრივი საუზმე, ცოლისადმი ჩვეული – მძიმე, ყალბი დამოკიდებულება, შემდეგ დიბიჩი და მისი მოხსენება ფარული საზოგადოების დამადასტურებელი ცნობების შესახებ. ჩემი ცხოვრების აღწერისას, უფლის ნებით, ყველაფერს დაწვრილებით აღვწერ. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს გარეგნულად არ შევიმჩნიე და მშვიდად მივიღე, მაგრამ ასე სადილის დასრულებამდე გაგრძელდა. სადილის შემდეგ კაბინეტში წავედი, დივანზე წამოვწექი და მაშინვე ჩამეძინა.

ხუთი ნუთიც არ მიძინია, რომ რალაც ბიძგმა გამომალვიდა. დოლის ბრახუნი, ფლეიტისა და დარტყმის ხმა, სტრუშენსკის ყვირილი მომესმა და დავინახე ის, თუ ჩემი თავი. არ ვიცოდი, ის მე ვიყავი, თუ მე ვიყავი. დავინახე მისი დატანჯული სახე, უიმედო ცახცახი და ოფიცრებისა და ჯარის-

კაცთა მოღუშული სახეები. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: ნამოვხტი, სერთუკი შევიკარი, შლაპა დავიხურე, დაშნა შევიბი და გამოვედი. ვთქვი, რომ სასერიწოდ მივდიოდი.

ვიცოდი, სად მდებარეობდა სამხედრო ჰოსპიტალი და პირდაპირ იქეთ წავიდი. ატყდა ფაციფუცი. როგორც ყოველთვის, აქოშინებული მოცვივდნენ მთავარი ექიმი და შტაბის უფროსი. ვუთხარი, რომ პალატები მინდოდა შემომივლო. მეორე პალატაში სტრუმენსკის გამელოტებული თავი დავინახე. პირქვე იწვა, თავი ხელებზე დაედო და საცოდავად გმინავდა. „გაქცევისათვის დაისაჯა!“ – მომახსენეს.

„ააა!“ – ვთქვი ჩვეული ჟესტით, რომ გავიგე, ვინონებ და გზა გავაგრძელე.

მეორე დღეს სტრუმენსკი მოვიკითხე. შემატყობინეს, რომ კვდებოდა და აზიარეს.

ამ დღეს ჩემი ძმის, მიხეილის ანგელოზის დღე იყო, ჩატარდა პარადი და ღვთისმსახურება. ვთქვი, რომ ყირიმში მოგზაურობის შემდეგ შეუძლოდ ვიყავი და წირვაზე აღარ წავიდი. დიბიჩი კვლავ მოვიდა და მე-2 არმიაში შეთქმულების შესახებ მომახსენა. შემახსენა, რომ ამის შესახებ ყირიმში წასვლამდე გრაფი ვიტი მეუბნებოდა და მოვისმინე უნტერ-ოფიცრის, შერვუდის პატაკი.

დიბიჩის მოხსენებას ვისმენდი. ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა შეთქმულების ჩანაფიქრს და უცებ ვიგრძენი ჩემში მომხდარი ცვლილების ძალა და მნიშვნელობა. ისინი იმისთვის აწყობენ შეთქმულებას, რომ ხელისუფლება შეცვალონ, შექმნან კონსტიტუცია, ის, რაც მე ოცი წლის წინ მინდოდა, გამეკეთებინა. ევროპაში მე თვითონ ვქმნიდი კონსტიტუციებს და ამისგან უკეთესობა ვინ იგრძნო? და, რაც მთავარია, ვინ ვარ, რომ ეს გავაკეთო?! უპირველესი იყო ის, რომ ჩემი გარედან დანახული ცხოვრება, საგარეო საქმეების წარმართვა, მათში ყველანაირი მონა-

წილეობა, ევროპის ხალხების ცხოვრების გარდაქმნა – ჩემთვის მთავარი არ იყო, არც მჭირდებოდა და არც მეხებოდა. უცებ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, რომ ჩემთვის უმთავრესია ჩემი სული. ჩემი ადრინდელი სურვილი ტახტიდან ჩამოშორებისა, რათა ხალხი გამეკვირვებინა და მათთვის გული დამენწყვიტა, დამენახვებინა ჩემი სულის სიძლიერე, რომელიც ახალი ძალითა და სრული გულწრფელობით განმიახლდა, მაგრამ არა ხალხისთვის, არამედ მხოლოდ ჩემთვის, ჩემი სულისთვის.

თითქოს ბრწყინვალე ცხოვრება მხოლოდ იმისათვის განველე, რომ სინანულით გამონვეულ ახალგაზრდულ სურვილს დავბრუნებოდი, ყველას განვრიდებოდი, ფიქრის გარეშე დავბრუნებოდი ამპარტავნებასა და სახელის მოხვეჭას. მაშინ ეს ბუნდოვანი სურვილი იყო, ახლა კი აღარ შემეძლო ცხოვრების ასე გაგრძელება.

მაგრამ როგორ? არა ისე, რომ ხალხი გამეკვირვებინა, რათა ვექე, არამედ, ისე უნდა წავსულიყავი, რომ არავის სცოდნოდა და, რომ შენუხებულიყვნენ. ამ აზრმა ისე გამახარა და აღმაფრთოვანა, იმაზე ფიქრი დავიწყე, როგორ განმეხორციელებინა და მთელი ჩემი ჭკუა-გონება, მოხერხება გამოვიყენე, რათა განზრახვა შემესრულებინა.

საოცარია, რომ ამის განხორციელება უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ჩავიფიქრე, რომ თავი მომეავადმყოფებინა, მომაკვდავი ვგონებოდი, მოვლაპარაკებოდი ექიმს და მომესყიდა, ჩემს ადგილას მომაკვდავი სტრუმენსკი დაენვინათ, მე კი გავქცეულიყავი და ჩემი სახელი ყველასთვის დამემალა.

ყველაფერი თითქოს განგებ მოხდა, რათა ჩემი განზრახვა განმეხორციელებინა. 9-ში თითქოს განგებ, სიცხემ ამიწია. მიახლოებით ერთი კვირა ვიავადმყოფე. ამ დროს სულ გაქცევაზე ვფიქრობდი. 16-ში ავდექი, თავს ჯანმრთელად ვგრძნობდი.

იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, წვერი გავიპარსე და ჩაფიქრებულმა ნიკაპთან ძლიერ გავიჭერი. ბევრი სისხლი წამომივიდა, ცუდად გავხდი და დავეცი. მოირბინეს, ამიყვანეს. მაშინვე მივხვდი, ეს ჩემი განზრახვის შესრულებაში გამომადგებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ თავს კარგად ვგრძნობდი, თავს სუსტად ვაჩვენებდი, ლოგინში ჩავნექი და თანაშემწე ვილიე მოვიხმე. ვილიე ტყუილს არ იკადრებდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ამ ახალგაზრდა კაცს მოვისყიდდი. ჩემი ჩანაფიქრი და შესრულების გეგმა გაუუმხილე და 80 ათასი შევთავაზე თუ იმას გააკეთებდა, რასაც მოვთხოვდი. ჩემი გეგმა ასეთი იყო: სტრუმენსკი, როგორც შვეიცევე, ამ დილით სიკვდილის პირას იყო და ღამით უნდა გარდაცვლილიყო. ლოგინში ჩავნექი და თითქოს ყველაზე გულმოსული ვიყავი, ახლოს არავინ გავიკარე, მოსყიდული ექიმის გარდა. იმავე ღამით ექიმს სტრუმენსკის გვამი უნდა მოეტანა, ჩემს ადგილას დაედო და ჩემი მოულოდნელი აღსასრული გამოეცხადებინა. გასაკვირია, რომ ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ვიმედოვნებდით. 17 ნოემბერს უკვე თავისუფალი ვიყავი.

სტრუმენსკის გვამი დახურული კუბოთი უდიდესი პატივით დაკრძალეს. ტახტზე ძმა, ნიკოლოზი ავიდა და შეთქმულნი კატორღაში გაგზავნა. მერე ციმბირში ვნახე ზოგიერთი მათგანი, მე კი, ჩემი ცოდვების შესაბამისად, ნაკლები სატანჯველი და დაუმსახურებელი სიხარული განვიცადე, რასაც თავის დროზე გიამბობთ.

ამჟამად, როცა სამოცდათორმეტი წლის მოხუცს ცალი ფეხი სამარეში მიდგას, ჩემი განვლილი ცხოვრების ამაოება და ამჟამინდელი, მწირის ცხოვრების არსი გავიზრე. ვეცდები, ჩემი განვლილი ცხოვრება მოგიყვებ.

## **ჩემი ცხოვრება 12 დეკემბერი, 1849 წელი. ციმბირის ტაიბა, პრასნორეჩინსკთან ახლოს.**

დღეს ჩემი დაბადების დღეა. სამოცდათორმეტი წელი შემისრულდა. დავიბადე სამოცდათორმეტი წლის წინათ, პეტერბურგში, ზამთრის სასახლეში, ჩემი იმპერატრიცა დედის, იმჟამად დიდი მთავრის მეუღლის – მარია ფედოროვნას სასწრაფო ოთახში.

წუხელ საკმაოდ კარგად მეძინა. გუშინდელთან შედარებით, გამოვმჯობინდი. მთავარია, რომ სულიერ თვლემას თავი დავაღწიე და მთელი სულით მივწვინდე უფალს. წუხელ ბნელში ვლოცულობდი. ნათლად შევიცანი სამყაროში ჩემი ადგილი: ჩემი ცხოვრება მისთვისაა, ვინც ამქვეყნად მომავლინა. შემოძლია, მისთვის ვიღვანო ან არა. მისთვის მოღვანეობა ჩემთვის და კაცობრიობისათვის სასარგებლოა. თუ არ ვიღვანებ, ჩემს სულს ვაღვანებ, სამყაროს არაფერი დააკლდება. რაც მე უნდა მეღვანა, სხვები იღვანებენ. უფლის ნება აღსრულდება. ამაშია ჩემი თავისუფლება, მაგრამ მან თუ ყველაფერი წინდანის იცის და თუ ყველაფერი მისით არის განსაზღვრული, მაშ, რაშია თავისუფლება? – არ ვიცი. აქ ფიქრის დასასრული და ლოცვის, უბრალო, ბავშვური, ბებრული ლოცვის დასაწყისია: „უფალო, იყოს ნება შენი, მიშველე. მოდი და ჩემში დაისადგურე!“ უბრალოდ: „უფალო შემინდე და შემინყალე, უფალო შემინდე და შემინყალე, შემინდე და შემინყალე. ენით ვერ გამოითქმის, გული კი შენ გეკუთვნის“.

დავიძინე. უძლურების გამო ღამით ხუთჯერ გამეღვიძა. მესიზმრა, თითქოს ზღვაში ვცურავდი და მიკვირდა, წყალზე ისე როგორ ვტივტივებდი, რომ მთლიანად არ ვიყავი ჩაძირული. მომ-

წვანო, ლამაზი წყალი იყო. ვილაც ხალხი ხელს მიშლიდა. ნაპირზე ქალები იყვნენ, მე კი, შიშველი, წყლიდან ვერ გამოვდიოდი. სიზმარი ასე ავხსენი, რომ ჩემი სხეულის ხორციელება ჯერ კიდევ ხელს მიშლიდა, მაგრამ ხსნა ახლოსაა.

გათენებამდე ავდექი, ცეცხლი დიდხანს ვერ ავანთე. ცხენ-ირმის ხალათი შემოვიცივი და გარეთ გამოვედი. დათოვლილი ლარიქებისა და ფიჭვების ფონზე ალიონზე ცას მენამული ფერი დასდებოდა. გუშინ დაჭრილი შეშა შემოვიტანე, ლუმელი ავანთე და კვლავ შეშის ქრა გავაგრძელე. გათენდა. დამბალი ორცხობილა შევჭამე. ლუმელი გაფიცხდა, მილი დავხურე და წერას შევუდექი:

დავიბადე ზუსტად 72 წლის წინათ, 1777 წლის 12 დეკემბერს პეტერბურგში, ზამთრის სასახლეში. ალექსანდრე ბებუის სურვილით დამარქვეს, რათა, როგორც ის მეუბნებოდა, ისეთივე სახელგანთქმული ვყოფილიყავი, როგორც ალექსანდრე მაკედონელი და ისეთივე წმინდანი – როგორც ალექსანდრე ნეველი. ერთი კვირის შემდეგ მომნათლეს ზამთრის სასახლის დიდ ეკლესიაში. კურლანდიის ჰერცოგინამ ფარჩის ბალიშზე დამაწვინა. შესახვევი უმაღლეს ჩინებს ეჭირათ, მომნათლეს იმპერატრიცამ, ავსტრიის იმპერატორმა და პრუსიის მეფემ.

ვრცელ ოთახში, რომელსაც სამი მაღალი ფანჯარა ჰქონდა, ოთხ სვეტს შორის, მაღალ ქერზე ხავერდის ბალდახინი იყო მიმაგრებული, იატაკამდე ჩამოშვებული ფარდებით. ბალდახინის ქვეშ იდგა რკინის საწოლი ტყავის ლეიბით, ბალიშითა და ინგლისური მსუბუქი საბნით. ბალდახინის ირგვლივ ორი არშინის სიმაღლის მოაჯირი იყო, რათა მნახველები ახლოს არ მისულიყვნენ. ოთახში არანაირი ავეჯი არ იდგა, ბალდახინის უკან მხოლოდ ძიძის საწოლი იდგა. ჩემი ფიზიკური აღზრდა მთლიანად ბებუის მიერ იყო მოფიქრე-

ბული. აკრძალული იყო ჩემი რწევა, მახვევდნენ განსაკუთრებულად, ფეხებზე წინდებს არ მაცმევდნენ, მაბანავებდნენ ჯერ თბილ, მერე ცივ წყალში, მეცვა განსაკუთრებული ტანსაცმელი – უნაკერო და შესაკრავების გარეშე. როგორც კი ფორთხვა დავიწყე, ხალიჩაზე მანვენდნენ და ჩემს ნებაზე მიშვებდნენ. მიყვებოდნენ, რომ ბებია ხშირად დამიჯდებოდა ხოლმე ხალიჩაზე და მეთამაშებოდა. მე ეს არ მახსოვს, არ მახსოვს ძიძაც.

ჩემი ძიძა იყო ცარსკოე სელოს ახალგაზრდა მებალის ცოლი – ავდოტია პეტროვა. მე ის არ მახსოვს. ის პირველად მაშინ ვნახე, როცა თვრამეტი წლისა ვიყავი. ცარსკოე სელოში, ბაღში მომიახლოვდა და გამეცნო. ეს იმ კარგ დროს მოხდა, როცა ჩარტორიუსკისთან ახალი დამეგობრებული ვიყავი და გულწრფელად მეზიზღებოდა, რაც უბედური მამაჩემისა და ასევე ბებუის დროს სამეფო კარზე ხდებოდა. მაშინ მე ჯერ კიდევ კეთილი ადამიანი ვიყავი. პარკში ადამთან ერთად ვსეირნობდი, როცა გვერდით ხეივნიდან გამოვიდა კარგად ჩაცმული, არაჩვეულებრივად სათნო, თეთრი პირისახის, სასიამოვნოდ მოლიმარი და აღელვებული ქალი. სწრაფად მომიახლოვდა, მუხლებზე დაეცა და ხელზე კოცნა დამიწყო.

– ღმერთო ჩემო, თქვენო უმაღლესობავ, უფალმა შეგვახვედრა.

– ვინ ხართ?

– თქვენი ძიძა, ავდოტია, დუნიაშა. თერთმეტი თვე ძუძუს განოვებდი. ღმერთმა მაჩვენა თქვენი თავი.

მე წამოვაცენე და ვკითხე, თუ სად ცხოვრობდა და დავპირდი, რომ ვინახულებდი. მისი სუფთად დალაგებული სახლი კოხტად იყო მოწყობილი. მისი სათნო ქალიშვილი, ჩემი ძუძუმტე, სრულყოფილი რუსი მზეთუნახავი, სამეფო კარის ბერეიტორზე იყო დანიშნული. მამამისი, მებაღე, ცოლივით სათნოდ მოლიმარი და ასევე – მოლიმა-

რი ბავშვების ჯგრო. მათ ბნელში თვალი ამიხილეს. „აი, ქვემარატი ცხოვრება – უბრალოება, გულწრფელობა. არანაირი ინტრიგები, შური და ჩხუბი“, – ვფიქრობდი.

აი, ეს დუნიაშა მანოვებდა ძუძუს. ჩემი მთავარი გამზრდელი იყო გერმანელი სოფია ივანოვნა ბენკერდორფი, გამზრდელი – ინგლისელი ჰესლერი. სოფია ივანოვნა ბენკერდორფი იყო გერმანელი, ზორბა, მსუქანი, თეთრი, მედიდური. საბავშვო ოთახში მედიდურად იძლეოდა განკარგულებებს, საოცრად თავმდაბლობდა ბებიასთან, რომელიც მასზე მთელი თავით დაბალი იყო. ის განსაკუთრებულად მეპირფერებოდა. განიერ ქვედატანში ხან მკაცრად, დედოფლურად გამოიყურებოდა, ხან კი გოგოსავით იქცეოდა.

პრასკოვია ივანოვნა (ჰესლერი) იყო ინგლისელი, გრძელი სახის, მოქერაო, ყოველთვის დარბაისლური, მაგრამ, როცა ილიმებოდა, სახე გაუბრწყინდებოდა ხოლმე და ძნელი იყო, არ გაგლიმებოდათ. მომწონდა მისი მონესრიგებულობა, ზომიერება, სისუფთავე, მტკიცე სირბილე. მეჩვენებოდა, რომ თითქოს მან ისეთი რამ იცოდა, რაც არ იცოდა არავინ – არც დედამ, არც მამამ და არც ბებია.

დედაჩემი თავდაპირველად მახსოვს, როგორც რალაც უცნაური, სევდიანი, ზებუნებრივი და მშვენიერი ხილვა. ლამაზი, აბრეშუმებითა და მაქმანებით მორთულ-მოკაზმული და ბრილიანტებით აელვარებული, მოშიშვლებული ხელებით. ჩემს ოთახში შემოვიდოდა და ჩემთვის უჩვეულოდ სევდიანი სახით მეფერებოდა. მშვენიერი, ძლიერი ხელებით ამიყვანდა, მიმიყვანდა უფრო მშვენიერ სახესთან, ხშირ, სურნელოვან თმას უკან გადაიყრიდა, მკოცნიდა და თან ტიროდა. ერთხელ ხელიდან დავუვარდი და შიშისაგან გული წაუვიდა.

უცნაურია, რომ ბებიასგან ვიყავი ჩაგონებული, თუ თვით დედა მექცე-

ოდა ასე ან იქნებ ბავშვური ალლოთი ვგრძნობდი ჩემ ირგვლივ სასახლის ინტრიგას. დედისადმი არანაირ გრძნობას, სიყვარულსაც კი არ განვიცდიდი. მის ჩემდამი ურთიერთობაში რალაც ნაძალადევი იგრძნობოდა, გულგრილობით თითქოს რალაცას გამოხატავდა და მე ამას ვგრძნობდი. ასე იყო. ბებიამ დამაშორა მშობლებს. მის სრულ განკარგულებაში ვიყავი, რომ მერე ჩემთვის ტახტი გადმოეცა, რათა თავისი საძულველი ვაჟი, უბედური მამაჩემი არ გამეფებულყო. მე, რა თქმა უნდა, ამის შესახებ დიდი ხანი არაფერი ვიცოდი, მაგრამ, როცა მივხვდი, რომ რალაც შულისა და მეტოქეობის მიზეზი ვიყავი, ჩემდამი სიცივესა და გულგრილობას ვგრძნობდი, რომელსაც გვირგვინი კი არა, სიყვარული სჭირდებოდა. სწორედ ეს მაკლდა. დედაჩემი ჩემი თანდასწრებით ყოველთვის სევდიანი იყო. ერთხელ, სოფია ივანოვნას რალაც გადაულაპარაკა გერმანულად, ატირდა და ბებიას ფეხის ხმის გაგონებაზე, ოთახიდან გაიქცა. მამაჩემი ჩემს ოთახში ხანდახან შემოვიდოდა, სადაც შემდეგ ჩემს ძმასთან ერთად ვცხოვრობდი. უბედური მამაჩემი, დედაჩემთან შედარებით, უფრო მტკიცე, გაბედული იყო და ჩემ დანახვაზე უკმაყოფილებას და შეფარულ ბოღმასაც კი გამოხატავდა.

მახსოვს, ერთხელ ძმასთან, კონსტანტინესთან ერთად შეგვიყვანეს მათ ოთახში. ეს, მის საზღვარგარეთ გამგზავრების წინ იყო, 1781 წელს. მან უცებ ხელით მომიშორა და სავარძლიდან საშინელი სახით წამოიჭრა. სულს ძლივს ითქვამდა და ჩემზე და ბებიაზე ფრანგულად რალაცას ამბობდა. მე ვერ გავიგე, მაგრამ სიტყვები დამამახსოვრდა.

– 62 წლის შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია.

შემეშინდა და ავტირდი. დედამ ხელში ამიყვანა და კოცნა დამიწყო, მერე

მამასთან მიმიყვანა. მან საჩქაროდ პირჯვარი გადამწერა და მალალი ქუსლების ბაკუნით ოთახიდან თითქმის გავარდა. კარგა ხნის შემდეგ მივხვდი ამის მიზეზს. ისინი სამოგზაუროდ მიდიოდნენ, გრაფი და გრაფინია სევერნების სახელით. ბებიას ასე უნდოდა. მამას ეშინოდა, მის არყოფნაში ტახტის მემკვიდრეობა არ ჩამოერთმიათ და მემკვიდრედ მე არ გამოვეცხადებინეთ.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მან ამით იმას მიაღწია, რომ ხორციელადაც და სულიერადაც თავი დაიღუპა და მეც დამღუპა, რაც მე, უბედურს, ასევე ძვირად დამიჯდა.

ვილაც აკაკუნებს, ლოცულობს: „სახელითა მამისათა და ძისათა...“ „ამინ!“ – მივუგე. ნაწერები ავალაგე... მივალ, კარს გავაღებ, თუ უფლის ნება იქნება, ხვალ გავაგრძელებ.

### 13 დეკემბერი

ცოტა ხანს მეძინა და ცუდი სიზმრები ვნახე. ვილაც უსიამოვნო, სუტი ქალი ჩემკენ მოიწვედა. მე მისი ან ცოდვის კი არ მეშინოდა, იმის მეშინოდა, რომ ცოლი დამინახავდა. ისევ საყვედურები. 72 წლის ვარ და ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლებულვარ. გარეგნულად, შეიძლება, თავი მოიტყუო, მაგრამ სიზმარი შენს მდგომარეობას ამხელს. კიდევ აი, რა დამესიზმრა და ესეც ჩემი დაბალი ზნეობის დამადასტურებელია: ვილაცამ ხავსით კანფეტები მომიტანა, არაჩვეულებრივი კანფეტები. ხავსიდან ავკრიფეთ და დავარიგეთ. კიდევ დარჩა და ჩემთვის ვილებდი. იქვე ბიჭი იყო, თურქეთის სულთნის ვაჟს მიაგავდა – შავთვალეა, უსიამოვნო. კანფეტებისკენ იწეოდა. ხელში აიღო. ხელი ვკარი. შევნიშნავ, რომ ბავშვს უფრო შეეფერება კანფეტების ჭამა, ვიდრე მე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ მივეცი. მისადმი კეთილად არ ვარ განწყობილი, თან ვიცი, რომ ეს ცუდია.

უცნაურია, ახლახან აი, რა შემემთხვა. მეწვია მარია მარტემიანოვნა. წინა დღეს ელჩი გამოაგზავნა ნებართვის სათხოვნელად. ნება დავრთე, მაგრამ არ მსიამოვნებდა მისი სტუმრობა. ვიცოდი, რომ უარი გაანაწყენებდა. და აი, მოვიდა. შორიდანვე ისმოდა თოვლზე მარხილის კავების ხმა. ქურქმოსხმული და თავშალშემოხვეული შემოვიდა და პარკებით მოსაკითხი შემოიტანა. ისეთი ყინვა იყო, რომ ხალათი შემოვიცვი. მან ოლადები, სამარხვო ზეთი და ვაშლები მომიტანა. თავისი ქალიშვილისათვის რჩევა უნდა ეკითხა. მდიდარი ქვრივი თხოულობდა. ჩემს გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობაზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ. თუ უარს ვეტყვოდი, ამას ჩემს მორჩილებას მიაწერდნენ. ვუთხარი ის, რასაც ყოველთვის ვამბობ, რომ ქალწულება ქორწინებაზე უმჯობესია, მაგრამ, პავლეს სიტყვით, ვისაც ქალწულების ტვირთის ზიდვა არ შეუძლია, სჯობს იქორწინოს. მეწვია მისი სიძე ნიკანორ ივანიჩი. ის საცხოვრებლად თავისთან მიწვევდა. შემდგომშიც ხშირად მეწვეოდა ხოლმე.

ნიკანორ ივანიჩი ჩემთვის უდიდესი საცთურია. ვერ გადავლახე მისადმი ზიზღი, ანტიპათია. „უფალო, დამანახე ჩემი შეცოდებანი და არ განვიკითხო ძმა ჩემი“. მე კი ვხედავ მის ყველა შეცოდებას, ვჭვრეტ მის ღვარძლს, ვხედავ მის სისუსტეებს და ვერ ვაჯობე მისადმი, ჩემი ძმისადმი ანტიპათიას, რომელიც ჩემსავით ღვთისშვილია.

რას მიაწინებებს ასეთი გრძნობები? ეს ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არაერთხელ განმიცდია, მაგრამ ჩემი ყველაზე ძლიერი ანტიპათია იყო ლუდოვიკო XVIII, თავისი მუცლით, კეხიანი ცხვირით, საზიზღარი თეთრი ხელებით, თვითდაჯერებულობით, თავხედობითა და გონებაშეზღუდულობით (აი, უკვე ვაძაგებ) და მეორე ანტიპათია – ნიკანორ ივანიჩი, რომელმაც გუშინ ორი საათი გამანამა. მისი ხმა

თმიდან ფრჩხილებამდე ინვევდა ჩემში ზიზღს. მარია მარტემიანოვნასათვის ჩემი მოღუშულობის მიზეზი რომ ამეხსნა, ვიცრუე, რომ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. მათი წასვლის მერე ვილოცე და დავმშვიდდი. უფალო, გმადლობ, რომ მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ მჭირდება. გამახსენდა, რომ ოდესღაც ნიკანორ ივანიჩი პატარა იყო და ოდესღაც გარდაიცვლებოდა. ისევ ლუდოვიკო XVIII გამახსენდა. ვიცოდი, რომ ის უკვე გარდაიცვალა და ვინანე, რომ ნიკანორ ივანიჩს ყოველგვარი სიკეთე არ ვუსურვე.

მარია მარტემიანოვნამ ბევრი სანთელი მომიტანა. შემოძლია, საღამოობითაც ვწერო. ეზოში გამოვედი. არცხნივ კაშკაშა ვარსკვლავები საოცარმა ჩრდილოეთის ციალმა შთანთქა. რა კარგია, რა კარგია! აი, ასე, ვაგრძელებ.

დედ-მამა საზღვარგარეთ გაემგზავრა და ჩვენ, ჩემზე ორი წლით უმცროს ძმა კონსტანტინესთან ერთად, ბებუის სრული გამგებლობის ქვეშ ვიყავით. ძმას კონსტანტინე იმიტომ დაარქვეს, რომ ის საბერძნეთის იმპერატორი გამხდარიყო კონსტანტინეპოლში.

ბავშვებს ყველა უყვართ, განსაკუთრებით, ვინც ეფერება. ბებია მეაღერებოდა, მაქებდა. მეც მიყვარდა, მიუხედავად უსიამოვნო სუნისა, რაც, სუნამოს მიუხედავად, მის სიახლოვეს იგრძნობოდა, განსაკუთრებით, როცა კალთაში მისვამდა. არ მსიამოვნებდა მისი სუფთა, მოყვითალო, დანაოჭებული, როგორღაც სლიპინა ხელები, შიგნით მოხრილი თითები და არაბუნებრივად გრძელი ფრჩხილებით. თვალები ჩამუქებული, დაღლილი და თითქმის უსიცოცხლო ჰქონდა და მოლიმარე, უკბილო პირთან ერთად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. მისი თვალების

ასეთ გამომეტყველებას, რასაც ამჟამად ზიზღით ვიხსენებ, როგორც ჩამაგონებდნენ, ხალხზე ზრუნვას მივანერდი და მეცოდებოდა. ორჯერ პოტიომკინიც ვნახე. ეს მოხრილი, ზორბა, შავი, ოფლიანი და ჭუჭყიანი კაცი საშინელი რამ იყო. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მხოლოდ მას, ერთს არ ეშინოდა ბებიასი და მისი თანდასწრებით ხმამალა, გაბედულად და მჭახედ ლაპარაკობდა, თუმცა, თქვენო უმაღლესობას მეძახდა, მეფერებოდა და თამაშით თავს მახეზრებდა.

ჩემს ბავშვობაში, ვინც მასთან ვნახე, იყო ლანსკოი. ის სულ მასთან იყო, ყველა ემსახურებოდა. იმპერატრიცა სულ ათვალირებდა. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ ვხვდებოდი, ვინ იყო ლანსკოი. ძალიან მომწონდა. მომწონდა მისი კულულები, მისი ფეხები მოტმასნილ ლოსინაში,<sup>1</sup> მსიამოვნებდა მისი მხიარული, ბედნიერი, უზრუნველი ღიმილი და მასზე მოელვარე ბრილიანტები.

დროს მხიარულად ვატარებდით. მიყავდით ცარსკოეში. ვსეირნობდით ნაგებით, ბაღში მიწას ვჩიქნიდით, ცხენებზეც ვსხდებოდით. მსუქანი, ჟღალი კონსტანტინე, როგორც ბებია ეძახდა, პატარა ბაკხი, მხიარულობდა და ოხუნჯობდა. ყველას გამოაჯავრებდა ხოლმე, სოფია ივანოვნასაც და ბეზიასაც.

იმ ხანებში მნიშვნელოვანი ამბავი იყო სოფია ივანოვნა ბენკერდორფის სიკვდილი. ეს ცარსკოეში მოხდა, საღამოს, ბებიას თანდასწრებით. სოფია ივანოვნამ, ის იყო, მოგვიყვანა სადილის მერე და გაღიმებული რაღაცას ამბობდა, რომ უცებ სახე შეეშალა, დაბანცალდა, კარს მიეყრდნო, მერე კარზე ჩამოცურდა და იატაკზე მოწყვტილივით დაეცა. მოირბინეს და

<sup>1</sup>ლოსინა – ცხენ-ირმის ტყავისგან შეკერილი სამხედრო შარვალი.

გაგვიყვანეს. მეორე დღეს გავიგეთ, რომ გარდაიცვალა. მე დიდხანს ვტიროდი და უიმისოდ მოვიწყინე. ყველას ეგონა, რომ მის გამო ვტიროდი, მაგრამ ვტიროდი იმიტომ, რომ არსებობს სიკვდილი და, რომ ადამიანები კვდებოდნენ. არ მესმოდა და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველა ადამიანის ხვედრი იყო. მახსოვს, ხუთი წლის ბავშვი როგორ დავინტერესდი, თუ რა არის სიკვდილი, რა არის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილით მთავრდება, რაც კაცობრიობას ანუხებს, რისი არსის შეცნობასაც ბრძენნი ეძიებენ, ქარაფშუტები კი ცდილობენ, დაივიწყონ. ამაზე ფიქრი ბავშვურად უკუვგადე, სიკვდილის არსებობა დავივიწყე. ისე ვცხოვრობდი, თითქოს არც არსებობდა და იქამდე მივედი, რომ უკვე მისი მეშინია.

სოფია ივანოვნას სიკვდილის მერე მეორე მნიშვნელოვანი ამბავი ჩვენთვის მამაკაცი აღმზრდელის დანიშვნა იყო. აღმზრდელად დაგვინიშნეს ნიკოლაი ივანიჩ სალტიკოვი. არა ის სალტიკოვი, რომელიც ჩვენს სავარაუდო პაპად მიიჩნეოდა, არამედ ნიკოლაი ივანიჩი, რომელიც მამასთან მსახურობდა – ჩია კაცი, დიდთავა, ყოველთვის შტერული გამომეტყველებით, რომელსაც საოცრად გამოაჯავრებდა ხოლმე ჩემი პატარა ძმა კოსტია. ჩემთვის სათნო ძიძასთან, პრასკოვია ივანოვნასთან განშორება სამწუხარო იყო.

ისინი, ვინც სამეფო ოჯახში არ დაბადებულან, ვფიქრობ, ძნელად წარმოიდგენენ უსამართლო შეხედულებას ხალხზე და მათდამი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. ამას უფროსებისადმი ურთიერთობისას ვგრძნობდით და, მათდამი მადლიერების ნაცვლად, ყველა იმ სიკეთის გამო, რითაც ვსარგებლობდით, თავი განსაკუთრებულ არსებებად წარმოგვედგინა. არა მარტო ყველა სიკეთით გვესარგებლა, ჩვენი, ერთი სიტყვით ან ღიმილით მადლიერება გამოგვეხატა, დაგ-

ვეჯილდოებინა და გაგვებედნიერებინა ადამიანები. მართალია, რომ ჩვენგან მოითხოვდნენ სხვებისადმი თავაზიან დამოკიდებულებას, მაგრამ ბავშვური ალლოთი ვგრძნობდი, რომ ეს ფარისევლობა იყო, თავაზიანი უნდა ყყოფილიყავი არა ადამიანებისადმი, არამედ ჩვენდამი, რათა უფრო მეტად გვეგრძნო საკუთარი სიდიადე.

რომელიღაც საზეიმო დღეს, უზარმაზარი, მაღალი ლანდოთი ნევსკიზე მივდიოდით. ჩვენ, ორივე ძმა და ნიკოლაი ივანიჩ სალტიკოვი. ჩვენ წინ ვისხედით, უკან ორი გაპუდრული, წითელ ლივრებში გამონწყობილი ლაქია იდგა. გაზაფხულის მზიანი დღე იყო. მუნდირი შეხსნილი მქონდა, თეთრ ჟილეტზე წმ. ანდრიას ცისფერი ლენტე მკეთა. ასევე ეცვა კოსტიას. თავზე ბუმბულიანი შლაპები გვეხურა, რომელთაც დროდადრო ვიხსნიდით და ხალხს თავს ვუკრავდით. ხალხი ყველგან ჩერდებოდა, თავყანს გვცემდა, ზოგიერთი მოგვდევიდა კიდეც. „თქვენ გესალმებიან“, – გვიმეორებდა ნიკოლაი ივანიჩი. ჩავუარეთ ჰაუპტვახტს, დარაჯი გამოიქცა.

მათ ყოველთვის ვხედავდი. სამხედრო ვარჯიში ბავშვობიდან მიყვარდა. ჩაგვაგონებდნენ (განსაკუთრებით ბეზია), რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ჩვენ ეს ყოველთვის უნდა გვხსომებოდა, მაგრამ, ვიცოდი, რომ ამისი თვითონაც არ სჯეროდა.

მახსოვს, ერთხელ საშა გოლიცინმა თამაშისას ხელი მკრა და მატკინა.

– როგორ გაბედე?!

– ჩემდა უნებურად მომივიდა. რა მოხდა მერე?!

ვიგრძენი, შეურაცხყოფისგან გული როგორ შემეკუმშა. ნიკოლაი ივანიჩთან ვუჩივლე და არ შემრცხვა, როცა გოლიცინმა პატიება მთხოვა.

ახლა საკმარისია. სანთელი ჩაიწვება. კვარები უნდა გავაკეთო. ცული დაბლაგვდა და რითი გავლესავ, არც კი ვიცი.

## 16 დეკემბერი

სამი დღეა არ მინერია. შეუძლოდ ვიყავი. სახარებას ვკითხულობდი, მაგრამ ამით არ განმიცდია ღმერთთან ის სიახლოვე, რასაც ადრე განვიცდიდი. ადრე ხშირად ვფიქრობდი, რომ ადამიანს ოცნების გარეშე არ შეუძლია. მეც ყოველთვის რაღაც მსურდა და მსურს. მინდოდა, ნაპოლეონზე გამემარჯვა, ევროპა დამემშვიდებინა, გვირგვინისაგან თავი დამეხსნა. ჩემი ყველა ადრინდელი სურვილი ან სრულდებოდა, ან არა და თუ სრულდებოდა, ახალი სურვილი მიჩნდებოდა და ასე იყო და ასე იქნება ბოლომდე. ახლა ზამთარი მომენატრა და ისიც დადგა. განმარტოება მინდოდა და ამას თითქმის მივალწიე კიდევ. ახლა მინდა, ჩემი ცხოვრება აღწერო და ეს ისე კარგად გავაკეთო, რომ ამან ადამიანებს სიკეთე მოუტანოს და ეს თუ შემისრულდა ან არ შემისრულდა, ახალი სურვილები გამიჩნდება. მთელი ცხოვრება ასეა.

თავში აზრმა გამიელვა, რომ, თუ მთელი ცხოვრება სურვილების დაბადებასა და მათ ასრულებაშია, იქნებ არსებობდა ისეთი სურვილი, რაც ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი იქნებოდა და ყოველთვის ასრულდებოდა ან მიახლოებით ასრულდებოდა? ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს სიკვდილის სურვილი იყო. მთელი ცხოვრება მისკენ სწრაფვა და მიახლოებაა და ეს ასრულებადია.

თავდაპირველად ეს უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ განსჯის მერე მივხვდი, რომ ეს სწორედ ასეა, რომ სწორედ ამ ერთადერთში, სიკვდილთან მიახლოებაშია ადამიანის გონიერი სურვილი. არა, სიკვდილის სურვილში, არა თვით სიკვდილში, არამედ სიცოცხლის სიკვდილისაკენ სწრაფვაში. ეს სწრაფვა მდგომარეობს ყველა ადამიანში არსებული სულიერი საწყისის ცნებებისა და საცთურისგან გათავისუფლებაში. მე

ამას ახლა ვგრძნობ, როცა მეტწილად გათავისუფლდი იმისაგან, რაც ჩემი სულისა და მისი ღმერთთან ერთობით იყო დაფარული და ჩემგან ღმერთს ფარავდა. ამ აზრამდე შეუგნებლად მივდი. უმაღლეს სიკეთედ ვნებებისაგან გათავისუფლება და ღმერთთან მიახლოება მიმაჩნდა. ჩემს ერთადერთ და მთავარ სურვილს სიბერე და სნეულებები შემისრულებდა, ესე იგი, ის, რაც სიკვდილთან დამახლოვებდა. ეს ასეა და ამას ვგრძნობ, როცა ჯანმრთელად ვარ, მაგრამ, როცა ავად ვარ, როგორც გუშინ, მესამე დღეა კუჭი მტკივა, სიკვდილს აღარ ვნატრულობ და, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილს არ ვენინააღმდეგები, მისკენ აღარ ვისწრაფვი. ასეთია მთვლემარე სულიერი მდგომარეობა. მშვიდად უნდა ველოდო.

ვაგრძელებ ნერას. რასაც ჩემს ბავშვობაზე ვწერ, უმეტესად ვწერ იმას, რასაც მიყვებოდნენ. ეს ჩემს განცდილს ერევა და ამიტომ თვითონაც არ ვიცი, თუ რა გადამხდა თავს და სხვამ რა მომიყვა.

ჩემი განვლილი ცხოვრება, დაბადებიდან თვით ამჟამინდელ სიბერემდე, სქელი ნისლით დაფარულ ადგილს მაგონებს ანდა ადგილს დრეზდენთან ახლოს, ბრძოლის შემდეგ, როცა არაფერი ჩანს და ირგვლივ გაუმჭირვალე ფარდითაა შემოსაზღვრული და ალგალაგ ხალხი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნები ჩანს. ასეთია ჩემი ბავშვობის მოგონებები. ასეთი გამონათებები იშვიათად გამოჩნდება უსაზღვრო ნისლში, მერე უფრო ხშირად, მაგრამ არის პერიოდები, რომლებიც არაფრით დამამახსოვრდა. ბავშვობაში ცოტა, უფრო ადრე კი ნაკლებად.

მე ვყვებოდი ჩემს ადრეულ მოგონებებზე. ბენკერდორფის ცოლის სიკვდილი, მშობლებთან დამშვიდობება, კოსტიას გამოჯავრებები და, როცა წარსულზე ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე რამ მახსენდება. აი, მაგალითად, საერ-

თოდ არ მახსოვს კოსტიას დაბადება, როდის ვიყავით ერთ ოთახში, მაგრამ ნათლად მახსოვს, რომ ერთხელ, როცა მე შვიდი წლისაც არ ვიყავი და კოსტია კი ხუთისა, შობის წინ დასაძინებლად წავედით და იმით ვისარგებლეთ, რომ ყველანი ჩვენი ოთახიდან გავიდნენ და ერთ სანოლში დავენექით. პერანგისამარა კოსტია ჩემს სანოლში გადმოძვრა. ვთამაშობდით, ერთმანეთს ტანზე ხელებს ვუტყაპუნებდით, მუცლის ტკივილამდე ვხარხარებდით და ძალიან ბედნიერები ვიყავით. უცებ, ორდენებით დამშვენებული, მოქარგულ ხიფთანში ჩაცმული და გაპუდრული ნიკოლაი ივანიჩი შემოვიდა, თვალები გადმოკარკლა, გაანჩხლებული მოგვევარდა და ერთმანეთს დაგვაშორა. დაგვემუქრა, რომ დაგვეჯიდა და ბებიასთან გვიჩვილებდა.

შემდეგი ნათელი მოგონება უფრო გვიანდელია. ასე ცხრა წლის ვიქნებოდით. ეს ბებიასთან მოხდა, თითქმის ჩვენი თანდასწრებით. ალექსეი გრიგორიჩ ორლოვი პოტიომკინს დაეტაკა. ეს ბებიას ყირიმში მოგზაურობამდე და ჩვენი მოსკოვში პირველ მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ნიკოლაი ივანიჩმა, როგორც ყოველთვის, ბებიასთან მიგვიყვანა. დიდი, მოხატული და გამოქანდაკებულჭერიანი ოთახი ხალხით იყო სავსე. ბებია უკვე დაევიარცხნათ. შუბლს ზემოთ გადავარცხნილი თმა განსაკუთრებული გემოვნებით ელაგა კინკრინოზე. ბებია ოქროს ტუალეტის წინ თეთრ მოსასხამში იჯდა. პირის-

ფარეშები თავს დასტრიალებდნენ. ის გაღიმებული გვიყურებდა, თან მაღალ, ზორბა, წმ. ანდრეას ლენტით მორთულ გენერალს ელაპარაკებოდა. გენერალს პირიდან ყურამდე ნაიარევი ემჩნეოდა. ეს ორლოვი იყო. მაშინ ბებიას სიახლოვეს პირველად ვნახე ანდერსონები, ლევრეტები.<sup>1</sup> ჩემი რჩეული მიმი ბებიას კალთიდან გადმომახტა და სახე ამილოკა. ჩვენ ბებიას მიუვახლოვდით და თეთრ, პუტკუნა ხელზე ვეამბორეთ. ხელი მოაბრუნა, თითებით სახე დამიჭირა და მომეფერა. სუნამოს მიუხედავად, ბებიას უსიამოვნო სუნი ვიგრძენი. ის ნაიარევი კაცს უყურებდა და ეუბნებოდა:

- რა ყოჩაღია, – ჩემზე უთითებდა.
- გრაფ, ჯერ არ გინახავს?
- ორივე კარგია, – მიუგო გრაფმა და მე და კოსტიას ხელები დაგვიკოცნა.
- კარგია, კარგი, – უთხრა ბებიამ პირისფარეშს, რომელმაც თავზე ჩაჩი დაახურა.

ეს პირისფარეში – მარია სტეპანოვნა, ფერუმარილიანი, ლოყებდანიტლებული სათნო ქალი, ყოველთვის მელერსებოდა.

– სად არის ჩემი საბურნუთე?

ლანსკოი მიუახლოვდა და გახსნილი საბურნუთე მიანოდა. ბებიამ დაყნოსა და გაღიმებულმა გაიხედა შემოსულ ხუმარა მატრიონა დანილოვნასაკენ.

*რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარ-დნიშვილმა*

1 ანდერსონები, ლევრეტები – ძაღლის ჯიშები.

## ირინა მარტოვა

### მოსახსენებელი

*ირინა მარტოვა – რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი, შვიდი რომანისა და მრავალი მოთხრობის ავტორი. რუსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქალთა კონგრესის“ წევრი.*

სიმღერის ხმა მთელ სოფელს ეფინებოდა და სალამოს ტყიდან წამოსულ სქელ ბინდში ჰაერს ერეოდა. ეს ხმა მთელ არემარეზე ისმოდა და მასში სულისშემძვრელი და გულშიჩამწვდომი დარდი, ნალველი და დაუვიწყარი სიყვარული იგრძნობოდა.

სიმღერა ხან ისე მიწყნარდებოდა, რომ მიუჩვეველი ყური ძლივს გაიგებდა – ყრუ გოდებას მიაგავდა, ხანაც არნახული ძალით ძლიერდებოდა და განცდილი, დაუვიწყარი სიყვარულით, დაკარგულისადმი შეუგუებლობითა და გადატანილისადმი მადლიერებით იყო გაჟღენთილი.

ოდნავ მოკუზული აგაშა მაღალი ხის კარიბჭეზე იჯდა. ერთი ხელი მუხლებზე ჩამოედო, ოდნავ უკანკალებდა, თითქოს ტაქტს აყოლებდა, მეორეთი კი მოუსვენრად ჭმუჭნიდა ცხვირსახოცს.

დედაბერი შორეთს გასცქეროდა, უკვე ზაფხულს დამშვიდობებულ უსიცოცხლო მინდვრებს, რომელთაც თავისი სიტბო და დედობრივი ძალა მოსავლისთვის გადაეცათ. აქა-იქ მომცრო თივის ზვინები მოჩანდა. ირგვლივ ახალმოთიბული ბალახის გამაბრუებელი სურნელი იდგა, გარიჟრაჟზე თბილი რძის ორთქლის სუნი იგრძნობოდა.

შემოდგომა ახლოვდებოდა, გული კვლავ გახალისდებოდა. ტყეებს ოქროსფერი გადაჰკრავდა, აქა-იქ მოვერცხლისფრო აბლაბუდეები გაფანტულიყო, გრილი ჰაერი ორთქლივით ადიოდა და გარიჟრაჟზე სქელი რძისფერი ნისლი მიწაზე ეფინებოდა.

შემოდგომა გაუბედავად, მორიდებულად ახლოვდებოდა. არ ჩქარობდა, თითქოს სიამოვნებას ახანგრძლივებდა

და ჯერ კიდევ ზაფხულის თბილი საღამოებით ტკბებოდა.

აღსანიშნავია, რომ ყოველ მომდევნო დღეს მოახლოებული სიცივის ულმობელი „მაცნეები“ შეიმჩნეოდა. ასე მაგალითად: ადრეული ღამეული ნაყინები, აფუსფუსებულ ფრინველთა ნაუცბათევად მოგროვილი გუნდები, მინის ზედაპირის სიახლოვეს განფენილი, ნალვლიანად მოფარფატე, თავისი დროის მომლოდინე ლეგა ღრუბლები.

ბუნება თავისი მარადიული კანონებით ცხოვრობდა. თავისი კანონებით.

და ჩვენც, თითოეულს, სულში გვაქვს რაღაც მარადიული და უცვლელი, საკუთარი, გულის კუნჭულში დამარხული და იდუმალი.

ნამდვილად ასეა, ყველას, თითოეულს.

აგაშა, როგორც ბუნება, თავისი კანონებით ცხოვრობდა. აი, უკვე თხუთმეტი წელია დროს თავისებურად ითვლიდა, რაც მხოლოდ მისთვის იყო გასაგები.

მისი უმნიშვნელო, ნათელი სული მარადიული ხსოვნითა და მწუხარე გულით დადგენილი ნიშანსვეტებით ცხოვრობდა.

თხუთმეტი წელი ცოტა არ არის, მითუმეტეს მოუსვენარი, ფუსფუსა ადამიანისთვის.

აგაფია მარტო ცხოვრობდა, დილიდან დაღამებამდე შრომობდა. ვაჟი გაზარდა, უკვე დიდი ხანია, ქალაქში გადასახლდა, დაოჯახდა, დედას იშვიათად ნახულობდა, ის კი ამაზე არც წუწუნებდა, მოთმინებას მიეჩვია.

მეზობლებს უყვარდათ სითბოს, სიკეთისა და გულშემატკივრობისთვის. უკვირდათ მისი შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა. მარტოხელა უძღვებოდა მეურნეობას, მის სახლში წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. აუჩქარებელი იყო, სიტყვაძუნწიც, ამაოდ არ ფაციფუცობდა, ყველას ხელს უმართავდა და თანაუგრძობდა.

ერთი სიტყვით, სპეტაკი ადამიანი იყო.

მაგრამ წელიწადში ორჯერ აგაფია გარდაისახებოდა. შინ ჩაიკეტებოდა, მიჩუმდებოდა, თითქოს ქვავდებოდა. გარიჟრაჟამდე დგებოდა, მოწყენილი, მდუმარედ ფუსფუსებდა, სახემოლუშული, გულმოდგინედ რეცხავდა იატაკს და ხმელ სურნელოვან ბალახს აფენდა, თალხ, სამგლოვიარო კაბას ჩაიცვამდა, ჭაღარა თმას სახელდახელოდ დაივარცხნიდა, სარკეში არც ჩაიხედავდა, მერე სოფლის ძველ, პატარა ეკლესიაში წავიდოდა, პარაკლისს გადაიხდიდა, წმინდა ხატების წინ მუხლს მოიყრიდა და ფერმკრთალი ტუჩებით დიდხანს ლოცულობდა. ქალების ჩვეულებით თავის ბედს არ უჩიოდა და არც გოდებდა.

მერე კი, შინდაბრუნებული, კარს ყურთამდე გააღებდა, მაღალ კარიბჭეზე ჩამოჯდებოდა და მღეროდა, თან შორეთს გასცქეროდა.

თავდაპირველად ხალხს მისი ასეთი საქციელი უკვირდა.

მეზობლები მისი სახლისკენ გარბოდნენ, გაკვირვებულები მხრებს იჩეჩავდნენ, უფრო გაბედულები ცდილობდნენ, შეხმიანებოდნენ, აგაფია კი ყინულის ლოდით გაქვავებულიყო, მხოლოდ მღეროდა და მღეროდა. მის გულისგამგმირავ და სულშიჩამწვდომ ხმაში ნალველი, მწუხარება და დაუსრულებელი ტკივილი იგრძნობოდა. მისი სიმღერა მთელ სოფელს ესმოდა და სადღაც, ცისკიდურს იქით ეფინებოდა.

იქით, საიდანაც აღარ ბრუნდებოდა.

ირგვლივ მდგომი, სოფელზე განფენილი მწუხარე მელოდიის მსმენელი დედაკაცები ჩაჩუმდებოდნენ, გაირინდებოდნენ და ნელ-ნელა, წყნარად მიუმღერებდნენ, თან მზედაკრულ სახეებზე ცრემლებს ინმენდნენ.

ასე გადიოდა დრო.

ახლა კი, რა თქმა უნდა, ყველა მიეჩვია. გაფიქრებაც კი შემადრწუნებელია, თხუთმეტი წელი გავიდა, ზოგჯერ გოცბული მეზობლები აგაფიას ამ უცნა-

ურ ახირებაზე თავს გადააქნევდნენ და ხელებს შლიდნენ.

რა უნდა ეთქვათ? მისი ხვედრი ასეთი იყო.

და, როცა წელიწადში ორჯერ დიდ და შეძლებულ სოფელს აგაშას სულისშემძვრელი, უსასრულო ტანჯვით აღსავსე მოთქმა-გოდება ესმოდა, ირ-

– დარდობს დედაკაცი. უკვე რამდენი წელია, დარდობს, გოდებს ობოლი.

ახლა კი თანასოფლელებმა იცოდნენ, წელიწადში ორჯერ რატომ მღეროდა მარტოხელა, ჯაფისგან ნაადრევად დაბერებული და წელში მოხრილი ქალი.

წელიწადში ორჯერ.

მოსახსენებელ დღეებში – ქმრის



გვლივ ყველა დადუმდებოდა, დიდხანს ისმენდნენ მგლოვიარე, ხან ჩურჩულში გარდამავალ, ხანაც გულის განმგმირავ გოდებას და მხოლოდ ნაღვლიანად თანაუგრძნობდნენ.

გარდაცვალებისა და მათი ქორნილის დღეს.

თანასოფლელებმა ახლა კარგად იცოდნენ, თუ საიდან გაჩნდა მისი ასეთი გაუნელებელი დარდი. ახსოვდათ,

ქმრის გარდაცვალებიდან ზუსტად წლისთავზე ნამტირალევი აგაშა პირველად რომ გამოვიდა მაღალ კარიბჭეზე, გრძელი ფეშტამალი აიკეცა, ამოიოხრა, ალისფერ დაისს გახედა და უცებ ამღერდა.

ასე გრძელდებოდა.

წლებმა გაიარა. ზამთარმა მინას ბევრჯერ დაათოვა, შემოდგომა ზაფხულს ცვლიდა. ის კი მთელი სიცოცხლე მარტოდმარტო ენეოდა ცხოვრების ჭაპანს, არასდროს წუნუნებდა, მხნედ შრომობდა, ხალხს უღიმოდა და ყველას ხელს უმართავდა.

და წელიწადში ორჯერ მღეროდა.

და მეზობლებიც, როგორც კი მის ნალელიან, სულშიჩამწვდომ და გულისგამგმირავ სიმღერას გაიგონებდნენ, უმალ მისი სახლისკენ გაიხედავდნენ და იტყოდნენ: – ხედავ? ისევ მღერის! ალბათ, მოსახსენებელი დღეა.

და მას შემდეგ აგაშას სიმღერებს „მოსახსენებელი“ დაარქვეს.

და წელიწადში ორჯერ მთელ სოფელს აგაშას სიმღერა ეფინებოდა, შორეთში ჩამუქებულ ტყესაც სწვდებოდა, მდინარესაც, ლელიანსაც და მინდვრებსაც.

უფრო შორს და შორს.

და მაღალ კარიბჭეზე მჯდარ მოტირალ აგაშას ეჩვენებოდა, რომ გზაზე მისი ქმარი მოდიოდა. ახალგაზრდა, მხნე, ლამაზი და ძლიერი, მოსიყვარულე და ბედნიერების მომტანი. და აღარც დარდია და აღარც ვაება, აღარც მარტოობა და აღარც შიში და გულისტკივილი.

და არს მხოლოდ სიყვარული.

და მთელი ცხოვრება წინაა. ორივესთვის.

სამარადუამოდ.

და ისმოდა სიმღერა....

„მოსახსენებელი“.

სული გოდებდა და გული დარდისგან იგლიჯებოდა.

მოსთქვამდა მხნე დედაკაცი. დარდობდა სპეტაკი სული.

აი, ახლა სიმღერას დაამთავრებს, ძალას მოიკრებს, გულს გაიმაგრებს, ცხოვრებას გააგრძელებს და ისევ მხნედ იშრომებს.

და ნახევარი წლის მერე ცას ისევ მისწვდება „მოსახსენებელი“ სიმღერა.

სანამ ვცოცხლობთ, ხსოვნა არ ქრება.

*თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა*

## იოსებ ჭუმბურიძე

### საქართველოზე შეყვარებული ქალბატონის პორტრეტი არტურ ლაისტის ბახსენების ფონზე

#### 135 წლის წინათ

1884 წლის პირველი ივნისი.

თბილისის რკინიგზის სადგურში არტურ ლაისტს დახვედრას უწყობენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები თვით



ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ასეთმა პატივმა „დიდად ააღელვა

გერმანელი ახალგაზრდა, რომელმაც თავისი სათქმელი ისევ ილიას ცნობილ სტრიქონებს მიანდო – სამშობლო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდებიო – სთქვა თავისებური, არტურისეული ქართულით, რომელმაც ერთბაშად და სამუდამოდ გაფანტა უცხოობის უხერხულობა მოსულსა და დამხვდურთა შორის“ (თ. ფირალიძვილი).

გაივლის წლები და ამ ახალგაზრდას ილია „შორეულ თვისიანს“ უწოდებს, ხოლო 1922 წელს, სამოცდაათი წლისას, იუბილეს რომ გადაუხდინან, „ჩვენი დროის აბოდ“ გამოაცხადებენ, კონსტანტინე გამსახურდია კი დაწერს:

„როცა ჩვენ ტერმინ „ევროპელს“ ვხმარობთ, ჩვენ ამ ცნებაში უნდა გავარჩიოთ ის კატეგორია, რომელსაც გოეთე „კარგ ევროპელს“ უწოდებდა... კარგი ევროპელი კულტურტრეგერია უპირველესი რანგისა, იგი უანგარო ფუტკარია, თავისი ერის კულტურის მატარებელი და მენერგე. ასეთი კარგი გერმანელი გახლავთ დღევანდელი იუბილარი, ბატონი არტურ ლაიტი“.

რით დაიმსახურა უცხოელმა ასეთი აღიარება?

იმით, რომ გულით შეიყვარა საქართველო, მისი ხალხი, ბუნება, კულტურა.

რა თქმა უნდა, იყო უფრო მთავარი მიზეზი, რაც ილიამ ასე განსაზღვრა:

„ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც, ჩვენდა სასიხარულოდ, კისრად იდო შუაკაცობა ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა, ჩვენს გულში ამონაწილი სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან... იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთენელი სიტყვა ბ-ნ ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავსა, რომ შორს, სადღაც, არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“.

არტურ ლაისტმა დიდებულად გამართლა ილიას იმედი: თავისი წიგნებით, მართლაც დაანახა ევროპას პატარა საქართველოს დიდი გული.

„ რ ი ც ხ ო ბ -  
რივად პატარა ერს“ (გალაკტიონი), რომელსაც მუდამ აურაცხელი მტერი ახვევია, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მსგავსი მოკეთე და მეგობარი.

ბედნიერებაა, რომ ასეთები საქართველოს დღესაც მოეძებნება.

## 133 წლის შემდეგ

2017 წლის 30 ივლისი.

რა თქმა უნდა, დრონი იცვალნენ.

თბილისის აეროპორტში უცხოელ ქალბატონს შეეგებება მამაკაცი, რომელიც ტაქსის მოძებნაში დახმარებას შესთავაზებს. ტურისტული ბუმი და ეს არცთუ იოლია. მორიგებიან და ტაქსის მძღოლი ზუსტ მისამართს ჰკითხავს. ქალი მისთვის კარგად ნაცნობ სახლს დაუსახელებს. გზაში ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასაც შეეცდება. ცხადია, ვერ წარმოიდგენს, რომ ამ დიალოგს ის ქალბატონი რადიოში მთელ გადაცემას დაუთმობს.

„ვითომცდა სასხვათაშორისოდ მეკითხება:

– სტუმრად ჩამოხვედით თუ აქ ცხოვრობთ?

– აქ ვცხოვრობ უკვე თითქმის შვიდი წელია, – ვპასუხობ და ვგრძნობ, რაოდენ მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი.

– მაშ, თქვენ უკვე აქაური ყოფილხართ. და საიდანა ხართ წარმოშობით?

– ბელორუსიიდან...“

ცხადია, რადიოგადაცემა მხოლოდ ამ დიალოგით ვერ იქნებოდა ღირებუ-



ლი, მაგრამ საუბარში ბევრი მნიშვნელოვანი თემა თუ და საკითხი გამოიკვეთება, მათ შორის, პოლიტიკურიც. თანდათან ვხვდებით, რომ ეს ჩვეულებრივი მგზავრი კი არა, ძალიან სერიოზული პუბლიცისტიცაა.

მგზავრი თანამედროვე საქართველოსთვის ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფრაზასაც იტყვის:

„ჩვენი საუბრისას, ჩემი ცნობისმოყვარეობა ისეთივე პროგრესიით იზრდებოდა, როგორც საქართველოში – ტურიზმი.“

ბარემ ვთქვათ, რომ ეს ქალბატონი ტატიანა მონტიკია – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი.

სადაურობა უკვე ვიცით, თუმცა, ირაკლი ლომოური, უთუოდ მწერლური ინტუიციით, მისი გვარის წარმომავლობას ეჭვის ქვეშ დააყენებს და აღმოჩნდება, რომ არცთუ უსაფუძვლოდ“.

აი, მათი დიალოგის ფრაგმენტიც (რადიოინტერვიუდან):

– ტატიანა, სულ მინდოდა, მეკითხა და რატომღაც არასოდეს მიკითხავს... თქვენი გვარი ბელორუსულია თუ ფრანგული?

– ბელორუსული გვარია, საკმაოდ იშვიათი, უფრო სამხრეთბელორუსული. წლების წინ ნათესავეებიც კი ვიპოვე ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ წასულან ემიგრაციაში, თუმცა ფრანგული ძირებიც უნდა არსებობდეს. დეიდაჩემი იკვლევდა ამ საკითხს და მითხრა, ფრანგული სისხლის კვალი აშკარად ჩანსო...“

სხვათა შორის, შეიძლებოდა, არტურ ლაისტისთვისაც ეკითხათ, პოლონელი ხართ თუ გერმანელიო, რადგან: დაიბადა სამხრეთ სილეზიის ქალაქ ვროცლავში, მოგვიანებით გადასახლდა ლოდში, ცხოვრობდა ვარშავაშიც. 1882 წელს აკაკის სწერდა:

„მე მხატვრული სიტყვის მსახური

ვარ, ვნერ გერმანულად და პოლონურად. მინდა, ვიტვირთო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყარება ამ ორ ერსა და თქვენს თანამემამულეთა შორის... ამ შრომისათვის გასაღები – ქართული ენის ცოდნაა, თუმცა მე უკვე დავინყე მისი სწავლა, მაგრამ, მგონია, ეს დაავიანებს ჩემს მუშაობას...“

ბრწყინვალედ ისწავლა და არაფერს დაუგვიანია.

ტატიანა მონტიკიაც დაიწყო ქართული ენის შესწავლა.

სხვათა შორის, გერმანიის მოქალაქეა – ესეც აახლოებს არტურ ლაისტის ფენომენტთან.

უმაღლესი განათლება ავსტრიაში მიიღო – ვენის უნივერსიტეტში დაეუფლა მთარგმნელის პროფესიას. ჟურნალისტურ საქმიანობას გერმანიაში მისდევდა. მუშაობდა გაზეთში, რადიოში... მეუღლე დიპლომატი ჰყავს და არაერთ ქვეყანაში მოუწია ცხოვრება. საქართველოში 2010 წელს ჩამოვიდნენ. აი, აქ კი თვითონ მას უნდა მოვუსმინოთ:

„ასე მგონია, უბრალოდ, შეუძლებელია, საქართველოში არ წერო. რადგან აქ შთაგონება საოცრად გავსებს. აქ ახალი შთაგონება მენვია. საქართველოში ჩამოსვლამდე, ფაქტობრივად, მხოლოდ ჟურნალისტიკით ვიყავი დაკავებული. აქ რომ ჩამოვედი, ყველაფერი შეიცვალა. ლექსებისა და მოთხრობების წერა დავინყე. ყველაფერი ნაკადივით მოედინებოდა. მხოლოდ ქალაქდზე უნდა გადამეტანა. მოგვიანებით, ესეც ვიფიქრე: უამრავი ნაცნობი მყავს, რომლებმაც ჩემზე მეტ ხანს იცხოვრეს საქართველოში. ვთხოვდი, დაენერათ თავიანთი შთაბეჭდილებები – რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, რამ გააოცა... საქმეს ვუჭირებდი, რომ დაენერათ ისე, როგორც მე ვნერდი ჩემს ესეებში. ისინიც წერდნენ. მე ვამუშავებდი ტექსტებს. ასე დამიგროვდა მოთხრობები

და გაჩნდა წიგნად გამოცემის იდეაც... ერთხელაც შემხვდნენ თანამოაზრეები და რადიო „მონტე კარლოზე“ გადაცემის გაკეთება შემომთავაზეს. გავაკეთეთ კიდეც. სამნი ვიყავით: იულია ბილანიშვილი (გრინი), დენიუს ასლანოვი და მე. გადაცემას ასე ერქვა: **„საქართველო ჩემს გულში.“**

აქ, შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს არტურ ლაისტის სახელგანთქმული წიგნის სათაური: **„საქართველოს გული.“**

„ერთი რამის“ სიყვარული, დამალვა რომ არ სჭირდება...

ის „ერთი რამე“, რა თქმა უნდა, ჩვენი სამშობლოა.

აქ – მცირე ლირიკულ-პატრიოტული გადახვევა:

წესით, სამშობლო სულიერი არსებითი სახელია და „ვინ“ კითხვა უნდა დაესმოდეს.

შესაბამისად, რამე კი არა, ვინმე...

სხვათა შორის, „ვინმემ“, დროთა განმავლობაში, უარყოფითი შინაარსი შეიძინა, არადა: „ვწერ ვინმე მესხი მე-ლექსე“...

არტურ ლაისტი ნიმუში და იდეალია, რომელსაც სხვა მოკეთებები ბუნებრივად უნდა გავაჯიბროთ, უპირველესად – საქართველოს სიყვარულში.

და აი, „შეჯიბრიც“.

არტურ ლაისტი:

„საქართველოს სიმშვენიერე ისევე ძნელი აღსაწერია და მიუწვდომელი, ვით უთვალავი თვალმარგალიტი აღმოსავლეთის საარაკო მფლობელისა. დიახ, ძნელია, მაგრამ, ვისაც უყვარს საქართველო, მისთვის საამური მისი სილამაზეზე ლაპარაკი“.

ტატიანა მონტიკი:

„მართლაც, წარმოუდგენლად გამომართლა, რომ ღმერთმა მარგუნა ეს ქვეყანა და ეს ხალხი. ყველას გაგვიმართლა, ვინც აქ ვცხოვრობთ“.

●  
უკვე ვთქვით, რომ ტატიანა მონტიკი მთარგმნელია.

ჰოდა, გალაკტიონს თარგმნის.

აღტაცებულია მისი ლექსებით.

განსაკუთრებით „უსიყვარულოდ“ მოსწონს.

იმდენად იმოქმედა, რომ ერთი ამოსუნთქვით ვთარგმნეო.

„უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...“

არც მეგობრობა არსებობს უსიყვარულოდ...

## „მოყვარეს პირში უძრახე...“

ერთი მნიშვნელოვანი თვისებაც ანათესავებს ტატიანა მონტიკს არტურ ლაისტის იდეალთან: ჩვენს ნაკლსაც ხედავს და არ მაღავეს. ზოგჯერ თვითონ შენიშნავს, ხანაც – მისი გადაცემის სტუმარი ან მოთხრობის/ესეს პერსონაჟი.

ჯერ ისევ ლაისტი დავიმონწმოთ:

„თუ მას (ქართველს – რედ.) საქმე ცუდად მისდის, ამაში ყოველთვის სხვა დამნაშავე და არა თვითონ. როცა, მაგალითად, ვანოს ფული შემოეღევა, დამნაშავე როსტომია; როცა როსტომს კუჭი შიმშილით უხმება, დამნაშავე კარაპეტია, რომელიც ფულის სესხებაზე უარს ეუბნება; თუ ნიკოს ბიჭი სკოლაში ცუდად სწავლობს, დამნაშავე მასწავლებელია, ხოლო, როცა მას უზომო ღვინის სმისგან ცხვირი უწითლდება, დამნაშავეა სარკე“.

გული არ მომითმენს აქვე ლევან ბრეგვაძის კომენტარიც არ მოვიხმო:

„არტურ ლაისტს ზუსტად შეუნიშნავს ქართველის ერთი არსებითი ნაკლიც: თავის უბედურებაში ყოველთვის მხოლოდ სხვა დაადანაშაულოს და მშვენიერ გროტესკულ პასაჟს უძღვნის ჩვენთვის, სამწუხაროდ, დღემდე ესოდენ დამახასიათებელ ამ მანკიერებას“.

ჩვენს დროში, დღევანდელ მოკეთეს-თან – ტატიანა მონტიკთან გადმოვი-ნაცვლოთ.

აი, რას ამბობს მასთან რადიონტერ-ვიუში ერიკ ლივნი, ეკონომისტი ისრაე-ლიდან, რომელიც წლების განმავლობა-ში ჩვენთან საერთაშორისო ეკონომიკურ სკოლას ხელმძღვანელობდა:

„ჩემ გარშემო ბევრ მამაკაცს ვხე-დავ, მუშაობა რომ არ უნდა. ეგრე-ვე პრეზიდენტობა ან დირექტორობა სურთ. „ჩვეულებრივი“ სამუშაო მათ-თვის დამამცირებელია. ურჩევნიათ, შინ ისხდნენ, ნარდი ითამაშონ ან ტე-ლევიზორს უცქირონ. ჩემი აზრით, სა-ქართველოს დღევანდელი ეკონომიკა ქალებზე დგას... მამაკაცების როლი სამივე ამიერკავკასიურ ქვეყანაში დი-დია. თუ განვიხილავთ სომხებს, რო-გორც ერს (არ მინდა განზოგადება, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს), იქ მარ-თლა ყველაფერი მამაკაცებზე დგას, მათ ყველაფერში წამყვანი როლი აქვთ – მუშაობენ, შრომობენ, ფულს შოუ-ლობენ. უმუშევარი სომეხი არარსებუ-ლი ცნებაა... საქართველოში კი მამა-კაცები მღერიან, სადღეგრძელოებს ამბობენ, ლალობენ და თავს მაინც კა-ცებად გრძნობენ...“

აქ კი სრულიად არალირიკული გა-დახვევა:

ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა ახ-ლახან მითხრა: „დე-დაჩემი სულ მაკრი-ტიკებდა – ხან რას დამინუნებდა, ხან რას, მაგრამ აბა, სხვას გაებედა ჩემ-ზე ოდნავ გადაბ-რუნებული სიტყვის თქმა?!“

ანზორ ერქომა-

იშვილს, დედის გარდა, ვინ რა უნდა დაუნუნოს?! დედა სწორედ ასეთი უნდა იყოს, ილია კი ერის მამა იყო და „ბედ-ნიერი ერის“ ავტორი სხვათა მწარე სი-მართლესაც მიესალმებოდა, ოღონდ ერის მოკეთისა და გულშემატკივრის-გან ნათქვამს.

თუმცა, ექვთიმე თაყაიშვილი ერთ საპირისპირო მაგალითსაც აღგვინერს. გვეუბნება, მხოლოდ ერთხელ შევესწა-რი ილიას განრისხებას, როცა დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრადო და განაგრძობს: „დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატ-რიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირი-ქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს ასხამდა ხოლმე ქებას... ჭკვიანი ცხოვ-რება იციან, ბედოვლათები და მთხო-ველები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვეჯობნიან და მომავალიც მათიაო. ერთხელ, ნამეტა-ნი რომ გადააჭარბა ასეთ ლაპარაკში, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქარ-



თველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვილაც ანუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!”

●

რადიო „მონტე კარლოში“ ტატიანა მონტიკს ამერიკელი ჟურნალისტიც სტუმრობდა – პოლ რიმპლი, რომელიც საქართველოში 2002 წლიდან ცხოვრობს.

რა ეპითეტი არ მოგვისმენია ან ნაგვიკითხავს უცხოელთაგან საქართველოზე, ასეთი კი არასოდეს. პოლ რიმპლის აზრით, „საქართველო ნამდვილი ინფექციაა. ეს ქვეყანა ძალზე გადამდებია!“

ტატიანა მონტიკთან საუბარში ის ყურადღებას ამახვილებს ერთ მეტად მნიშვნელოვან ეპიზოდზე და კონკრეტული ფაქტის სიმბოლურ განზოგადებას ახდენს:

„ჩემი კულტურული შოკი საქართველოში? არ ვიცი, შეიძლება თუ არა, ამას კულტურული შოკი ვუნოდო. ერთი ეპიზოდი დღესაც თვალწინ მიდგას: ცხელი ივლისის დღე თბილისში. ავტობუსი, რომლითაც ვმგზავრობ, რუსთაველის პროსპექტზე ფუჭდება. ყველა მგზავრი მამაკაცი გარეთ გადის და მანქანას აწვევა. ცდილობს, დაეხმაროს მძღოლს, მანქანა ადგილიდან რომ დაძრას. ვერ უშველეს და ხალხი მიმოიფანტა. ზოგმა ფეხით გავაგრძელეთ გზა. ხუთი-ათი წუთის შემდეგ ჩვენი მძღოლი გვეძახის და შეკეთებულ ავტობუსში ჩასხდო-

მას გვთავაზობს. ჩემთვის ეს სურათი იმ სქემის ახსნაა, რომლის მიხედვითაც არსებობდა საქართველო იმ მძიმე წლებში, როცა ქვეყანაში თითქმის არაფერი მუშაობდა. ესაა სწორედ ადამიანთა კავშირი დევიზით: „მერე რა, რომ გვიჭირს, მაინც ვეცდებით, სიტუაცია ადგილიდან დავძრათ“.

კარგი და სასარგებლოა მოყვრისგან პირში ძრახვა, მაგრამ ასეთი გამხნეება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ერთი ფრაგმენტიც უნდა დავიმონმო პოლ რიმპლის საუბრიდან:

„რაც ტესტის მსგავსიც კი მოვიფიქრე ჩემი გრძნობების შესამოწმებლად. სხვა უცხოელებსაც ვურჩევ, გამოსცადონ. მაგალითად, საქართველოდან გინვეთ გასვლა, ვთქვათ, მეზობელ აზერბაიჯანში. ჩახვედით. ნახეთ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი. შემდეგ დაბრუნდით. როდესაც საქართველოს საზღვარს გადმოაბიჯებთ, აუცილებლად იგრძნობთ საოცარ შევებას და ხმამაღლა ამოთქვამთ: „უჰ, ბოლოს და ბოლოს სახლში ვარ!“

ამას უკვე კომენტარი აღარ სჭირდება.

●

„ქართველმა იცის თავისიანის დაფასება“ – უთქვამს ილიას არტურ ლაისტისთვის თბილისის სადგურშივე, პირველი შეხვედრისას.

ჩვენც იგივე უნდა ვუთხრათ ტატიანა მონტიკს – საქართველოზე შეყვარებულ ქალბატონს...